

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2013, №01-06

**სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი**

საძიებელი

ზოგადი ნაწილი

სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ
ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

განაჩენიდან დამატებითი სასჯელის სახით
დანიშნული ჯარიმის ამორიცხვა

სასჯელის შემცირება მეტისმეტი სიმკაცრის გამო

სასჯელთა ნაწილობრივი შეკრება

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით

ამნისტია უვადო თავისუფლებაადკვეთილი
პირის მიმართ

მსჯავრდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება
ამნისტიის გამო, დაზარალებულის თანხმობით

ამნისტიის საფუძველზე მსჯავრდებულის
პატიმრობიდან გათავისუფლება

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის
შემცირება

კერძო ნაწილი

ნარკოტიკული დანაშაული

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების
უკანონო შეძენა-შენახვიდან ნარკოტიკული
საშუალების შეძენა-შენახვაზე ქმედების
გადაკვალიფიცირების სამართლებრივი საფუძველი

განაჩენიდან ნარკოტიკული საშუალების
გასაღების ბრალდების ამორიცხვა

სისხლის სამართლის პროცესი

ექსტრადიცია

საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება

საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი

განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის
აღდგენის თაობაზე განჩინების გაუქმება

არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ ამნისტიის
გავრცელების შესახებ მიღებული
განჩინების გაუქმება

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად
ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება

ზოგადი ნაწილი

სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№368-აპ-12

19 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
თ. თოდრია,
გ. შავლიაშვილი

პროკურორ – დ. მ-ის
სხდომის მდივან – გ. შ-ის
მსჯავრდებულების – ლ. გ-ისა და ა. ტ-ის
ადვოკატების – გ. ბ-ის, ს. თ-ის
დაზარალებულების – თ. გ-ის, თ. ხ-ის, მ. ი-ის, ნ. მ-ის

მონაწილეობით, განიხილა მსჯავრდებულების – ა. ტ-ისა და ლ. გ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისის განაჩენით: ვ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 15 წლითა და 6 თვის ვადით.

ვ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით.

ა. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად, სსკ-ის 55-ე, 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალი პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი.

ხ. ქ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად, საქართველოს სსკ-ის 55-ე, 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც ჩაეთვალი პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი.

ბ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა: ვ. გ-მა, ა. ტ-მა, ლ. გ-მა და ითხოვეს სასჯელის შემსუბუქება; ლ. გ-მა დამატებით ითხოვა მისთვის ჩამორთმეული თანხის, ავტომანქანის და მიწის ნაკვეთის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2012 წლის 4 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულებას: ა. ტ-ისა და ვ. გ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

მსჯავრდებულ ლ. გ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, განაჩენში შევიდა ცვლილება: ლ. გ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს დაუბრუნდა ლ. გ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხები – 300 აშშ დოლარი და 180 ლარი, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში. სხვა ნაწილში, როგორც დანიშნული სასჯელების, ასევე საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ქონების ჩამორთმევის ნაწილებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ა. ტ-სა და ლ. გ-ს განაჩენით მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. გ-მა კარგად შეისწავლა სოფელ ...-ის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების 1992 წელს სახელმწიფოს მიერ მიწის რეფორმის შედეგად სოფელ ...-ის მოსახლეობაზე განაწილების სქემა, 2011 წლის ივნისში დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვ. მ-ს, ბ. ლ-ს, ა. ტ-ს, ლ. გ-ს და დ. წ-ს, რის შემდეგაც ურთიერთშეთანხმებით განიზრახეს სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითური გზით მისაკუთრება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ჩამოაყალიბეს ორგანიზებული ჯგუფი და გაინაწილეს ფუნქციები, თუ ვის რა მოქმედება უნდა შეესრულებინა მიწების ყალბი დოკუმენტებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და რეალიზაციის საქმეში, რის შემდეგაც მიღებულ თანხებს თანაბრად გაინაწილებდნენ. კერძოდ, ვ. გ-მა მონიშნა სოფელ ...-ში სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთები და ფართობების მიხედვით გააკეთა შავი აზომვითი ნახაზები, რის შემდეგაც მოიპოვა მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი. ბ. ლ-ამ და ვ. მ-მა დაამზადეს ყალბი ბეჭდები. აღნიშნულის შემდეგ ვ. გ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ნაცნობ ხ. ქ-ს და სთხოვა, რომ პერიოდულად დახმარებოდა და თავისი ხელით შეეტანა მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტებში მის მიერვე მიწოდებული ყალბი მონაცემები, რაშიც მისი თანხმობის შემდეგ გადაუხადა 1000 ლარი. ლ. გ-ი 2011 წლის ივნისში დაუკავშირდა ა. მ-ს, რომ თუ მონახავდა ორ ნაცნობს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ 1992 წელს, იმ პერიოდში იყვნენ სრულწლოვანები და მისცემდნენ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობების ასლებს, ასევე უმნიშვნელო დოკუმენტებზე მათი ხელმოწერის სანაცვლოდ მისცემდა გარკვეულ თანხას, რაზეც ა. მ-ი, ეკონომიკური გაჭირვების გამო, დაეთანხმა და მიუყვანა, ასევე ეკონომიკურად გაჭირვებული ვ. მ-ი და ვ. ს-ე. ა. ტ-მა მიწის ნაკვეთების მათ სახელზე რეგისტრაციაზე დაითანხმა თავისი ნაცნობები – ნ. ს-ე და გ. ჯ-ე. ვ. გ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის მეგობარ ბ. ჯ-ს, რომელმაც 2000 აშშ დოლარის სანაცვლოდ თავისი ნათესავის – ვ. ქ-ის სახელზე მოახდინა მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია. ბ. ლ-ამ და დ. წ-მა დაითანხმეს რ. წ-ი აღნიშნული მიწის ნაკვეთების მის სახელზე რეგისტრაციაზე. ასევე დ. წ-მა მოტყუებით დაითანხმა თავისი ნათესავი ე. მ-ე, მის სახელზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის. ნ. ქ-ის დახმარებით მოქალაქეებზე: ვ. მ-ის სახელზე დაამზადეს მიწის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი №..., ვ. ს-ზე დაამზადეს მიწის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი №..., რ. წ-ის სახელზე დაამზადეს მიწის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი №..., გ. ჯ-ის სახელზე დაამზადეს მიწის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი №..., ნ. ს-ის სახელზე დაამზადეს მიწის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი №..., ვ. ქ-ის სახელზე დაამზადეს მიწის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი №..., ე. მ-ის სახელზე დაამზადეს მიწის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი №..., რის შემდეგაც ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების ასლები დაამონტაჟა ნოტარიულად, როგორც დედნებთან იდენტური, რომელთა გამოყენებითაც საჯარო რეესტრში მოახდინეს ვ. მ-ის, ვ. ს-ის, რ. წ-ის, გ. ჯ-ის, ნ. ს-ის, ვ. ქ-ის და ე. მ-ის სახელზე თბილისში, სოფელ ...-ში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილი მიწების რეგისტრაცია. აღნიშნულის შემდეგ მიწის ნაკვეთების ნაწილი გაასხვისეს და დატვირთეს იპოთეკით სხვადასხვა პირზე. კერძოდ: თბილისში, სოფელ ...-ში, დიდ დილომში მდებარე 750 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... დარეგისტრირდა ვ. მ-ის სახელზე. ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოტყუებით დატვირთეს იპოთეკით 5900 აშშ დოლარად ლ. ბ-სთან, რითაც მას მიაყენეს 5900 აშშ დოლარის ზარალი; თბილისში, სოფელ ...-ში, „...-ში“ მდებარე 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... დარეგისტრირდა ვ. მ-ის სახელზე, ხოლო შემდეგ დარეგისტრირდა ა. კ-ის სახელზე; თბილისში, სოფელ ...-ში, დიდ დილომში, „...-ში“ მდებარე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... დარეგისტრირდა ვ. მ-ის სახელზე. თბილისში, სოფ. ...-ში, დიდ დილომში მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... დარეგისტრირდა ვ. მ-ის სახელზე. ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოტყუებით მიყიდეს შ. ს-ეს 5000 აშშ დოლარად, რომელიც შემდგომ ამავე ფასში შეიძინა ზ. ბ-მა და დარეგისტრირდა ზ. ბ-ის სახელზე, რითაც მას მიაღდა 5000 აშშ დოლარის ზარალი; თბილისში, სოფელ ...-ში, „...-ში“ მდებარე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... დარეგისტრირდა ვ. ს-ის სახელზე, ხოლო შემდეგ დარეგისტრირდა ვ. ქ-ას სახელზე; თბილისში, სოფ. ...-ში, დიდ დილომში მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... დარეგისტრირდა ვ. ს-ის სახელზე, ხოლო შემდეგ დარეგისტრირდა ა. კ-ის სახელზე და ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოტყუებით დატვირთეს იპოთეკით ე. ჯა-ასთან 5500 აშშ დოლარად, რითაც მას მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი; თბილისში, სოფ. ...-ში, დიდ დილომში მდებარე 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... დარეგისტრირდა ვ. ს-ის სახელზე ხოლო შემდეგ დარეგისტრირდა ვ. ქ-ას სახელზე და ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოტყუებით დატვირთეს იპოთეკით ნ. მ-თან 4000 აშშ დოლარად, რითაც მას მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი; თბილისში, სოფელ ...-ში, „...-ში“ ვ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული ნაკვეთი შემდეგ დარეგისტრირდა ბ. მ-ის სახელზე; თბი-

ლისში, სოფ. ...-ში მდებარე 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა რ. წ-ის სახელზე, რომელიც გამიჯნეს სამ ნაწილად, კერძოდ 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ..., ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული, მოტყუებით მიყიდეს მოქალაქე თ. ხ-ს 20 000 აშშ დოლარად, რითაც მას მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი; 600 კვ.მ ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... მოტყუებით მიყიდეს 12000 აშშ დოლარად მ. ი-ს და ნ. შ-ს, რითაც ამ უკანასკნელებს მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი. 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... დარეგისტრირდა დ. წ-ის სახელზე, ასევე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ..., ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული, მოტყუებით მიყიდეს მოქალაქე გ. მ-ეს 4000 აშშ დოლარად, რითაც მას მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი, ხოლო 865 კვ.მ ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ... მოტყუებით დატვირთეს იპოთეკით თ. გ-თან და მ. ი-თან 12000 დოლარად, რითაც ამ უკანასკნელებს მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი; 2011 წლის 20 სექტემბერს თბილისში, სოფელ ...-ში მდებარე 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა გ. ჯ-ის სახელზე საკადასტრო კოდით ..., ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი 2011 წლის 21 სექტემბერს მოტყუებით დატვირთეს იპოთეკით 13000 აშშ დოლარად ს. პ-სთან, რითაც ამ უკანასკნელს მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი. 2011 წლის 28 სექტემბერს გ. ჯ-ის სახელზე დარეგისტრირდა თბილისში, სოფელ ...-ში 150 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით

2011 წლის 28 სექტემბერს თბილისში, სოფელ ...-ში მდებარე 1300 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ნ. ს-ის სახელზე საკადასტრო კოდით 2011 წლის 28 სექტემბერს თბილისში, სოფ. ...-ში მდებარე 750 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ნ. ს-ის სახელზე საკადასტრო კოდით 2011 წლის 28 სექტემბერს თბილისში, სოფ. ...-ში მდებარე 750 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ნ. ს-ის სახელზე საკადასტრო კოდით ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი 2011 წლის 30 სექტემბერს დატვირთეს იპოთეკით ი. კ-თან 9000 აშშ დოლარად, რითაც ამ უკანასკნელს მიაყენეს ამდენივე ლარის ზარალი. 2011 წლის 6 ოქტომბერს თბილისში, სოფელ ...-ში მდებარე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ნ. ს-ის სახელზე საკადასტრო კოდით ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი 2011 წლის 11 ოქტომბერს მოტყუებით დატვირთეს იპოთეკით 11000 აშშ დოლარად ლ. თ-სთან, ე. ფ-სთან და ნ. მა-სთან, რითაც ამ უკანასკნელებს მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი. 2011 წლის 4 ოქტომბერს თბილისში, სოფ. ...-ში მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ვ. ქ-ის სახელზე საკადასტრო კოდით ..., ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დატვირთეს იპოთეკით ს. დ-თან, ე. ბ-სთან და ა. ნ-სთან 10000 აშშ დოლარად, რითაც ამ უკანასკნელებს მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი, დღეს რეგისტრირებულია ვ. მ-ის სახელზე. 2011 წლის 10 ოქტომბერს თბილისში, სოფ. ...-ში მდებარე 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ვ. ქ-ის სახელზე საკადასტრო კოდით ..., რომელიც 2011 წლის 19 ოქტომბერს დარეგისტრირდა ა. გ-ის სახელზე. 2011 წლის 20 სექტემბერს თბილისში, სოფ. ...-ში მდებარე 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ე. მ-ის სახელზე საკადასტრო კოდით ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი 2011 წლის 10 ოქტომბერს მოტყუებით შეასყიდეს დ. რ-ას 12500 აშშ დოლარად, რითაც მას მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი. 2011 წლის 20 სექტემბერს თბილისში, სოფ. ...-ში მდებარე 375 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ე. მ-ის სახელზე საკადასტრო კოდით ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დატვირთეს იპოთეკით მ. ბ-თან 5000 აშშ დოლარად, რითაც მას მიაყენეს ამდენივე თანხის ზარალი.

გარდა აღნიშნულისა, ვ. გ-მა ნ. ხ-თან ერთად განიზრახა სოფ. ...-ში მიწის რეფორმის შემდეგ დარჩენილი სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითური გზით მისაკუთრება. 2010 წლის ივნისში დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ მ. მ-ს, რომელსაც შესთავაზეს, რომ მის სახელზე ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის მეშვეობით დაარეგისტრირებდნენ სოფ. ...-ში დარჩენილ სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც შემდგომ გაყიდდნენ, სანაცვლოდ კი გადაუხდიდნენ 2000 აშშ დოლარს, რაზედაც მ. მ-ი ეკონომიკური გაჭირვების გამო დაეთანხმა. გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ნ. ხ-მა და ვ. გ-მა მ. მ-ის სახელზე დაამზადეს მიწის ნაკვეთის არარსებული მიღება-ჩაბარების აქტი №...-ის ასლი, რომელიც დაამოწმეს ნოტარიულად, რომლის გამოყენებითაც 2010 წლის 9 ივლისს საჯარო რეესტრში მოახდინეს მ. მ-ის სახელზე სოფ. ...-ში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ორი 1600 კვ.მ ს/კ ... და 2500 კვ.მ ს/კ ... ნაკვეთების რეგისტრაცია. აღნიშნულისათვის კი ნ. ხ-მა და ვ. გ-მა მ. მ-ს გადასცეს 2000 აშშ დოლარი.

აღნიშნულის შემდგომ, ვ. გ-ის მითითებით, მ. მ-მა მის სახელზე დარეგისტრირებული სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთი 1600 კვ.მ ს/კ ს/კ ... გადაუფორმა ლ. გ-ს. იმავე დღეს ლ. გ-მა აღნიშნული მიწის ნაკვეთი შემდგომი რეალიზაციის მიზნით გამიჯნა ორ ნაწილად და მიწის ნაკვეთებს მიენიჭათ ახალი ს/კ ნომრები: ... - 600 კვ.მ და ... - 1000 კვ.მ. 2011 წლის 25 აგვისტოს ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი ს/კ ... მოტყუებით შეასყიდეს შ. მ-ს 9700 აშშ დოლარად, რის სანაცვლოდ შ. მ-მა ბ. ლ-ას გადასცა ა/მანქანა „ლინკოლნ ნავიგატორი“, რომელიც გ. ლ-ას მითითებით, დ. ნ-მა ჩადო ლომბარდში, რითაც შ. მ-ს მიადგა 9700 აშშ დოლარის ზარალი. ასევე მ. მ-ის სახელზე ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი 2500 კვ.მ ს/კ ... მ. მ-მა, ნ. ხ-ის და ვ. გ-ის მითითებით, 2010 წლის 14 ივლისს დატვირთა იპოთეკით სადაზღვევო კომპანია „...-ში“ 230 000 ლარად. 2011 წლის 7 ივლისს გამართულ ინტერნეტ-აუქციონის მეშვეობით იგი 5302 ლარად და 50 თეთრად შეიძინა ლ. ფ-ემ, რომელმაც აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაუცვალა სხვა მიწის ნაკვეთში თ. ს-ას, რითაც ამ უკანასკნელს მიადგა 20 000 აშშ დოლარის ზარალი.

მსჯავრდებულებმა: ა. ტ-მა და ლ. გ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენა-

ესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კასატორები საჩივრით ითხოვენ დანიშნული საპატიმრო სასჯელის შემცირებას. ლ. გ-ი დამატებით ითხოვს ქონების ჩამორთმევის ნაწილში განაჩენით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ქონების დაბრუნებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში უკანონოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულთა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების მოთხოვნების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრების მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორთა არგუმენტებს განაჩენით დადგენილი სასჯელის ზედმეტი სიმკაცრისა და ჩადენილ ქმედებებთან აშკარა შეუსაბამობის შესახებ.

პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელები მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების ადეკვატურია. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელიც დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებობდა და შეთანხმებით ახორციელებდა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღებას, დაზარალებულთა დეზინფორმაციისა და მოტყუების გზით, რასაც შედეგად მოჰყვა მძიმე შედეგი – თაღლითურად მოქალაქეთა კუთვნილი სოლიდური თანხების მისაკუთრება, რაც მსჯავრდებულებს არ აუნაზღაურებიათ.

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მინის ნაკვეთები, რომლებზედაც აპელირებას აკეთებს მსჯავრდებული ლ. გ-ი, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ყალბი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე, კერძოდ, ორგანიზებული ჯგუფის წევრები სოფელ ...-ის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებზე უკანონოდ ამზადებდნენ აზომვით ნახაზებს, ადგენდნენ მინის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების ყალბ აქტებს, დამზადებული ჰქონდათ ყალბი ბეჭდები, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ ახერხებდნენ სხვადასხვა პირზე მათ რეგისტრაციას და შემდეგ – გასხვისებას, რაც ეჭვის გამომრიცხავად დადასტურებულია დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებებით, გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით, საჯარო რეესტრიდან ამოღებული მასალებით, ჩატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიების მასალებით, ამოღებული ნივთმტკიცებებით და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა იმ მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომელიც დაცვის მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს მსჯავრდებულ ლ. გ-ის საკასაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტებს „კია-სპორტივჯის“ მარკის ავტომანქანისა და მის სახელზე სოფ. ...-ის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მინის ნაკვეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამორთმევის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია საკმარისი მტკიცებულებები, რაც ეჭვის გამომრიცხავად დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ლ. გ-ის მფლობელობაში არსებული ავტომანქანა და მინის ნაკვეთი წარმოადგენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას, ან დანაშაულის საგანსა და იარაღს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ხსენებული მოძრავი და უძრავი ქონება უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მსჯავრდებულების მიმართ გავრცელების თაობაზე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ პირებზე ამნისტიის გავრცელების წინააღმდეგია ყველა დაზარალებული, გ. გ-ის გარდა. აღნიშნულის გათვალისწინებითა და ამავე კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-16 მუხლის, 23-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს სსკ-ის 309-ე მუხლის თანახმად, საკასაციო პალატამ, ა. ტ-ისა და ლ. გ-ის გარდა, ამნისტიის გავრცელების შესახებ უნდა იმსჯელოს აგრეთვე მსჯავრდებულების: ვ. გ-ის, ვ. მ-ისა და ბ. ლ-ას მიმართ, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანიათ, მაგრამ ამნისტიის გავრცელებით დამდგარი შედეგი სამართლებრივად უნდა შეეხოს ამ მსჯავრდებულებსაც მათ სასარგებლოდ განაჩენში შეტანილი ცვლილებით.

მსჯავრდებულ ბ. ჯ-ის მიმართ საქმეს სააპელაციო წესით განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა და, შესაბამისად, იმსჯელებს მის მიმართ ამნისტიის გავრცელების თაობაზე.

ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამნისტიის კანონი არ ვრცელდება ჩამორთმეულ ქონებაზე და სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებს.

მსჯავრდებულების: მ. მ-ისა და ხ. ქ-ის მიმართ, რომლებსაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისის განაჩენით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დადგენილი აქვთ პირობითი მსჯავრი, ამნისტიის გავრცელების თაობაზე უნდა იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 4 დეკემბრის №... განკარგულებით მსჯავრდებული დ. რ-ის ძე ნ-ი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე, 303-ე, 306-ე მუხლებით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 309-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-6 მუხლით, მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-16, მე-18 მუხლებით, 23-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულების: ა. ტ-ისა და ლ. გ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განაჩენებში, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულების – ა. ტ-ის, ლ. გ-ის, ვ. გ-ის, ვ. მ-ის, ბ. ლ-ასა და დ. ნ-ის სასარგებლოდ, კერძოდ:

ა. ტ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ტ-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2011 წლის 28 ოქტომბრიდან.

ლ. გ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. გ-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2011 წლის 26 ოქტომბრიდან.

ლ. გ-ის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „კია სპორტიჯი“, სახელმწიფო ნომრით „...“ და სოფ. ...-ის ტერიტორიაზე მის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (500კვ.მ), რომლის საკადასტრო კოდი – ..., დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს – ლ. გ-ს, ან მის ნდობით აღჭურვილ პირს.

ვ. გ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 9 თვით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, 5 თვითა და 15 დღით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით ვ. გ-ს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, 5 თვითა და 15 დღით.

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი.

აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით – ვ. გ-ს შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და 3 თვით;

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ ვ. გ-ს განესაზღვროს 10 წლით, 8 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. გ-ს საბოლოოდ დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2011 წლის 28 ოქტომბრიდან.

ვ. მ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 9 თვით.

ვ. მ-ი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის (პირობითი მსჯავრი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით) მოხდისაგან გათავისუფლდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად.

ვ. მ-ს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 9 თვით.

ვ. მ-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2011 წლის 28 ოქტომბრიდან.

ბ. ლ-ას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული და-

ნაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

ბ. ლ-ას დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2011 წლის 29 ოქტომბრიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისის განაჩენები დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან ღამათებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის ამორიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელით

№296-აპ-12

4 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულების – ი. ა-ისა და ს. ქ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის განაჩენით ი. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარი. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 6 ნოემბრიდან.

იმავე განაჩენით ს. ქ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა – დაემატა ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 6 ნოემბრიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულს შორის. გ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით დაენიშნა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 2 წლით სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 6 ნოემბრიდან.

ი. ა-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ს. ქ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ს. ქ-ი 2011 წლის 24 ოქტომბერს გაასამართლა თელავის რაიონულმა სასამართლომ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, ხოლო 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი.

2011 წლის 4 ნოემბერს ი. ა-ი და მისი მეგობრები – ს. ქ-ი და გ. ს-ი სტუმრად იმყოფებოდნენ ვ. გ-თან, ვისთანაც გაათენეს ღამე. მეორე დღეს მათ იქიფეს ვ. გ-თან, დათვრენ, რის შემდეგაც სამივე ერთად ფეხით წავიდნენ ახმეტის რაიონის სოფელ ... მიმართულებით. დაახლოებით 18.00 საათზე სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნეს ნ. ც-ის კუთვნილი, 1000 ლარად ღირებული ცხენი და განიზრახეს მისი მოპარვა. მოქმედებდნენ რა ერთიანი დანაშაულებრივი განზრახვით, მათ დაიჭირეს ცხენი, მოაბეს თოკი, მიისაკუთრეს მართლსაწინააღმდეგოდ და წაიყვანეს სოფელ ..., სადაც შეეცადნენ მის გაყიდვას. მათ ცხენის გაყიდ-

ვა ვერ შეძლეს, რადგან ამის შესახებ ცნობილი გახდა ცხენის მეპატრონის ძმის – ჯ. ც-ისათვის, რომელმაც ცხენი დაუბრუნა მფლობელ ნ. ც-ს. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულებმა დაზარალებულს მიაყენეს 1000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა – ი. ა-მა და ს. ქ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან, შესაბამისად, იგი, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, უნდა გაუქმდეს და მის ნაცვლად დადგეს გამამართლებელი განაჩენი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ და საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის – დაზარალებულ ნ. ც-ის, მოწმეების: მ. ქ-ის, მ. გ-ის, კ. ბ-ის, ე. ბ-ის, ა. გ-ის, ბ. ბ-ის, კ. ა-ისა და გ. ს-ის ჩვენებებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

ამასთან, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულ ი. ა-ის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში. აღნიშნული ცნობა წინასასამართლო სხდომაზე დამტკიცდა როგორც მტკიცებულება, რომელსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე და 53-ე მუხლების შინაარსის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ი. ა-ს უნდა ამოერიცხოს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 4000 ლარი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ს. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ი. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ი. ა-ს ამოერიცხოს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 4000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის ამორიცხვა

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№72-აპ-13

17 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ბ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 11 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ-ის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 აპრილის განაჩენით ბ. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი, მე-5 ქვეპუნქტებით (1961 წლის რედაქცია) – 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5000

ლარი, 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1961 წლის რედაქცია) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ჯარიმა – 7000 ლარი. მასვე პატიმრობის ვადაში ჩაეთვალია წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 1992 წლის 29 მაისიდან 1994 წლის 11 მარტის ჩათვლით. ბ. ჩ-ს სასჯელის მოხდა უნდა დაენწყოს დაკავების დღიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ბ. ჩ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

მან გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში და გამოძიებით დაუდგენელი პირებისაგან უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე, შეიძინა დაუდგენელი სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი – პისტოლეტი საბრძოლო ვაზნებით და ერთი ცალი „რგდ 5“ სისტემის ხელყუმბარა, რომლებსაც ასევე უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე ატარებდა.

ბ. ჩ-ა 1992 წლის მაისში ხ-ს რაიონის სოფ. გ-ი ე. ქ-ნ წინასწარი შეთანხმებით და მასთან ერთად ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა, რაც გამოიხატა შემდეგში: მათ დაახლოებით 24 საათზე შეაღწიეს ო. გ-ს საცხოვრებელ სახლში, თავს დაესხნენ ო. გ-ს სტუმრად მყოფ გამოძიებით დაუდგენელ პირს და ბ. ბ-ს. პისტოლეტის და ე. ქ-ს რევოლვერის გამოყენების მუქარით, ხელები შეუკრეს გამოძიებით დაუდგენელ პირს და ბ. ბ-ს, რის შემდეგ ყაჩაღური გზით დაეუფლნენ ო. გ-ს კუთვნილ ქონებას, კერძოდ: „პ-ს“ სისტემის ტელევიზორს და ამავე სისტემის ვიდეომაგნიტოფონს, ღირებულებას 140 000 მანეთად, ერთ ყუთ 500 კოლოფის ოდენობით სიგარეტ „ვინსტონს“, ღირებულებას 20 000 მანეთად, 4 ცალ ავტომატქანა „მოსკვიჩის“ საბურავს, ღირებულებას 16 000 მანეთად, 20 კალიბრიან სანადირო თოფს, ღირებულებას 5000 მანეთად. სულ ე. ქ-ნ ერთად იგი ყაჩაღური გზით დაეუფლა ო. გ-ს კუთვნილ – 2260000 მანეთის ქონებას.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ ის ე. ქ-ნ ერთად ბ-ს კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომატქანით შემთხვევის ადგილიდან მიიძალა.

მანვე განმეორებით, 1992 წლის 19 მაისს, დაახლოებით 4 საათზე, ხ-ის რაიონის სოფ. მ-ში გ. ს-ა და გამოძიებით დაუდგენელ პირთან წინასწარი შეთანხმებით, ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა, რაც შემდეგში გამოიხატა: მან გ. ს-ა და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად შეაღწია ნ. წ-ს საცხოვრებელ სახლში, ყაჩაღურად თავს დაესხნენ ნ. წ-ს და მისი ოჯახის წევრებს, კერძოდ, გ. ს-ე და გამოძიებით დაუდგენელი პირები ემუქრებოდნენ ნ. წ-ა და მისი ოჯახის წევრებს ცეცხლსასროლი იარაღისა და დანების გამოყენებით, ითხოვდნენ ფულსა და განძეულობას, ნ. წ-ს პირში ჩაუდეს ნაჭერი, რათა არ ეყვირა და ცხელი უთოს გამოყენებით მიაყენეს სხეულის განზრახ მსუბუქი ხარისხის დაზინება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, გულმკერდის არეში – ნაჩხვლეტი ჭრილობითა და დამწვრობით – მარჯვენა ბეჭის ძვლის საპროექციო არეში და მარცხენა ბარძაყის არეში.

ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ გ. ს-ა და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად დაეუფლნენ ნ. წ-ს კუთვნილ ქონებას: 333891 მანეთს, „შარდის“ სისტემის ვიდეომაგნიტოფონს, ღირებულებას 70 000 მანეთად, 8 ცალ ვიდეოკასეტას, ღირებულებას 2400 მანეთად, მაგნიტოფონის 15 ცალ ვიდეოკასეტას, ღირებულებას 2250 მანეთად, ერთ წყვილ ოქროს საყურეს, ღირებულებას 3000 მანეთად, „სანიოს“ სისტემის მაგნიტოფონს, ღირებულებას 10 000 მანეთად, ერთი წყვილ ოქროს საყურეს, ღირებულებას 1500 მანეთად, პერანგის საყელოზე შესაბნევ ერთ წყვილ ოქროს შესაბნევს, ღირებულებას 2000 მანეთად, ერთ წყვილ ოქროს საყურეს, ღირებულებას 4500 მანეთად, ერთ წყვილ ვერცხლის საყურეს ღირებულებას 7000 მანეთად, ვერცხლის რგოლის ბეჭედს, ღირებულებას 1500 მანეთად, ერთ წყვილ ვერცხლის საყურეს, ღირებულებას 1500 მანეთად, ვერცხლის ბეჭედს, ღირებულებას 500 მანეთად, ვერცხლის ბეჭედს, ღირებულებას 500 მანეთად, ერთ წყვილ ქალის მძივს, ღირებულებას 500 მანეთად, ყელსაბამს „ფიონიტის“ თვლებით, ღირებულებას 500 მანეთად, ერთ წყვილ საყურეს „ფიონიტის“ თვლებით, ღირებულებას 1500 მანეთად.

გარდა ამისა, ყაჩაღური გზით დაეუფლნენ ა. წ-ს კუთვნილ ქონებას – ოქროს სამაჯურს ბრილიანტის თვლებით, ღირებულებას 40 000 მანეთად, ოქროს ყელსაბამს კულონით, ღირებულებას 12000 მანეთად, ოქროს ყელსაბამს, ღირებულებას 8000 მანეთად, ოქროს ბეჭედს ბრილიანტის თვლებით, ღირებულებას 10 000 მანეთად, ერთ წყვილ ოქროს საყურეს ქარვის თვლებით, ღირებულებას 3000 მანეთად, ოქროს ერთ წყვილ საყურეს რგოლებით, ღირებულებას 7000 მანეთად, ქალის ქურთუკს ღირებულებას 350 აშშ დოლარად, „სანიოს“ სისტემის მაგნიტოფონს, ღირებულებას 1000 მანეთად, მაგნიტოფონს „ვენსა-2012“, ღირებულებას 3500 მანეთად, უცხოურ მაგნიტოფონს ღირებულებას 15 000 მანეთად, ქალის კოლგოტებს, ღირებულებას 400 მანეთად. სულ იგი გ. ს-ა და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად ყაჩაღური გზით დაეუფლა ნ. წ-ს კუთვნილ – 457541 მანეთისა და ა. წ-ს კუთვნილ – 108 900 მანეთისა და 350 აშშ დოლარის ქონებას. დანაშაულის ჩადენის შემდეგ იგი ს-ა და სხვა გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად მიიძალა.

მანვე განმეორებით, 1992 წლის 20 მაისს, დაახლოებით 2 საათზე, ხ-ს რაიონის დაბა მ-ი ქ-ნ წინასწარი შეთანხმებით და მასთან ერთად ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარის გამოყენება, რაც შემდეგში გამოიხატა: მან ე. ქ-ნ ერთად შეაღწია გ. ფ-ს საცხოვრებელ სახლში, სანადირო თოფის გამოყენებისა და ე. ქ-ს მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით, ყაჩაღური გზით წაართვეს 300 000 მანეთი, ტყავის ქურთუკი, ღირებულებას 12 000 მანეთად, ოქროს ჯაჭვი, ღირებულებას 20 000 მანეთად, ოქროს ჯაჭვი, ღირებულებას 40 000 მანეთად. სულ იგი ე. ქ-ნ ერთად ყაჩაღური გზით დაეუფლა გ. ფ-

ს კუთვნილ – 372000 მანეთის ქონებას. დანაშაულის ჩადენის შემდეგ იგი ე. ქ-ნ ერთად შემთხვევის ადგილიდან გამოძიებით დაუდგენელი ავტომანქანით მიიშალა.

მანვე განმეორებით, 1992 წლის 20 მაისს, დაახლოებით 1 საათზე, ხ-ის რაიონის სოფ. ა-ში გ. ს-ა და ე. ქ-ნ წინასწარი შეთანხმებით და მასთან ერთად ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარის გამოყენება, რაც შემდეგში გამოიხატა: მან გ. ს-ა და ე. ქ-ნ ერთად შეაღწია შ. შ-ის საცხოვრებელ სახლში, თვითონ – პისტოლეტით და ხელყუმბარით, გ. ს-მ – პისტოლეტით და დანით, ასევე ხელყუმბარით, ე. ქ-მ – რევოლვერის მუქარით წაართვეს შ. შ-ს სამი ცალი ოქროს ძეწკვი, თითო ღირებული 2000 მანეთად, ოქროს „ზიმის“ მარკის საათი, ღირებული 40 000 მანეთად, ოქროს „ჩაიკის“ საათი, თავისივე ოქროს სამაჯურით, ღირებული 70 000 მანეთად, ოქროს ბეჭედი წითელი ფერის თვლით, ღირებული 10 000 მანეთად, ერთი წყვილი ოქროს ყურსაკიდი, ღირებული 6000 მანეთად, ორი ოქროს რგოლის ბეჭედი, საერთო ღირებულებით 18 000 მანეთი, ასევე – 101 აშშ დოლარი.

აღნიშნული ქონების დაუფლების შემდეგ ის რამდენიმე საათის განმავლობაში ს-ა და ქ-ნ ერთად განაგრძობდა შ. შ-ა და მისი ოჯახის წევრების ტერორიზებას და მუქარას ფულისა და სამკაულების დაუფლების მიზნით, რა დროსაც ის ს-სა და ქ-ნ ერთად დააკავეს მილიციის მუშაკებმა, დაკავების დროს მისგან ამოიღეს ხელყუმბარა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 11 იანვრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 1995 წლის 2 ივნისის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის საფუძველზე, ბ. ჩ-ი გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1961 წლის რედაქცია) დანიშნული როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

ბ. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-5 პუნქტებით (1961 წლის რედაქცია) და მიესაჯა 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; მას დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბ. ჩ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 26 ივლისიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 11 მაისიდან 2012 წლის 26 ივლისის ჩათვლით, ასევე 1992 წლის 29 მაისიდან 1994 წლის 11 მარტის ჩათვლით.

მსჯავრდებული ბ. ჩ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეატანს იმ მიმართებით, რომ მას მოხდილად უნდა ჩაეთვალოს დანიშნული სასჯელი, ვინაიდან იგი უკრაინაში პატიმრობაში იმყოფებოდა 1995 წლიდან 2004 წლამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნებს მათი უსაფუძვლობის გამო. დადგენილია, რომ მსჯავრდებული უკრაინაში სასჯელს იხდიდა იქ ჩადენილი დანაშაულისათვის, რაც მან მთლიანად მოიხადა 2012 წლის 11 მაისს ლ-ის ოლქის პ-ს № სასჯელალსრულების დანესებულებაში და იმავე დღეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2009 წლის 22 დეკემბრის თხოვნის საფუძველზე, დააკავეს და საექსტრადიციო პატიმრობა შეეფარდა უკრაინის რესპუბლიკის ლ-ს ოლქის პ-ს რაიონული სასამართლოს მოსამართლის დადგენილებით, ამავე რაიონის პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. 1998 წლის 20 თებერვლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულ ბ. ჩ-ს გასაჩივრებული განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადაში კანონიერად ჩაეთვალა საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 11 მაისიდან (მისი დაკავების დღიდან) 2012 წლის 26 ივლისის ჩათვლით (მისი ფაქტობრივი გადმოცემის დღის ჩათვლით).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა განაჩენით მას უნდა დასწყებოდა 2009 წლიდან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მტკიცებულებით საფუძველს მოკლებულია და გაზიარებული ვერ იქნება.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ყაჩაღობისათვის სასჯელის მაქსიმალურ ვადას 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით ჩადენილი დანაშაულისათვის ითვალისწინებს 9 წლით თავისუფლების აღკვეთას და დანიშნული სასჯელი მის მიმართ არ უნდა ყოფილიყო ამ ვადაზე მეტი, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და მიაჩნია, რომ უკანონოდ მოსახდელად დაუტოვა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, „დღეს-ს“ ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, უკრაინაში ჩადენილი დანაშაულისათვის მოხდილი სასჯელით მას ასევე მოხდილად უნდა ჩათვლოდა საქართველოში ყაჩაღობისათვის დანიშნული სასჯელიც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის არგუმენტები ამ შემთხვევაშიც სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან ბ. ჩ-ს მსჯავრი დაედო 1961 წლის რედაქციის საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტით (პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით) და მე-5 პუნქტით (ბინაში შეღწევით) ყაჩაღობის ჩადენისათვის, რისთვისაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული იყო 6-დან 15 წლამდე ვადით. დღეს მოქმედი სისხლის სამართ-

თლის კოდექსი 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად) და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ჩადენილი ქმედებისათვის (ყაჩაღობა ბინაში უკანონო შეღწევით) სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს 8-დან 12 წლამდე ვადით და ამ შემთხვევაში სასამართლოს საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მოთხოვნები არ დაურღვევია, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენით სასამართლოს არც „დსთ-ს“ ქვეყნების 1993 წლის 21 იანვრის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ“ მინსკის კონვენციით მიღებული დებულებები, რომელიც საქართველოში ძალაშია 1996 წლის 11 ივნისიდან, არ დაურღვევია და კონვენცია არც ითვალისწინებს სხვა ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულისათვის მოხდილი სასჯელის ვადაში საქართველოს სასამართლოების მიერ დანიშნული სასჯელის ვადის ჩათვლას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ასევე დაუსაბუთებელია კასატორის მოთხოვნა ავადმყოფობის მოტივით განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ, ვინაიდან საქმეზე არ ჩატარებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და კასატორის მოთხოვნა დაფუძნებულია სასჯელაღსრულების №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დანესებულების მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობაზე, რაც საპროცესო კანონმდებლობით არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების გადავადებას. პალატა აღნიშნავს, რომ როგორც ადრე მოქმედი, ასევე ახლა მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმპერატიულად ითხოვს, მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად სასამართლოს წარედგინოს სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო დანესებულებაში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა. ექსპერტიზა არ ჩატარებულა და დასკვნა სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, მოთხოვნა დაუსაბუთებელია და გაზიარებული ვერ იქნება.

პალატა აღნიშნავს, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის განჩინება მსჯავრდებულ ბ. ჩ.-ს მიმართ „2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების შესახებ კანონშეუსაბამოა და უნდა გაუქმდეს, რადგანაც განჩინების მიღების მომენტისათვის საქმეზე ჯერ არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 იანვრის განაჩენი ბ. ჩ.-ს მიმართ საკასაციო წესით გასაჩივრებული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, „ამნისტიის შესახებ“ შემოხსენებული კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხი, შესაბამისად, გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში მიღებული აქვს არაუფლებამოსილ სასამართლოს, რაც ხსენებული განჩინების გაუქმების კანონიერ საფუძველს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, საკასაციო საჩივრის განხილვის პარალელურად დაუბრუნდეს „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენების საკითხს და არსებითად გადაწყვიტოს იგი განაჩენში ცვლილებების შეტანის გზით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 1961 წლის რედაქციის 152-ე მუხლი დამატებითი სასჯელის სახით არ ითვალისწინებდა ჯარიმის გამოყენებას და მსჯავრდებული უნდა გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის სახით განაჩენით დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა 1998 წლის 20 თებერვლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე, 549-ე, 551-ე, 555-ე, 561-ე, 571-ე მუხლებით, „ამნისტიის შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. ჩ.-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის განჩინება მსჯავრდებულ ბ. ჩ.-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 11 იანვრის განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ შევიდეს ცვლილება კერძოდ:

ბ. ჩ.-ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 11 იანვრის განაჩენით 1961 წლის რედაქციის საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 10 წლითა და 3 თვით – „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს 7 წლით, 8 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა;

ბ. ჩ.-ს დანიშნული საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს 2012 წლის 26 ივლისიდან (ექსტრადიციის შედეგად უ-ნ საქართველოს სასჯელაღსრულების დანესებულებაში შემოსახლების მომენტიდან) ბ. ჩ.-ს დანიშნული სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს მოცემულ საქმეზე საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 11 მაისიდან 2012 წლის 26 ივლისის ჩათვლით, ასევე – 1992 წლის 29 მაისიდან (დაკავებიდან) 1994 წლის 11 მარტის ჩათვლით (მოცემულ საქმეზე სასჯელაღსრულების დანესებულებიდან გაქცევის თარიღის ჩათვლით).

ბ. ჩ.-ი გათავისუფლდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 იანვრის განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის – 5000 ლარი ჯარიმის – გადახდისაგან.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შემცირება მეტიმეტი სიმკაცრის გამო

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№15-აპ-13

11 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლო-
ბით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. მ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განაჩენით დ. მ-ი ცნობილ იქნა დამ-
ნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, რაც გამოიხატა
შემდეგში:

2012 წლის 24 მაისს, დაახლოებით 18 საათზე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ..., საყანე ფართობში, იმყო-
ვებოდნენ ამავე სოფელში მცხოვრები დ. მ-ი, ვ. ჭ-ე, გ. თ-ა, თ. თ-ე და იქვე გაშლილ სუფრაზე სვამდნენ
ღვინოს. სუფრასთან ყოფნისას ნასვამ დ. მ-სა და ვ. ჯ-ეს შორის მოხდა შელაპარაკება რამდენიმე წლის
წინ ვ. ჯ-ის თხის დაკარგვის გამო. კამათის დროს ვ. ჯ-ემ ხელი გაარტყა სახეში დ. მ-ს, რამაც იგი გაანაწ-
ყენა და განიზრახა ვ. ჯ-ის მოკვლა, რა მიზნითაც აიღო იქვე დაგდებული ხის ჯოხი და მოუქნია მას. დ. მ-ს
წინ გადაუდგა ხმაურზე მისული მ. ჯ-ე, თუმცა დ. მ-მა მას თავი დააღწია და ხის ჯოხი თავის არეში, მარ-
ცხენა ყურთან, ჩაარტყა ვ. ჯ-ეს, რომელიც დარტყმის გამო წაიქცა და დაკარგა გონება. იქ მყოფმა პირებმა
ვ. ჯ-ე გადაიყვანეს საცხოვრებელ სახლში, სადაც რამდენიმე ხანში გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. მ-ს მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო
2012 წლის 25 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება, რაც
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივ-
რებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული დ. მ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას ვ. ჯ-ის მოკვლის გან-
ზრახვა არ ჰქონია და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მი-
ვიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში
უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დას-
ტურდება, რომ დ. მ-მა წამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმე-
დება. მისი ბრალეულობა დადასტურებულია მონემების – თ. ჭ-ის, ო. გ-ის, ნ. ყ-ის, გ. ჯ-ის, მ. ჯ-ის, გ. თ-ას,
თ. თ-ის, გ. ბ-ის ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

ამასთან, საკასაციო პალატა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს დ.
მ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრე-
ბას, მის ყოფაქცევას ქმედების შემდეგ და მიაჩნია, რომ მისთვის დანიშნული სასჯელი – 12 წლით თავი-
სუფლების აღკვეთა არის მეტისმეტად მკაცრი და უნდა შემცირდეს. კერძოდ: დ. მ-ს 3 წლით უნდა შეუმ-
ცირდეს დანიშნული სასჯელი და მიესაჯოს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“
2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე უნდა შეუმცირდეს ერთი მე-
ოთხედით და საბოლოოდ სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღ-
კვეთა, ვინაიდან სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მიეკუთვნება განსაკუთრებით
მძიმე კატეგორიის დანაშაულებს და მასზე ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემ-
ბრის საქართველოს კანონის 1-ლი-მე-15 მუხლების მოქმედება.

სარეზოლუციო ნაწილი:
პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვე-
პუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-
16 მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის
განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:
დ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის მიესაჯოს 9
წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანო-
ნის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზ-
ღვროს 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის
განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელთა ნაწილობრივი შეკრება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№38-აპ-13

15 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლო-
ბით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 9 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 19 ივლისის
განაჩენით ლ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის
„ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“
ქვეპუნქტით – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწი-
ლობრივ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სას-
ჯელს – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას დაემატა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“,
„დ“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელიდან – თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით და
საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლითა და 3 თვით თავი-
სუფლების აღკვეთა. ლ. ნ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 27 დეკემბრიდან.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. ს-ს შუამდგომლობა, რომელსაც
ეთანხმება ზემდგომი პროკურორი ვ. ლ-ა, დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. ს-ა და ბრალდე-
ბულებს – დ. ტ-ა და ლ. ტ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ლ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვე-
პუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას საქართვე-
ლოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამო-
საცდელი ვადით.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯა-
რიმა – 3000 ლარის ოდენობით.

ლ. ტ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2011 წლის 27 დეკემბრიდან
2012 წლის 19 ივლისის ჩათვლით და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

დ. ტ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვე-
პუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას საქართვე-
ლოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამო-
საცდელი ვადით.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

დ. ტ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2011 წლის 27 დეკემბრიდან 2012 წლის 19 ივლისის ჩათვლით და გათავისუფლდა სასამართლოს სხდომის დარბაზიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების – ლ. ტ-ს, დ. ტ-ა და ლ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ლ. ნ-მ ცოლად მოყვანის მიზნით განიზრახა, თავისუფლება აღეკვეთა 17 წლის მ. ც-ს, რომელიც იყო მისი მეზობელი და აღნიშნულის კატეგორიული წინააღმდეგი. თავისი განზრახვა მან გაანდო მეგობრებს, ძმებს – დ. და ლ. ტ-ს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ მარიამის ასაკი, ამაზე დათანხმდნენ. 2011 წლის 18 ნოემბერს, დაახლოებით 15.00-16.00 საათზე, მოლაპარაკებისამებრ „ფოლკსვაგენ გოლფ-4“ ფირმის ავტომანქანით სახ. №, რომლის საჭესთან დ. ტ-ი იჯდა, მივიდნენ ქ. თ-ი, 70-ე სკოლის შენობასთან და დაელოდნენ მ. ც-ს. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ლ. ნ-მ და ლ. ტ-ა ფეხით მიმავალი მ. ც-ე ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში, კარები ჩაკეტეს და ო-ს მიმართულებით წაიყვანეს. მათ განზრახული ჰქონდათ რ-ი წასვლა, მაგრამ უამინდობის გამო წავიდნენ კ-ი, ა-ს რაიონის სოფელ მ-ი, ძმებ ტ-ს საცხოვრებელ სახლში, სადაც ლ. ნ-მ იგი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით გააუპატიურა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 9 იანვრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ლ. ნ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს ლ. ნ-ს უდანაშაულობის თაობაზე. მსჯავრდებულ ლ. ნ-ს მიერ ბრალად შეარაცხული დანაშაულების ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ მ. ც-ს, მონშეების – დ. ტ-ს, ლ. ტ-ს, ნ. ზ-ს, ე. ც-ს, თ. ც-ს, მ. ც-ს, მ. ა-ს, ნ. ა-ა და სხვათა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერებით, მ. ც-ს ტელეფონზე განხორციელებული ზარების დეტალური ჩანაწერებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ლ. ნ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით, რაც შეადგენს 2 წელს, 9 თვესა და 23 დღეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით, რაც შეადგენს 7 წელს, 1 თვესა და 15 დღეს.

საბოლოოდ მსჯავრდებულ ლ. ნ-ს მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 წლით, 11 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ნ-ს სასჯელის მოხდა უნდა დაეწყოს 2011 წლის 27 დეკემბრიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 9 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს ერთი მეოთხედით, რაც შეადგენს 2 წელს, 9 თვესა და 23 დღეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს ერთი მეოთხედით, რაც შეადგენს 7 წელს, 1 თვესა და 15 დღეს.

საბოლოოდ მსჯავრდებულ ლ. ნ-ს მოსახდელად განესაზღვროს 9 წლით, 11 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ნ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2011 წლის 27 დეკემბრიდან.
განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№332-აპ-13

5 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის განაჩენით ნ. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი.

სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე მოსახდელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით ნ. ჩ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა – 12 000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 10 მაისიდან.

იმავე განაჩენით: მ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი.

სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე მოსახდელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, მ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა – 12 000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 10 მაისიდან.

გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი.

სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე მოსახდელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, გ. ტ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა – 12 000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 10 მაისიდან.

ხ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის შესაბამისად ჩაეთვალა პირობით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი.

სსკ-ის 25,362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის შესაბამისად ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, ხ. ბ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამო-საცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 10 მაისიდან. მას ასევე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის 2 დღე.

განაჩენით ნ. ჩ-ს მსჯავრი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებაში მოტყუებით, დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ნ. ჩ-ის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის აგვისტოში ნ. ჩ-მა გამოიძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ყალბი დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით, ქ. თბილისში, ...-ისა და ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, სახელმწიფოს კუთვნილი საკარმიდამო დანიშნულების დიდი ოდენობის – 5000 კვ.მ საერთო ფართობის, ხუთი მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლება მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ზემოხსენებული მიწის ნაკვეთები, თავის მხრივ, ყალბი უფლების დამდგენი დოკუმენტების საფუძველზე, ფიქტიურად დარეგისტრირებული იყო რ. შ-ის, თ. ჩ-ის, ხ. ხ-ის, ნ. ბ-ისა და მ. ხ-ის სახელზე. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. ჩ-მა დაამზადა 2008 წლის 23 იანვრით დათარიღებული ნოტარიუს დ. ქ-ის სახელით დამოწმებული ყალბი ნასყიდობის ხელშეკრულებები №..., №..., ..., ..., რომლებშიც შეიტანა მონაცემები არარსებული გარიგების შესახებ, რომ თითქოსდა რ. შ-მა, თ. ჩ-მა, ხ. ხ-ემ, ნ. ბ-მა და მ. ხ-მა ქ. თბილისში, ...-ისა და ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: №..., ..., ..., ... მიყიდეს ნ. ჩ-ს, მაშინ, როდესაც ხსენებულმა პირებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ნ. ჩ-მა მითითებული ყალბი ხელშეკრულებები სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, სადაც №..., ..., ..., ... მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებულ იქნა ნ. ჩ-ის საკუთრების უფლება. აღნიშნულის შემდეგ, მოქმედებდა რა მატერიალური გამორჩენის მიღების განზრახვით, 2009 წლის 21 აგვისტოდან 2010 წლის 17 თებერვლის პერიოდში ნ. ჩ-მა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთები გაასხვისა კ. ბ-ზე, გ. გ-ზე, ხ. ბ-ზე, ო. გ-სა და ნ. ხ-ზე, რითაც სახელმწიფოს მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ჩ-მა და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულების: ნ. ჩ-ის, მ. ა-ის, გ. ტ-ის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მ. ა-ს შორის. სხვა მსჯავრდებულთა მიმართ საქმე აცილებულ იქნა და გადაეცა სხვა შემადგენლობას.

მ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 1 წელი, 6 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 5 წელი ჩაეთვალა პირობით, მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 200.000 ლარი.

სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, მ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 1 წელი და 6 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულებით დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 6 წელი ჩაეთვალა პირობით, 7 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 200.000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 10 მაისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორ ლ. ფ-სა და მსჯავრდებულ გ. ტ-ეს შორის.

გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10.000 ლარი.

სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გ. ტ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 5 წელი განესაზღვრა სასჯელალსრულებით დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი ჩაეთვალა პირობით, ხოლო დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 10.000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა 2009 წლის 4 აგვისტოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, რაც იმავე გა-

ნაჩენით სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვლილი აქვს პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით და საბოლოოდ გ. ტ-ეს სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 5 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 10 მაისიდან.

საქმე ნ. ჩ-ის მიმართ გადაეცა სხვა შემადგენლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის განაჩენი ნ. ჩ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ჩ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ მას შერაცხული დანაშაული არ ჩაუდენია და, ამდენად, ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მისი გამართლების თაობაზე, უსაფუძვლოდ გამო.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან ამოღებული დოკუმენტაციით, „საქალაქროსსერვისის“ თანამშრომლების განმარტებით, დანაშაულის ჩადენის პერიოდში გაცემული მინის ნაკვეთის ყალბი მიღება-ჩაბარების აქტებით, მონმე დ. ქ-ის განმარტებით იმის თაობაზე, რომ საქმეში მოთავსებული სანოტარო აქტები მის მიერ შედგენილი და დამონმებული არ არის და გაყალბებულია როგორც მისი ხელმოწერა, ისე ნოტარიუსის ბეჭედი და მონმეთა ჩვენებებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამდენად, საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე დადგენილადაა მიჩნეული, რომ მსჯავრდებულის აქტიური მოქმედებით განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 5.000 კვ.მ მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლება, რითაც სახელმწიფოს მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად: „გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია“.

რადგან ამ შემთხვევაში დაზარალებული მხარეა სახელმწიფო, რომლის წარმომადგენელმაც 2013 წლის 14 თებერვალს წერილობით განაცხადა უარი დაზარალებულის მიმართ ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელებაზე, ხოლო მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედება მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, მასზე უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მოქმედება.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს 1/3-ით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 8 წელი და სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წელი. მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს სასჯელად უნდა განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 5 წლითა და 4 თვით, ხოლო სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, ნ. ჩ-ს საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 6 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყო 2010 წლის 10 მაისიდან.

მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 12.000 ლარი – უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4, მე-18 მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:
„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს 1/3-ით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 8 წელი და სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წელი. მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს სასჯელად განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 5 წლითა და 4 თვით, ხოლო სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა.
საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, ნ. ჩ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 6 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ვადის ათვლა დაეწეოს 2010 წლის 10 მაისიდან.
მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 12.000 ლარი – დარჩეს უცვლელად.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ა ლ ი ტ

№30-აპ-13 10 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ კ. ნ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:
თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 ივნისის განაჩენით კ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანიშნული სასჯელი „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, გაუნახევრდა და მოსახდელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. კ. ნ-ეს სასჯელის მოხდა დაეწეო 2012 წლის 7 მარტიდან.
განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ კ. ნ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:
2006 წლის ზაფხულში კ. ნ-ეს სურდა სესხის სახით ფულადი თანხის მიღება, რის გამოც დაუკავშირდა ც. ე-ს, რომელმაც ამაზე ამ უკანასკნელმა თანხმობა განუცხადა და 2006 წლის 1 აგვისტოს, ვინაიდან ც. ე-ს არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მის ნათესავს, ო. შ-სა და კ. ნ-ეს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ც. ე-მა კ. ნ-ეს 4000 აშშ დოლარი ასესხა, სანაცვლოდ კი, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, თავისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ...-ის ქუჩა №, ბინა № იპოთეკით დაუტვირთა. აღნიშნულის შემდეგ კ. ნ-ეს სურდა კვლავ სესხის სახით ფულადი თანხის მიღება, რის თაობაზეც შეატყობინა გამოძიებით ამ ეტაპზე დაუდგენელ პირს, რომელმაც ყალბად დაუმზადა სანოტარო აქტი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა კ. ნ-მ და ო. შ-მ ურთიერთშეთანხმებით, ვალდებულებათა სრულად შესრულების საფუძველზე, გააუქმეს მათ შორის დადებული 2006 წლის 1 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. 2006 წლის 11 დეკემბერს ხსენებული ყალბი სანოტარო აქტი კ. ნ-ემ საჯარო რეესტრში

წარადგინა და თავის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთულ ბინაზე მოახდინა იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაცია, რის შემდეგაც ც. ე-ს კ. ნ-ემ მიღებული თანხიდან დაუბრუნა მხოლოდ 2100 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხის მიღების შესაძლებლობა მოუსპო, ვინაიდან გაუქმებული იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რამაც ც. ე-ისათვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი გამოიწვია.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ კ. ნ-ემ განაგრძო დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. ნ-ისათვის ცნობილი იყო, რომ მ. კ-ს სურდა საცხოვრებელი ბინის დაგირავება და გადაწყვიტა მოტყუებით დაუფლებოდა მ. კ-ის კუთვნილ ფულად თანხას. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიზნით, 2011 წლის ოქტომბერში კ. ნ-მ მ. კ-ს უთხრა, რომ თითქმის ჰქონდა თბილისში, მე-მ/რაიონი, კორპუსი №, ბინა №-ში მდებარე თავისუფალი საცხოვრებელი ბინა და 7000 აშშ დოლარის სანაცვლოდ შეძლებდა დაგირავებას, რაზეც მ. კ-ი დათანხმდა. კ. ნ-მ მ. კ-ს არ შეატყობინა იმის თაობაზე, რომ ხსენებულ საცხოვრებელ ბინაში თვითნებურად შევიდა და იმ პერიოდში აღნიშნული ბინა რეგისტრირებული იყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“-ის საკუთრების უფლებით. ამასთანავე, მფლობელი იყო ა. ა-ი. მან მ. კ-ი დაარწმუნა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მის საკუთრებაში გადავიდოდა ბინა, რის შემდეგაც გაუფორმებდა მას სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას. მეტი ნდობის მოპოვების მიზნით მან მ. კ-ს წარუდგინა თავისი პირადობის მოწმობა, სადაც მითითებული იყო, რომ კ. ნ-ე რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში, მ/რაიონი, კორპუსი №, ბინა №-ში, რითაც მისი ნდობა მოიპოვა და 2011 წლის 19 ოქტომბერს მ. კ-მა კ. ნ-ს, ...-ის ქუჩა №-ში მდებარე სანოტარო ბიუროში ფულადი თანხა – 7000 დოლარი გადასცა, რის შემდეგაც საცხოვრებლად გადავიდა ზემოხსენებულ ბინაში, თუმცა მეორე დღეს მ. კ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ ბინა იყო სხვა მოქალაქის კუთვნილი და კ. ნ-ე მოტყუებით მის კუთვნილ ფულად თანხას დაეუფლა, რის გამოც იძულებული გახდა ა. ა-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა დაეტოვებინა. ამდენად, კ. ნ-ე მ. კ-ის კუთვნილ ფულად თანხას მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა, რითაც მას მიაყენა 11600 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული კ. ნ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს იმის შესახებ, რომ დაზარალებულისა და მონქმეთა ჩვენებები, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებები, საქმეზე ჩატარებული გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა, კომპლექსურ და საჯარო რეესტრების სამსახურებიდან ამოღებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, გონივრული ეჭვის მიღმა დადგენილი სტანდარტებით ადასტურებენ კ. ნ-ის ბრალეულობას მისთვის ინკრიმინირებულ ქმედებებში. ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს პირველი ინსტანციის სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის არგუმენტები მისი მძიმე ოჯახური პირობების გათვალისწინებით დანიშნული სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ კანონმდებლობაში და გაზიარებული ვერ იქნება; ამასთან, დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი დღემდე სრულად ანაზღაურებული არ არის და მის მიერ დაფიქსირებული პოზიციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია კანონიერ შესაძლებლობას, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კასატორის სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-4 მუხლით, 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენში, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2013 წლის 17 აპრილის სა-

ქართველოს კანონით დადგენილი, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ კ. ნ-ის სასიკეთოდ, კერძოდ:

კ. ნ-ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/3-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 8 თვის ვადით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახევრდეს და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 4 თვის ვადით.

კ. ნ-ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/3-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 8 თვის ვადით.

2013 წლის 17 აპრილის რედაქციის საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ კ. ნ-ეს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 8 თვით.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა კ. ნ-ეს დაეწეოს დაკავების დღიდან, 2012 წლის 7 მარტიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№81-აპ-13

24 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. ქ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 იანვრის განაჩენით ა. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ა. ქ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 27 ივლისიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ა. ქ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 25 ივლისს ქ-ი, ი. ნ-ს სახელობის ეკლესიის ეზოში მდებარე კელიაში, თ. ა-ე აღნიშნავდა დაბადების დღეს, სადაც სხვა პირებთან ერთად სტუმრად მიწვეული ჰყავდა ა. ქ-ე, დ. ჩ-ე, გ. ლ-ე და ქ. დ-ა. სუფრაზე „იმედის“ საღებავებთან დაკავშირებით კამათი მოუვიდათ ა. ქ-ს და დ. ჩ-ს. გარკვეული უთანხმოება მოხდა ეკლესიის ეზოშიც, ხოლო ამის შემდეგ დ. ჩ-ე, გ. ლ-ე და ქ. დ-ა ბრალდებულის მოთხოვნის საფუძველზე წავიდნენ მ-ს ქუჩაზე. მათ ასევე გაჰყვა გ. ა-ც. მ-ს ქუჩაზე მისვლის შემდეგ, ა. ქ-მ გამოიყვანა ზ. მ-ი და დ. ჩ-ს მოსთხოვა მოეყოლა ყველაფერი. მას შემდეგ, რაც დ. ჩ-მ დაიწყო საუბარი მომხდართან დაკავშირებით, ა. ქ-ე განერვიულდა, ყელის გამოჭრით დაემუქრა ჯერ დ. ჩ-ს, ხოლო შემდეგ – გ. ლ-ს. ურთიერთშელაპარაკებისას ა. ქ-მ დანის გულმკერდის არეში დარტყმით სცადა გ. ლ-ს და დ. ჩ-ს მოკლა, თუმცა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

გარდა ამისა, სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ასევე ის გარემოებაც, რომ 2005 წლის 19 მაისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევ ი. ქ-ე 2012 წლის 26 ივლისს ატარებდა ცივი იარაღს – დანას, რაც ამოიღეს მისი დაკავების შემდეგ.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მოსახდელად განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მოსახდელად განესაზღვრა 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვრა 13 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. ა. ქ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 27 ივლისიდან.

მსჯავრდებული ა. ქ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის დადგენილი სანქციის ფარგლებში განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ კასატორის არგუმენტები იმის შესახებ, რომ მას არავითარი განზრახვა დაზარალებულთა მკვლელობის თაობაზე არ ჰქონია, საფუძველს მოკლებულია და გაზიარებული ვერ იქნება.

დაზარალებულების – დ. ჩ-ა და გ. ლ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ ეკლესიის ეზოში სადღეგრძელოსთან დაკავშირებით წარმოშობილი უთანხმოების უკეთ გარკვევის საბაბით ა. ქ-მ დაჟინებით მოსთხოვა დაზარალებულებს ქ-ი, მ-ს ქუჩაზე გასვლა, სადაც დაპირისპირებული მხარეები თანმხლებ პირებთან ერთად მივიდნენ. კამათში დაზარალებულთა პოზიციით უკმაყოფილო ა. ქ-ე ყელის გამოჭრით დაემუქრა დ. ჩ-ს და ამ უკანასკნელს გამოქომაგებულ გ. ლ-ს, რის შემდეგაც გამწვავებულ კამათს ა. ქ-ს მხრიდან სწრაფად მოჰყვა დანის გამოყენება და მან ორივე დაზარალებულს დანის დარტყმით მიაყენა გულმკერდის მარცხენა ნახევარში შემავალი, მძიმე ხარისხის, სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანებები.

შემთხვევის ადგილზე ა. ქ-ს მხრიდან დაზარალებულთა მისამართით გამოთქმულ ყელის გამოჭრის მუქარას, რომელსაც ფაქტობრივად იმავდროულად მოჰყვა დანის გამოყენებაც, თავიანთ ჩვენებებში ასევე ადასტურებენ მოწმეები: გ. ა-ე, ზ. მ-ი და ქ. დ-ა, დადგენილია, რომ სწორედ ამ უკანასკნელის აქტიურ მოქმედებას მოჰყვა ა. ქ-ს ქმედებების აღკვეთა.

დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით, საქმის გარემოებებთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია ა. ქ-ს მიერ მისთვის ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა. სასამართლომ სრულყოფილად გამოიკვლია წარმოდგენილი მტკიცებულებები, ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და იურიდიული კვალიფიკაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განაჩენით, მსჯავრდებულ ა. ქ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, 1/4-ით შეუმცირდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლით, 1 თვითა და 15 დღით;

საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნულ განაჩენში „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შეიტანოს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას ამ მუხლის მე-3 ნაწილის პირველი აბზაციით დადგენილი უფრო მკაცრი სასჯელით, ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ქ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ა. ქ-ს მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ „ამ-
ნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, საქართვე-
ლოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათ-
ვის 1/4-ით შემცირებულმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 12 წლისა და 9 თვის ვადით – შთანთქას
ნაკლებად მკაცრი – საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებუ-
ლი დანაშაულის ჩადენისათვის 1/4-ით შემცირებული სასჯელი – 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღ-
კვეთა და საბოლოოდ ა. ქ-ს მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლითა და 9 თვით.

ა. ქ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავების დღიდან – 2012 წლის 27 ივლისიდან.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტია უკვე მოქმედებს

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№31-აპ-13

19 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლო-
ბით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 მარ-
ტის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი პუნქტით (1960
წლის რედაქცია), სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის ცვლილებებით), სსკ-ის
105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია), სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი პუნქტით (1960 წლის რედაქცია) სსკ-
ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2005 წლის ცვლილებებით) და სასჯელის სახედ
და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 11 წლით თავისუფლების
აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე გ. გ-ის
დანაშაულთა ერთობლიობით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს დაემატა გ. გ-ის მი-
მართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით და-
ნიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – უვადო თავისუფლების აღკვეთა და განაჩენთა ერთობლიობით გ.
გ-ის საბოლოოდ შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით გ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა მოქალაქეთა
პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში
ძალადობა, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად;

მანვე ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ანგარებით (ო. კ-ის ეპიზოდ);

მანვე ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე (ჯ. გ-ის მკვლელობის ეპი-
ზოდ);

მანვე ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ანგარებით და ყაჩაღობა, ე.ი. თავ-
დასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯან-
მრთელობისათვის საშიში ძალადობა, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, სხეულის მძიმე დაზიანებით,
ბინაში უკანონო შეღწევით (ა. თ-ის ეპიზოდ).

მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

გ. გ-ის სათანადო ნებართვის გარეშე შეძენილი ჰქონდა „მკაროვის“ სისტემის №... ცეცხლსასროლი
იარაღი, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა და ატარებდა.

1996 წლის 5 ნოემბერს, 9.00 საათზე, გ. გ-ე გამოძიებით დაუდგენელ პირთა ჯგუფთან ერთად წინასწარი
შეთანხმებით, თბილისში, მ-ის დასახლების მე-... მიკრორაიონის წინ მდებარე თავის ავტოფარეხთან, პი-
რადი ქონების დაუფლებისა და ანგარებით მოკვლის მიზნით, ყაჩაღურად თავს დაესხა მოქალაქე შ. კ-ს,
რომელსაც სამი ტყვია ესროლა მუცლისა და თავის არეში, გასტაცა დაახლოებით 5000 აშშ დოლარი და
შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

მუცლის ღრუში მიყენებული დაზიანების შედეგად ო. კ-ი 1996 წლის 15 ნოემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

1996 წლის 29 ნოემბერს, დაახლოებით 4 საათზე, გ. გ-ემ თბილისში, ქ-ის ქუჩის №... კორპუსის მე-... სადარბაზოში, მე-5 და მე-6 სართულებს შორის არსებულ ბაქანზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელიც გამოძიებით დაუდგენელ დროს უკანონოდ ჰქონდა შეძენილი და ასევე უკანონოდ ატარებდა, განზრახ მოკვლის მიზნით, ესროლა მოქალაქე ჯ. გ-ეს და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ჯ. გ-ე თავის არეში მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

გ. გ-ემ, სხვისი პირადი ქონების დაუფლებისა და ანგარებით მოკვლის მიზნით, განიზრახა ყაჩაღურად თავს დასხმოდა თბილისში, ცენტრალური რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მომუშავე ა. თ-სა და ლ. ი-ს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი წინასწარი შეთანხმებით, გამოძიებით დაუდგენელ პირთა ჯგუფთან ერთად, 1996 წლის 7 დეკემბერს, დაახლოებით 17.45 საათზე, ა. თ-ს დახვდა თბილისში, რა დროსაც ეს უკანასკნელი ლ. ი-თან ერთად შედიოდა სახლში. გ. გ-ე გამოძიებით დაუდგენელ დროს სათანადო ნებართვის გარეშე შეძენილი „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც იგი უკანონოდ ინახავდა და ატარებდა, ყაჩაღურად დაესხა თავს ა. თ-ს, ძალადობის გამოყენებით წაართვა ფულადი თანხა, რის შემდეგაც ორჯერ ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან და გამოძიებით დაუდგენელ პირთა ჯგუფთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ა. თ-ი ორივე ფილტვისა და მარცხენა თირკმლის არეში მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

გ. გ-ეს როგორც ო. კ-ს, ისე ჯ. გ-ისა და ა. თ-ის მკვლელობის ეპიზოდებში ბრალი წარედგინა ერთი და იმავე – № ... „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარებისათვის, რომლის უკანონო შეძენა-შენახვის, ტარებისა და გადაზიდვისათვის მას მსჯავრი დაედო ბაქოს საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით. მის მიმართ დანაშაულის სამივე ეპიზოდში, საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებულ ბრალდებაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის დადგენილებით შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განაჩენი მსჯავრდებულმა გ. გ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. აპელანტი ითხოვდა ა. თ-ის მკვლელობის ეპიზოდში გამართლებას, ხოლო ო. კ-ისა და ჯ. გ-ის მკვლელობების ეპიზოდებში – დანაშაულებრივ ქმედებათა კვალიფიკაციის შეცვლას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განაჩენში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც:

გ. გ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2005 წლის ცვლილებით) წარდგენილ ბრალდებაში (ა. თ-ის ეპიზოდი).

გ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის რედაქცია), სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის ცვლილებით, ო. კ-ის ეპიზოდი), სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია, ჯ. გ-ის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით;

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით;

სსკ-ის 105-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით;

გ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით, შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოცემული განაჩენით დადგენილ სასჯელს დაემატა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. გ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – უვადო თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ შეეფარდა – უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 1997 წლის 17 თებერვლიდან 2012 წლის 22 მარტამდე და განაჩენითა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 22 მარტიდან.

მსჯავრდებულმა გ. გ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ნ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 დეკემბრის ზემოხსენებული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრის თანახმად, კასატორებს მიაჩნიათ, რომ მოქალაქეების – ო. კ-ის და ჯ. გ-ის მკვლელობის ეპიზოდებში მსჯავრდებულს ბრალდებები არასწორი კვალიფიკაციით აქვს წარდგენილი, ვინაიდან საქმის მასალებით და გ. გ-ის ჩვენებებით არ დასტურდება, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდა ზემოხსენებული პირების განზრახ მკვლელობის განზრახვა და ქმედებები უნდა დაკვალიფიცილებულიყო: პირველ შემთხვევაში – როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, დღეს მოქმედი საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო მეორე შემთხვევაში – რო-

გორც მკვლელობა, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების გადაცილების დროს, იმ დროს მოქმედი საქართველოს სსკ-ის 107-ე მუხლით. მათი ეს არგუმენტები სააპელაციო სასამართლომ შეგნებულად არ გაიზიარა; გარდა ამისა, სასამართლომ დაუშვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევები, როდესაც არ გაითვალისწინა დანაშაულის და პირის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები, რაც, კასატორთა მოსაზრებით, საქართველოში ჩადენილი ამ დანაშაულთა ჩადენისათვის გ. გ-ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მომენტიანობის გასული იყო.

კასატორებს ასევე მიაჩნიათ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლომ გ. გ-ის კანონდარღვევით დაუდგინა სასჯელად უვადო თავისუფლების აღკვეთა; ეს კანონდარღვევები აღნიშნულ საქმეზე საქართველოს სასამართლოებმა არ გაიზიარეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლო განაჩენის საქართველოს სსკ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის დროს; ამასთან, საჩივარში მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, კასატორები ითხოვენ, რომ საჩივარი განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ საჩივრის მოთხოვნას და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის უსაფუძვლობის გამო, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ:

საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენის დასაბუთებაში მოყვანილ არგუმენტებს იმის შესახებ, რომ გ. გ-ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მომენტიანობის დანაშაულისა და პირის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები გაშვებული არ ყოფილა და რაიმე კანონდარღვევას ადგილი არა აქვს.

საქმის მასალებით და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ გ. გ-ემ მოქალაქე ჯ. გ-ის განზრახ მკვლელობა ჩაიდინა თბილისში 1996 წლის 29 ნოემბერს, დაახლოებით 4 საათზე, რისთვისაც დაუსწრებლად ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 1996 წლის 3 დეკემბერს.

მოქალაქე ო. კ-ის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში მან ჩაიდინა თბილისში 1996 წლის 5 ნოემბერს, რისთვისაც ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში დაუსწრებლად მიეცა 1996 წლის 30 დეკემბერს.

აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება შეეფარდა 1996 წლის 16 დეკემბერს და ამავე თარიღიდან მის მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა. მას შემდეგ, რაც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი გახდა, რომ გ. გ-ე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის დაპატიმრებული იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, 1997 წლის 27 მაისს საქმის წარმოება შეჩერდა გ. გ-ის საქართველოში ეტაპირებად.

აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან გ. გ-ე საქართველოში ეტაპირებულია 2011 წლის 14 ივნისს, მისივე ინიციატივით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან წინასწარი თანხმობით „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს სსკ-ის 289-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლოს განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში შემდგომი მოხდის მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის განჩინებებით დადასტურებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლოს განაჩენის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან შესაბამისობა.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოყვანილ არგუმენტებს გ. გ-ის მიმართ ო. კ-ისა და ჯ. გ-ის განზრახ მკვლელობის ეპიზოდებში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებათა რელევანტურობისა და დამაჯერებლობის შესახებ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნულ ეპიზოდებში გ. გ-ის დანაშაულებრივი ქმედებები სამართლებრივად დაკვალიფიცირებულია სწორად, ხოლო სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელი კანონიერი და სამართლიანია; შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და კასატორს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს უცხო სახელმწიფოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის პროცედურებს და ანესრიგებს მხოლოდ განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდასთან დაკავშირებულ საკითხებს. სტრასბურგის „მსჯავრდებულ პირთა გადაცემის 1983 წლის 21 მარტის კონვენციის“ მე-13 მუხლის თანახმად, მხოლოდ სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოს (ანუ განაჩენის გამომტან ქვეყანას, მოცემულ შემთხვევაში – აზერბაიჯანის რესპუბლიკას) აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნის უარყოფის ან დაკმაყოფილების შესახებ. ამ თვალსაზრისითაც, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, მათ შორის – საჩივრის

დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, უსაფუძვლოა და საკასაციო პალატა ამ არგუმენტებზე ვერ იმსჯელებს.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, გ. გ-ეს 1/4-ით უნდა შეუმცირდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით თითოეული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელები. შესაბამისად, საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 289-ე მუხლის მე-9 ნაწილის და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, იმსჯელებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. გ-ის მიმართ დანიშნულ სასჯელებზე ამნისტიის აქტის გავრცელების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსკ-ის 289-ე მუხლის მე-9 ნაწილით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-13 პუნქტით და

და ა ა ზ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

გ. გ-ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი პუნქტით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით – „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის ცვლილებებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით – „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით – „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და გ. გ-ეს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 28 წლითა და 6 თვით.

მსჯავრდებულ გ. გ-ის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენაში, საქართველოს სსკ-ის 289-ე მუხლის მე-9 ნაწილის, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-13 პუნქტისა და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ:

გ. გ-ეს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირებულია ამავე ქვეყნის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილთან, დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და 1 თვით.

გ. გ-ეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 220-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 228-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 ნაწილებთან, დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და 9 თვით.

გ. გ-ეს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანი-

ლი ცვლილებებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 120.2.4., 120.2.6, 120.2.7., 120.2.10 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებთან, დანიშნული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 15,94-ე მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 29, 120.2.4., 120.2.6., 120.2.7 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებთან, დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვით.

გ. გ-ეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 93-ე-მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 181.2.1., 181.2.2 და 181.2.5 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან, დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

საბოლოოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენის შესაბამისად, გ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. გ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიკრიბოს სრულად და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ გ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ეს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 1997 წლის 17 თებერვლიდან 2012 წლის 22 მარტამდე და განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწეოს 2012 წლის 22 მარტიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

მსჯავრდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება ამნისტიის გამო, დაზარალებულის თანხმობით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№14-აპ-13

25 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

სხდომის მდივან – გიორგი შალამბერიძის
პროკურორ – დ. ნ-ს
ადვოკატების – ნ. მ-ს, თ. ჯ-ს, ა. ჯ-ს
დაზარალებულების – ყ. ა-ს, ლ. ს-ს
მსჯავრდებულების – დ. შ-ს, რ. ა-ს

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულების – დ. შ-ა და რ. ა-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 მაისის განაჩენით:

დ. შ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყ. ა-ს ეპიზოდი), 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ლ. ს-ს ეპიზოდი) გათვალისწინებულ მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებებში და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა (ყ. ა-ს ეპიზოდი), 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა (ლ. ს-ს ეპიზოდი), რაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, განახევრდა და დ. შ-ს ამ ეპიზოდში განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. დ. შ-ს სასჯელის მოხდა დაენიშნა 2011 წლის 17 სექტემბრიდან.

რ. ა-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს სრულად დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის განაჩენით რ. ა-ს მიმართ დანიშნული სასჯელის ამ მომენტიდან მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 11 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილების თანახმად, განაჩენითა ერთობლიობით, საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით, 11 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაენიშნა მოცემული განაჩენის მიღების დღიდან – 2012 წლის 18 მაისიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საქეიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების – დ. შ-ა და რ. ა-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

რ. ა-მ მისი კუთვნილი, იმ პერიოდში ქ. მ-ი, ზ-ი, კ-ს ქ. № მდებარე 108.75 კვ.მ საცხოვრებელი ბინა 2007 წლის 8 ნოემბერს № სანოტარო აქტით იპოთეკით დატვირთა ზ. კ-ს სასარგებლოდ, რომლისგანაც სანაცვლოდ სესხის სახით აიღო ფულადი თანხა – 9100 აშშ დოლარი. ვინაიდან რ. ა-მ ვერ მოახერხა სესხის სახით აღებული თანხის დაბრუნება, ზ. კ-ი დაითანხმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმებაზე, რაც 2010 წლის 7 აპრილს დაარეგისტრირა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სანაცვლოდ, მითითებულ საცხოვრებელ ბინაზე ამ უკანასკნელის სახელზე 2008 წლის 10 აპრილს გასცა გენერალური მინდობილობა იმ მიზნით, რომ ზ. კ-ს მოეხდინა ბინის რეალიზაცია და მიღებული თანხა აეღო სესხად გაცემული თანხის სანაცვლოდ. 2008 წლის 22 აპრილს ზ. კ-ა გენერალური მინდობილობის გამოყენებით, ნოტარიულად დამოწმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით, რ. ა-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა გაასხვისა ნ. ჯ-ს. ეს ხელშეკრულება 2008 წლის 23 აპრილს წარდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში და 2008 წლის 2 მაისს მითითებულმა სამსახურმა გასცა უძრავ ქონებაზე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ნ. ჯ-ს საკუთრების უფლებით. აღნიშნულის თაობაზე ზ. კ-ა შეატყობინა რ. ა-ს.

ზ. კ-ე გენერალური მინდობილობის გაცემის შემდეგ, რ. ა-მ და მისმა დედამ – დ. შ-მ განიზრახეს, ჯერ ისევ რ. ა-ე რეგისტრირებული ბინის გამოყენებით, მოტყუებით დაუფლებოდნენ სხვის ქონებრივ უფლებას. 2008 წლის 29 აპრილს (2008 წლის 21 აპრილიდან 2 მაისამდე შუალედში) დ. შ-მ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და 2008 წლის 30 აპრილს ზემოთ აღნიშნულ ბინაზე აიღო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც, ბინა რეგისტრირებული იყო ჯერ კიდევ რ. ა-ს სახელზე, ვინაიდან ნ. ჯ-ს საკუთრების უფლების რეგისტრაცია ჯერ არ იყო დასრულებული. ამის შემდეგ, 2008 წლის 1 მაისს, რ. ა-მ ჩუქების ხელშეკრულებით ბინა გადასცა დ. შ-ს. ეს ხელშეკრულება 2008 წლის 2 მაისს რეგისტრაციის მიზნით წარდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში.

ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე 2008 წლის 9 მაისს გაიცა საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც ბინის მესაკუთრედ მითითებული იყო დ. შ-ა, მაშინ, როცა 2008 წლის 2 მაისს იმავე სამსახურის მიერ ბინის მესაკუთრედ უკვე რეგისტრირებული იყო ნ. ჯ-ა.

აღნიშნულის შემდეგ, დ. შ-მ აიღო 2008 წლის 6 მაისით დათარიღებული საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც ბინის მესაკუთრედ დარეგისტრირებული იყო თვითონ და ამონაწერის საფუძველზე 2008 წლის 7 ივნისს ნოტარიუს მ. ბ-ის სანოტარო ბიუროში გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება რეესტრის ნომრით № ყ. ა-ნ, რომლისგანაც სესხის სახით სამი თვის ვადით აიღო 9200 აშშ დოლარი, თვითონ 5%-იანი სარგებლით, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა ნ. ჯ-ს კუთვნილი, ზ-ი, კ-ს ქ. № მდებარე საცხოვრებელი ბინა, შეიყვანა რა შეცდომაში ეს უკანასკნელი. დ. შ-ა შეჰპირდა, რომ მითითე-

ბულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას თვითონვე დაარეგისტრირებდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, დაამზადა 2008 წლის 15 ივნისით დათარიღებული ყალბი საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც დაფიქსირებული იყო ბინაზე იპოთეკის უფლება და გადასცა ჟ. ა-ს. სინამდვილეში კი ჟ. ა-ს სასარგებლოდ იპოთეკის უფლება საჯარო რეესტრის სააგენტოში არ დარეგისტრირებულა. ამის შემდეგ დ. შ-მ მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა ჟ. ა-ს თაღლითურად ჩამორთმეული ფულადი თანხა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა აღმოაჩინა დაშვებული ხარვეზი და 2008 წლის 18 აგვისტოს № გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ჩუქების ხელშეკრულების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება, ვინაიდან ქონება განიკარგა არაუფლებამოსილი პირის მიერ და ბინის მესაკუთრედ დარჩა ნ. ჯ-ა.

დ. შ-ა და რ. ა-ს დანაშაულებრივი ქმედებით ჟ. ა-ს მიადგა 9200 აშშ დოლარის ოდენობის ზიანი.

ამის შემდეგ დ. შ-მ განიზრახა, კვლავაც თაღლითურად დაუფლებოდა სხვის ქონებრივ უფლებას. 2008 წლის 13 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურიდან ამოიღო ამონაწერი უძრავ ქონებაზე, სადაც იგი ჯერ კიდევ რეგისტრირებული იყო ზ-ი, კ-ს ქ. № მდებარე 108.75 კვ.მ საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ, შემდეგ დაუკავშირდა ლ. ს-ს, დაიყოლია სესხის სახით ფულის გაცემაზე, რის უზრუნველსაყოფადაც შესთვალა ზემოაღნიშნული ბინა, როგორც მისი კუთვნილი. დ. შ-მ ასევე არ გაუმხილა ლ. ს-ს, რომ მას მითითებული ბინა უკვე ჰქონდა დატვირთული იპოთეკით ჟ. ა-ს სასარგებლოდ, დაარწმუნა, რომ ვითომდა მისი კუთვნილი ბინა სრულად უზრუნველყოფდა სესხის თანხას და 2008 წლის 13 აგვისტოს გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ამჯერად ლ. ს-ს, რის საფუძველზეც დ. შ-მ სესხის სახით აიღო 20000 აშშ დოლარი, საიდანაც 2000 აშშ დოლარი დაუბრუნა უკან, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა ვითომ მისი კუთვნილი, სინამდვილეში ნ. ჯ-ს სახელზე რეგისტრირებული, ზ-ი, კ-ს ქ. № მდებარე 108.75 კვ.მ საცხოვრებელი ბინა.

ლ. ს-ა დ. შ-ნ გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დასარეგისტრირებლად წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში, სადაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ სესხის უზრუნველსაყოფად დ. შ-ს მიერ იპოთეკით დატვირთული ბინა სინამდვილეში წარმოადგენდა ნ. ჯ-ს საკუთრებას, შესაბამისად, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების რეგისტრაციაზე მას უარი ეთქვა.

დ. შ-მ ლ. ს-ნ თაღლითურად გამორთმეული ფულადი თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა, რითაც ამ უკანასკნელს მიადგა 18000 აშშ დოლარის ოდენობის ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული დ. შ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქმეში არსებულ მასალებს არ მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

მსჯავრდებული რ. ა-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულებმა – რ. ა-მ და დ. შ-მ უარი განაცხადეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების განხილვაზე და მოითხოვეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გამოყენება.

საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულმა ლ-ა ს-მა თანხმობა განაცხადა, რომ მსჯავრდებულ დ. შ-ს მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულმა ჟ. ა-მ თანხმობა განაცხადა, რომ მსჯავრდებულების – დ. შ-ა და რ. ა-ს მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დ. ნ-მ იშუამდგომლა მსჯავრდებულების – დ. შ-ა და რ. ა-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს გასაჩივრებული განაჩენის კანონიერებაზე, ვინაიდან მსჯავრდებულებმა – დ. შ-მ და რ. ა-მ იშუამდგომლეს საკასაციო საჩივრების განუხილველად დატოვების თაობაზე.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულებმა – ლ. ს-მა და ყ. ა-მ თანხმობა განაცხადეს, რომ მსჯავრდებულების – დ. შ-ა და რ. ა-ს მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების – დ. შ-ა და რ. ა-ს მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული რ. ა-ა უნდა გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

მასვე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე უნდა აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებული რ. ა-ა უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული დ. შ-ია უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებული დ. შ-ა უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყ. ა-ს ეპიზოდი), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ლ. ს-ს ეპიზოდი) დანიშნული სასჯელებისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – რ. ა-ა და დ. შ-ს საკასაციო საჩივრები დარჩეს განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული რ. ა-ა გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

მასვე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებული რ. ა-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელისაგან.

რ. ა-ა დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული დ. შ-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებული დ. შ-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყ. ა-ს ეპიზოდი), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ლ. ს-ის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელებისაგან.

დ. შ-ა დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მსჯავრდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება ამინსტიის გამო, დაზარალებულის თანხმობით

განჩინება
საქართველოს სახელმთ

№27-აპ-13

12 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

სხდომის მდივან – გიორგი შალამბერიძის
პროკურორ – რ. ბ-ს
ადვოკატ – ც. ფ-ს
დაზარალებულის უფლებამონაცვლე – ჟ. ბ-ს
მსჯავრდებულ – პ. ფ-ს

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ პ. ფ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის განაჩენით პ. ფ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე, სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით – 2 წლისა და 6 თვის ვადით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება და სსკ-ის 41-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 128-ე მუხლით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი და 11-ლი ნაწილების გამოყენებით, სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დანიშნულ სასჯელს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთას – სსკ-ის 128-ე მუხლით დანიშნული სასჯელიდან დაემატა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, პ. ფ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 13 ივლისიდან.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით – 2 წლისა და 6 თვის ვადით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება და სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ნივთმტკიცებები – „უ-ს“ მარკის ავტომანქანა, სახ. №, ავტომანქანის შალითები და პ. ფ-ს ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს პ. ფ-ს, ხოლო მ. მ-ს ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ პ. ფ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 9 ივლისს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, პ. ფ-მ, რომელიც მართავდა „უ-ს“ მარკის ავტომობილს, სახ. №, მ-ს რაიონის მთა „ს-ს“ ტერიტორიაზე დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29.1 მუხლის მოთხოვნა: „მძღოლმა სატრანსპორტო საშუალება უნდა მართოს ისეთი სიჩქარით, რომელიც არ აღემატება დადგენილ შეზღუდვებს, ამასთან, მან უნდა გაითვალისწინოს მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალების და ტვირთის თავისებურება და მდგომარეობა, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით. სიჩქარე საშუალებას აძლევს მძღოლს, მუდმივი კონტროლი გაუწიოს სატრანსპორტო საშუალებას მოძრაობის წესების მოთხოვნათა შესასრულებლად. მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში მძღოლი იღებს შესაბამის ზომებს მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე“ და გადავიდა სავალი გზის მარჯვენა მხარეს ციცაბო ფერდობზე. მძღოლმა პ. ფ-მ მოასწრო ავტომანქანიდან გადმოსვლა, მაგრამ ავტომანქანა, რომელსაც იგი მართავდა, გადავარდა ხევში, რამაც გამოიწვია ავტომანქანაში მყოფი მგზავრის, მ. მ-ს სიცოცხლის მოსპობა.

ავტომობილის ხევში გადავარდნის შემდეგ, პ. ფ-მ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი მგზავრი – მ. მ-ე, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, მიატოვა განსაცდელში და მასზე ზრუნვისა და დახმარების ნაცვლად, დაბრუნდა თავის საცხოვრებელ სახლში, მაშინ, როდესაც მას შესაძლებლობა ჰქონდა, აღმოეჩინა დახმარება განსაცდელში მყოფი მ. მ-ს.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული პ. ფ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა პ. ფ-მ უარი განაცხადა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვაზე და მოითხოვა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გამოყენება.

საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლე ჟ. ბ-მ თანხმობა განაცხადა, რომ მსჯავრდებულ პ. ფ-ს მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა რ. ბ-მ იშუამდგომლა მსჯავრდებულ პ. ფ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს გასაჩივრებული განაჩენის კანონიერებაზე, ვინაიდან მსჯავრდებულმა პ. ფ-მ იშუამდგომლა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, თუ ყველა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლე ჟ. ბ-მ თანხმობა განაცხადა, რომ მსჯავრდებულ პ. ფ-ს მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ პ. ფ-ს მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული პ. ფ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით დანიშნული სასჯელის – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული პ. ფ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან; ასევე სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით – 2 წლისა და 6 თვის ვადით ავტომატურად მართვის უფლების ჩამორთმევისაგან.

საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, პ. ფ-ს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა ლ ბ ი ნ ა :

მსჯავრდებულ პ. ფ-ს საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული პ. ფ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით დანიშნული სასჯელის – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული პ. ფ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან; ასევე სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით – 2 წლისა და 6 თვის ვადით ავტომატურად მართვის უფლების ჩამორთმევისაგან.

საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, პ. ფ-ს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დარჩეს უცვლელად.

ნივთმტკიცებები – „უ-ს“ მარკის ავტომატქანა, სახ. №, ავტომატქანის შალითები და პ. ფ-ს ტანსაცმელი დაუბრუნდეს პ. ფ-ს, ხოლო მ. მ-ს ტანსაცმელი დაუბრუნდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

პ. ფ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მსჯავრდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება ამნისტიის გამო, დაზარალებულის თანხმობით

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№98-აპ-13

17 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ი. ბ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენით:

ი. ბ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

ი. ბ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დ. გ-ის ეპიზოდი) – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ი. ნ-ს ეპიზოდი) – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 11-ლი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელიდან დაემატა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით ი. ბ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 2 მაისიდან.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სრულად შეიკრიბა დამატებითი სასჯელები და საბოლოოდ ი. ბ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ი. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ი. ბ-მ, მუშაობდა რა ქ. ბ-ი, ზ. გ-ს ქუჩა №-ში მდებარე ლომბარდში საქონელმცოდნედ, 2011 წლის აგვისტოში მოქალაქე დ. გ-ს მოტყუებით, ამ უკანასკნელის კუთვნილი მატერიალური ფასეულობის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვით, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე 300 აშშ დოლარად ჩაიბარა 3000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთები, რომლებიც გარკვეული თანხის სანაცვლოდ ჩააბარა სხვა ლომბარდში და მიუხედავად დ. გ-ს მხრიდან შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულებისა, მას კუთვნილი ოქროს ნივთები არ დაუბრუნა.

მან 2011 წლის სექტემბერში მოქალაქე ი. ნ-ს მოტყუებით, მისი კუთვნილი მატერიალური ფასეულობის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვით, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე 50 აშშ დოლარად ჩაიბარა 400 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთები, რომლებიც გარკვეული თანხის სანაცვლოდ ჩააბარა სხვა ლომბარდში და მიუხედავად ი. ნ-ს მხრიდან შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულებისა, მას კუთვნილი ოქროს ნივთები არ დაუბრუნა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 აპრილის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ი. ბ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (გ. თ-ს ეპიზოდი).

ი. ბ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ი. ნ-ს ეპიზოდი) – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დ. გ-ს ეპიზოდი) – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, „ამნისტიის შესახებ“ 2012

წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ი. ბ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 2 მაისიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებული ი. ბ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, დაზარალებულის თანხმობის საფუძველზე, პატიმრობიდან გათავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ ი. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების – ს. გ-ს, ნ. ფ-ს ჩვენებებით, დაზარალებულების – დ. გ-ა და ი. ნ-ს ჩვენებებით, საქმეში წარმოდგენილი საგირავნო ხელშეკრულებებითა და ამ ხელშეკრულებების დათვალიერების ოქმებით, ბრძანებების რვეულითა და მათი დათვალიერების ოქმებით, ი. ბ-ს განცხადებით სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ჰქვია.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამოსიან ცვლელე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოდგენილ იქნა დაზარალებულ ი. ნ-ს ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა ი. ბ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გამოყენების თაობაზე, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ სრულიად კანონიერად იხელმძღვანელა ამ კანონის მე-11 მუხლით და ი. ბ-ა გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – ი. ნ-ს ეპიზოდში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან.

საკასაციო პალატაში საქმის განხილვის დროს წარმოდგენილ იქნა დაზარალებულ დ. გ-ს ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ი. ბ-ს მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ ი. ბ-ს მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებული ი. ბ-ა უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დ. გ-ს ეპიზოდი) დანიშნული სასჯელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებული ი. ბ-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დ. გ-ის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელისაგან.

ი. ბ-ა დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე მსჯავრდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება

განაჩენი საქართველოს სახელით

№345-აპ-12

16 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის განაჩენით დ. კ-ე, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2.000 ლარი, ხოლო 369-ე მუხლით – 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც იმავე კოდექსის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე სასჯელად განესაზღვრა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, დ. კ-ეს სასჯელად განესაზღვრა 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2.000 ლარი

იგი სასჯელს იხდის 2012 წლის 1 მარტიდან.

განაჩენით დ. კ-ეს მსჯავრი დაედო ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში გამოყენების მიზნით და გამოყენებაში, ასევე სამოქალაქო საქმის მონაწილის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაციაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 21 თებერვალს დ. კ-ემ ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სამოქალაქო სარჩელი, რომელსაც დაურთო მის მიერ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გამოყენების მიზნით დამზადებული, 2011 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული ყალბი სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, თითქოს დაზარალებულ ე. ყ-ს ასესხა 1700 აშშ დოლარის ეკვივალენტი – 2975 ლარი და მოითხოვა ხელშეკრულებაში მითითებული თანხის, ასევე პირგასამტეხლოს, სულ – 4131 ლარის დაზარალებულ ე. ყ-ისთვის დაკისრება. მანვე ხელშეკრულებაზე გააყალბა ე. ყ-ის ხელმოწერა.

ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. კ-ემ, რომელმაც ითხოვა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ საქმეში არ არის მისი ბრალეულობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები და ფაქტობრივად არის უკანონო პატიმარი; განაჩენი ეყრდნობა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნას; საქმე განხილულია საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევებით.

ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. დ-მა წარმოდგენილი შესაგებლით, იმის გათვალისწინებით, რომ დ. კ-ის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია კანონმდებლობის სრული დაცვით და ემყარება გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სააპელაციო პალატამ მოუსმინა პროცესის მონაწილეებს:

აპელანტებმა – დ. კ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა მხარი დაუჭირეს მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. დ-მა მხარი არ დაუჭირა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარს და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 აგვისტოს განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ. კ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 8 აგვისტოს უკანონო, დაუსაბუთებელი, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ დ. კ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისი გამართლების შესახებ, უსაფუძვლოდობის გამო.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ე. ყ-ის, მოწმე ნ. ტ-ის ჩვენებებითა და საქმის სხვა მასალებით დ. კ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნისა და სამოქალაქო საქმის მონაწილის მიერ მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის გარდა, დადასტურებულია.

დაზარალებულ ე. ყ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მის შვილს დ. ყ-საგან ნაქირავები ჰქონდა მაღაზია. 2011 წლის 3 იანვარს იგი იყო ავად და იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მასთან მივიდა დ. კ-ე და უთხრა, რომ ხსნიდა ცეხს, რომელშიც სთავაზობდა დირექტორობას იმ პირობით, თუ მოგებას გაიყოფდნენ შუაზე. დ-მა ცეხის გახსნისათვის საჭირო საბუთები და ხელშეკრულება დადო მაგიდაზე. ე-მა უთხრა, რომ გადახედავდა ამ საბუთებს და თუ პირობები მოეწონებოდა, ამის შესახებ აცნობებდა მას. დ. კ-ემ საბუთები დატოვა და წავიდა. როდესაც საბუთები ნახა, აღმოჩნდა, რომ იპოთეკით უნდა დაეტვირთა ქ. ბათუმში, ჯ-ის ქუჩა №...-ში მდებარე თავისი ბინა №... მან აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, გადასცა მეუღლეს და უთხრა, რომ დაეხია, მაგრამ მის მეუღლეს იგი არ დაუხვევია და შეინახა. 16 თებერვალს კი სასამართლოდან მიიღო განჩინება, რომელშიც მითითებული იყო, რომ ბინა იყო დაყადაღებული, ვინაიდან, თითქოსდა დ. კ-ეს მისთვის მიუცია 1700 აშშ დოლარი სესხის სახით, რაზედაც ვაფორმებულა ხელშეკრულება, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. 2010 წლის 1 დეკემბერს მას სესხის ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია. აღნიშნულის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 16 თებერვალს, როდესაც სასამართლოდან მოუვიდა დოკუმენტები, რაზედაც ადვოკატის დახმარებით სასამართლოში შეიტანა სარჩელი და ითხოვა გრაფიკული ექსპერტიზის დანიშვნა. როგორც შემდეგ შეიტყო, ხელნაწერების უკმარისობის გამო, ექსპერტიზამ ვერ დაადგინა, ვისი ხელმოწერა იყო ხელშეკრულებაზე, რის შემდეგაც, 26 ივლისს პროკურატურაში შეიტანა განცხადება იმავე მოთხოვნით.

თავისი ჩვენებით იმავეს აღნიშნავს დაზარალებულის მეუღლე – მოწმე ნ. ტ-ე. მისი განმარტებით, დ. კ-ეს მათთვის 1700 აშშ დოლარი სესხად არ მიუცია და არც ხელშეკრულებაზე მოუწერია მის მეუღლეს ხელი. მსჯავრდებული დ. კ-ე აღნიშნავს, რომ კერძო პირებს შორის დადებული ხელშეკრულება არ არის ოფიციალური დოკუმენტი, თუ ის არ არის დამოწმებული ნოტარიული წესით. 2010 წლის 1 დეკემბრის ხელშეკრულება დ. კ-ეს და ე. ყ-ს შორის არ იყო დამოწმებული ნოტარიული წესით. ოფიციალური დოკუმენტის განმარტებას იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლი, რომლის შესაბამისად: „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო, აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარებით კი: „ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს შრომის ნიგნაკი ან დიპლომი, გაცემული როგორც სახელმწიფო, ისე სხვა სასწავლო დაწესებულების მიერ, რომელსაც სახელმწიფო აკრედიტაცია აქვს გავლილი, ან კიდევ ოფიციალურ დოკუმენტად შეიძლება იქცეს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული კერძო (პირადი) ხასიათის დოკუმენტი – ხელწერილი, ხელშეკრულება, მინდობილობა“.

ამდენად, მსჯავრდებული დ. კ-ე მიუთითებს, რომ რადგან მას და ე. ყ-ს შორის დადებული მინდობილობა ნოტარიულად დამოწმებული არ ყოფილა, მაშინ არც ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას უნდა ჰქონოდა ადგილი.

გრაფიკული ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ სესხის ხელშეკრულებაზე „მსესხებელ ე. ყ-ის“ გრაფაში არსებული ხელმოწერა შესრულებულია არა ე. ყ-ის, არამედ სხვა პირის მიერ, ხოლო გრაფიკული ექსპერტიზის №... დასკვნაში კი აღნიშნულია: „გადაწყვეტა საკითხისა, ხელმოწერა ე. ყ-ის სახელით, განლაგებული: 2010 წლის 1 დეკემბრის თარიღით შედგენილ ხელშეკრულებაზე სიტყვის გასწვრივ „მსესხებელი ე. ყ-ი“ შესრულებულია თუ არა ე. ყ-ის მიერ, შეუძლებელია, ნიმუშების სიმცირის გამო“.

როგორც საქმის მასალებით დგინდება, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა მ. ჯ-ემ იმის გასარკვევად, გამოსაკვლევ სესხის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა იყო თუ არა შესრულებული ე. ყ-ის მიერ, დოკუმენტი შეადარა ე. ყ-ის მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებულ ხელმოწერის ნიმუშებს და მიუთითა, რომ გამოვლენილი თანადამთხვევები და განსხვავებები არ იყო საკმარისი დასკვნისათვის – ხელმოწერა ე. ყ-ს ეკუთვნოდა, თუ არა, რის მიზეზადაც დაასახელა შედარებითი ნიმუშების სიმცირე. ამის შემდეგ საგამოძიებო ორგანოებმა ე. ყ-ს ხელმოწერის ნიმუშები გადაგზავნეს შსს საპატრულო პოლიციის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში. აღნიშნული სამსახურის ექსპერტ ნ. ბ-ის მიერ გაცემული დასკვნის მეშვეობით კი დგინდება, რომ ექსპერტს შესაძარებელ ნიმუშებად წარდგენილი ჰქონდა ე. ყ-ის მიერ როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე შესრულებული ხელმოწერის ნიმუშები. ექსპერტმა დაადგინა, რომ კვლევის ობიექტში გამოვლენილი განმასხვავებელი ნიშნები მყარი და მნიშვნელოვანი იყო ერთობლიობაში საკმარისი დასკვნისათვის, კერძოდ, გამოსაკვლევად წარდგენილი ხელმოწერა შესრულებული იყო არა ე. ყ-ის, არამედ სხვა პირის მიერ, რაზედაც მან გასცა კატეგორიული დასკვნა, დასკვნის სისწორე კი დამაჯერებლად დაადასტურა სასამართლოში ჩვენების მიცემისას.

დადგენილია, რომ 2011 წლის 14 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. კ-ემ და დაზარალებულ ე. ყ-ისაგან მოითხოვა 2010 წლის 1 დეკემბრის სასესიო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის – 1700 აშშ დოლარის გადახდა იმ საფუძველით, რომ თითქოსდა მოპასუხე მხარე, ე. ყ-ი, მიუხედავად მისი მხრიდან არაერთგზის მოთხოვნისა, არ იხდიდა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას. ბრალდებულმა აღნიშნული მოთხოვნის დამადასტურებელ მტკიცებულებად

სასარჩელო მოთხოვნას დაურთო 2010 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული ყალბი სესხის ხელშეკრულება, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის მტკიცებულებას.

პალატის აზრით, თუ მოპასუხე სადავოდ არ გახდიდა ხელშეკრულების ნამდვილობას, სასარჩელო მოთხოვნის ეს მტკიცებულება გახდებოდა მოპასუხისათვის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის (პირ-გასამტეხლოს ჩათვლით) დაკისრების საფუძველი. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულმა გამოიყენა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი. რაც შეეხება დ. კ-ისათვის ბრალად შერაცხულ ზემოაღნიშნული ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას და, შესაბამისად, სამოქალაქო საქმის მონაწილის მიერ მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დ. კ-ე არის ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამამზადებელი გამოყენების მიზნით, ასევე სამოქალაქო საქმეში – მტკიცებულებათა ფალსიფიკატორი. საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად: „მტკიცებულებების შეფასების დროს წარმომობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

დ. კ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული მითითება – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით, ასევე სსკ-ის 369-ე მუხლი – სამოქალაქო საქმის მონაწილის მიერ მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია და იგი ბრალდების ამ ნაწილებში უნდა გამართლდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს 1 თვით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და იმავე მუხლით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებისათვის სასჯელად უნდა განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად უნდა დაეკისროს ჯარიმა – 2.000 ლარი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული დ. კ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება) დანიშნული სასჯელის – 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ დ. კ-ეს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 2.000 ლარი – უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-18 მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 აგვისტოს განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებული დ. კ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით) და სსკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

მსჯავრდებული დ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება) და სასჯელად განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 2.000 ლარი.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული დ. კ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება) დანიშნული სასჯელის – 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ დ. კ-ეს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 2.000 ლარი – დარჩეს უცვლელად.
მსჯავრდებულ დ. კ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.
განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამინისტიის საფუძველზე მსჯავრდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№2-აპ-13

18 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ლ. ზ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით:

ლ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. ლ. ზ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 28 აპრილიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

„ჰეროინი“, ნონით 0,5701 გრამი, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიული დეპარტამენტის საცავში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების ოპერატიული ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“, სახ. №..., საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილებას;

2005 წლის წარმოების „მაგნუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი №19051, რომელიც თან ერთვის საქმეს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ ცენტრს.

სამოქალაქო მოსარჩელის – სამხარეო შს მთავარი სამმართველოს წარმომადგენლის – მ. პ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ლ. ზ-ს მის სასარგებლოდ დაეკისრა 310 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, ლ. ზ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა პოლიციის თანამშრომლების მიმართ წინააღმდეგობის განევა, მათი საქმიანობის ხელისშეშლის მიზნით; ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება; ნარკოტიკული საშუალებების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 28 აპრილს, 00 საათსა და 35 წუთზე, შსს ... საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილებას უცნობმა მოქალაქემ აცნობა, რომ დ. გ-ს ქუჩაზე ისმოდა ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის ხმები, რითაც ირღვეოდა საზოგადოებრივი წესრიგი. აღნიშნული შეტყობინების საფუძველზე შემთხვევის ადგილზე გავიდა ოპერატიული ჯგუფი, ამავე განყოფილების პოლიციის თანამშრომლების – შ. ზ-ს, მ. დ-ს, დ. კ-სა და რ. კ-ს შემადგენლობით. ... ქუჩაზე, №...-სასწავლებლის შესასვლელთან, მათ დაინახეს ქ. ..., ... №...-ში მცხოვრები ლ. ზ-ე, რომელსაც მარჯვენა ხელში ეკავა „მაგნუმი“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ატარებდა. მისი დანახვისთანავე პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებსაც ეცვათ სამსახურებრივი – პოლიციის ფორმის ქურთუკები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამორჩილების მიზნით, ლ. ზ-ს ხმაძალდა დაუძახეს, რომ ისინი იყვნენ პოლიციის მუშაკები და მოუწოდეს იარაღების ჩაბარებისაკენ. აღნიშნულის მიუხედავად, ლ. ზ-მ განიზარახა მათი საქმიანობის ხელის შეშლის მიზნით გაენია წინააღმდეგობა, რის გამოც ცეცხლსასროლი იარაღიდან პოლიციის კუთვნილი ოპერატიული ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას“ სახ. №... მიმართულებით მოახდინა რამდენიმე გასროლა და დააზიანა ავტომანქანა, რითაც პოლიციის მუშაკებს არ მისცა საშუალება განეხორციელებინათ სამსახურებრივი საქმიანობა. ამ დროს პოლიციელების ა/მანქანას ზურგის მხრიდან მიადგნენ ასევე გამოძახებაზე გასული ამავე განყოფილების თანამშრომლები – მ. ბ-ი და მ. ბ-ი, რომლებმაც მათზე სამსახურებრივად განწყობილი ტა-

ბელური იარაღიდან ჰაერში მოახდინეს გამაფრთხილებელი გასროლები და ხმამაღლა მოუწოდეს ლ. ზ-ს დამორჩილებისაკენ, რა დროსაც ამ უკანასკნელმა შემდგომი გასროლის თავიდან ასაცილებლად იქვე დააგდო „მაგნუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და ცდილობდა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, მაგრამ იგი შემთხვევის ადგილზე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. დაკავების მომენტში მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი მარჯვენა ფეხის წინიდან ამოღებულ იქნა მცირე ზომის სიგარეტის ქალაღში გახვეული, დიდი ოდენობით – 0,5701 გრამი კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „პეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომელიც მან შეიძინა ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ინახავდა უკანონოდ, ხოლო შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოიღეს ლ. ზ-ს მიერ გადაგდებული, 2005 წლის წარმოების №19051 „მაგნუმის“ მარკის პისტოლეტი, რომელიც 2007 წლის 29 აპრილის ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ლ. ზ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ლ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახევრდა და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ასევე „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახევრდა და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ზ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 28 აპრილიდან. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 18 იანვრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდა დაზუსტება და სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ლ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2007 წლის 2 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახევრდა და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ასევე „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახევრდა და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. ლ. ზ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 28 აპრილიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

„პეროინი“, წონით 0,5701 გრამი, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიული დეპარტამენტის საცავში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების ოპერატიული ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“, სახ. №..., საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილებას;

2005 წლის წარმოების „მაგნუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი №19051, რომელიც თან ერთვის საქმეს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ ცენტრს.

სამოქალაქო მოსარჩელის – სამხარეო შს მთავარი სამმართველოს წარმომადგენლის – მ. პ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და ლ. ზ-ს მის სასარგებლოდ დაეკისროს 310 ლარის გადახდა.

მსჯავრდებული ლ. ზ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და ლ. ზ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის.

მსჯავრდებულ ლ. ზ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით: დაზარალებულების – შ. ზ-ს, რ. კ-ს, მ. დ-ს, დ. კ-ს, ზ. მ-ს ჩვენებებით, მონმეების – მ. ბ-ს, მ. ბ-ს, ზ. ა-ს, ზ. ფ-სა და სხვათა ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ლ. ზ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული ლ. ზ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ლ. ზ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ლ. ზ-ს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 2000 ლარი – უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-8, მე-18 მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული ლ. ზ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ლ. ზ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ლ. ზ-ს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 2000 ლარი – დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებული ლ. ზ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

„ჰეროინი“, წონით 0,5701 გრამი, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიული დეპარტამენტის საცავში განადგურდეს;

შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების ოპერატიული ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“, სახ. №... დაუბრუნდეს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილებას;

2005 წლის წარმოების „მაგნუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი №19051, რომელიც თან ერთვის საქმეს გადაეცეს შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ ცენტრს.

სამოქალაქო მოსარჩელის – სამხარეო შს მთავარი სამმართველოს წარმომადგენლის – მ. პ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ლ. ზ-ს მის სასარგებლოდ დაეკისროს 310 ლარის გადახდა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება

აგნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№8-აპ-13

23 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 23 აგვისტოს განაჩენით:

ს. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 262-ე მუხლის 1-ლ და 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილებზე.

ს. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (დანიშნულ სასჯელთა შეკრებით), საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ს. კ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 1 მაისიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ს. კ-ს ჩხრეკის დროს ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ (ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს; ს. კ-ს სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა და მობილური ტელეფონი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს.

განაჩენის მიხედვით, ს. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის აპრილში ქ. ..., ... დასახლებაში, ... ქ. №...-ში მცხოვრებმა ს. კ-მა გადაწყვიტა, ... შეეძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და საქართველოში უკანონოდ შემოეტანა. 2012 წლის 27 აპრილს ... რაიონის ტერიტორიაზე არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტის - „...“ გავლით იგი გადავიდა ... რესპუბლიკაში, სადაც გამოძიებით დაუდგენელი პირისგან შეიძინა ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“, ხოლო 2012 წლის 1 მაისს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ „...“ გავლით ... რესპუბლიკიდან შემოვიდა საქართველოში და თან უკანონოდ შემოიტანა შეძენილი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“.

მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ... სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა 2012 წლის 1 მაისს, 15 საათსა და 10 წუთზე, ... რაიონის სოფ. ..., ... საზღვრის საბაჟო-გამშვები პუნქტის - „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ს. კ-ი, რომელსაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. სხვა ნივთებთან ერთად მისგან ამოღებულ იქნა ორ ე.წ. „ბაშად“ ქალაქსა და „სკოჩში“ დაფასებული მოთეთრო-მოყვითალო ნივთიერება, ფხვნილისა და გრანულების სახით. აღნიშნული ნივთიერება მას შენახული ჰქონდა შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში. ამოღებული ნივთები შეიფუთა და ადგილზევე დაილუქა.

2012 წლის 1 მაისის №32/სქ სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ს. კ-საგან ამოღებული მოთეთრო-მოყვითალო ფერის ნივთიერება, საერთო წონით 0,8579 გრამი, წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ ნარევს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საერთო წონა შეადგენს 0,1711 გრამს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ს. კ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეინახა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მოწმეების – მ. ქ-ს, გ. ჩ-ს, უ. ი-ს, ა. კ-სა და სხვათა ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმით, ასევე საქმეში არსებული სხვა

მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ ს. კ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის, ასევე საქართველოში მისი უკანონოდ შემოტანის ფაქტი.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ს. კ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ს. კ-ი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ს. კ-ს საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-13, მე-16 მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ს. კ-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ს. კ-ს საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1/4-ით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 1 მაისიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ს. კ-ს ჩხრეკის დროს ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ (ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს; ს. კ-ს სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა და მობილური ტელეფონი დაუბრუნდეს მესაკუთრეს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№19-აპ-13

29 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 აგვისტოს განაჩენით ი. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული სასჯელიდან მოსახდელად დაენიშნა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული სასჯელიდან მოსახდელად დაენიშნა 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული სასჯელიდან მოსახდელად დაენიშნა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ი. გ-ს მიმართ ამ განაჩენით და-
ნიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განე-
საზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა –
10000 ლარის ოდენობით. ი. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 29 მაისიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,
5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედა-
გოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუ-
ჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და ია-
რალის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სისხლის სამარ-
თლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ი. გ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული
ფხვნილი, საერთო წონით 0,034 გრამი კუსტარულად დამზადებული „ჰეროინი“, რომელშიც ნარკოტიკული
საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობრივი შემცველობა 0,015 გრამია, უნდა განადგურდეს;

საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სისხლის სამარ-
თლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ი. გ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეც-
ხლსასროლი იარაღი – 1951 წლის ნიმუშის „მაკაროვის“ სისტემის, 9 მმ კალიბრიანი, უნომრო პისტოლეტი
და საბრძოლო მასალა – 7 ვაზნა, საიდანაც გასროლილი სამი ექსპერიმენტული ვაზნა (მასრა, ტყვია) ინა-
ხება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს
ტყვია-მასროთეკაში, უნდა გადაეცეს შს სამინისტროს შესაბამის სამსახურს, კანონით დადგენილი წესით
შემდგომი განკარგვის მიზნით;

საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სისხლის სამარ-
თლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ი. გ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული „ნო-
კიას“, „შარფის“ და „მფეოს“ ფირმის მობილური ტელეფონები, მათში არსებული სამი სიმბარათით, უნდა
დაუბრუნდეს ი. გ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

განაჩენის მიხედვით, ი. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ი. გ-ე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 სექტემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშა-
ვედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი
სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით
დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი. მიუხედავად ამისა, მან ნასამართლობის გაქარწყლებამდე, გამოძიებით
დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა კუსტარულად დამზადებული 0,034 გრამის ოდე-
ნობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც შეიცავს 0,015 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰე-
როინს“, რასაც უკანონოდ ინახავდა პირადად. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ამოღებულ იქნა
2012 წლის 29 მაისს, ქ. ..., ... დასახლებაში მდებარე რესტორან „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული
მისი პირადი ჩხრეკის დროს, ხოლო თვითონ დააკავეს.

ი. გ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა სროლისათვის
ვარგისი, ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიის, ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუშის, 9
მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, ასევე გამოსაყენებლად ვარგისი საბრძოლო მასალა –
7 ვაზნა, რომელიც მოთავსებული იყო პისტოლეტის მჭიდში. იგი ზემოაღნიშნულ ცეცხლსასროლ იარაღსა
და საბრძოლო მასალას მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა პირადად, რაც ამოღებულ იქნა
2012 წლის 29 მაისს, ქ. ..., ... დასახლებაში მდებარე რესტორან „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული
მისი პირადი ჩხრეკის დროს.

ი. გ-ე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 სექტემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშა-
ვედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი
სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი. მიუხედავად ამისა, მან ნასამართლობის გაქარწყლებამ-
დე, ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება ამფეტამინი და
მეტამფეტამინი, რაც დაუდგინდა 2012 წლის 30 მაისს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის
მთავარი სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში ჩატარებული შემოწმების შედე-
გად.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ი. გ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეიხანავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. გ-ს ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საქმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ინკრიმინირებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებები. მისი ბრალეულობა დადასტურებულია მოწმეების – რ. ბ-ს, მ. ლ-ს, ზ. ა-ს, რ. ხ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ნარკოლოგიური, ქიმიური და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ი. გ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული ი. გ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 9 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის – 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ი. გ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 1 წელი და 6 თვე – უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს 1 წელი, 1 თვე და 15 დღე, ასევე 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 2 წელი და 9 თვე – უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს 2 წელი და 22 დღე. საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლით, 2 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ი. გ-ს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 10000 ლარი – უნდა დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებულ ი. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე უნდა აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8, მე-16, მე-18, მე-19 მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული ი. გ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 9 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის – 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ი. გ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 1 წელი და 6 თვე – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს 1 წელი, 1 თვე და 15 დღე, ასევე 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 2 წელი და 9 თვე – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს 2 წელი და 22 დღე. საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით, 2 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლია მოხდა დაეწყოს 2012 წლის 29 მაისიდან.

მსჯავრდებულ ი. გ-ს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 10000 ლარი – დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებულ ი. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ი. გ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ფხვნილი, საერთო წონით 0,034 გრამი კუსტარულად დამზადებული „ჰეროინი“, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობრივი შემცველობა 0,015 გრამია, განადგურდეს;

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ი. გ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი – 1951 წლის ნიმუშის „მაკაროვის“ სისტემის, 9 მმ კალიბრიანი, უნომრო პისტოლეტი და საბრძოლო მასალა – 7 ვაზნა, საიდანაც გასროლილი სამი ექსპერიმენტული ვაზნა (მასრა, ტყვია) ინახება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ტყვია-მასროთეკაში, გადაეცეს შს სამინისტროს შესაბამის სამსახურს, კანონით დადგენილი წესით შემდგომი განკარგვის მიზნით;

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ი. გ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული „ნოკიას“, „შარფის“ და „მფოს“ ფირმის მობილური ტელეფონები, მათში არსებული სამი სიმბარათით, დაუბრუნდეს ი. გ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით აღნიშნული სასჯელის შემცირება

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№17-აპ-13

11 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ რ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განაჩენით რ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2500 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 14 აგვისტოდან.

ნივთმტკიცება – 2 9მმ კალიბრიანი მასრა, რომელიც ინახება ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, 2012 წლის ივლისში ზუგდიდის რაიონის სოფელ რ-ი რ. ჯ-მ ისარგებლა გ. გ-ს უმწევრობით და მის მიმართ ჩაიდინა მამათმავლობა. 2012 წლის 3 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ რ-ი რ. ჯ-მ გ. გ-ს სცემა. 2012 წლის 3 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში რ. ჯ-მ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა მართლსაწინააღმდეგო შეიძინა, შეინახა და ატარებდა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული რ. ჯ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეინაწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით მსჯავრდებულ რ. ჯ-ს მიერ გ. გ-ს ცემა დადასტურებულია, რასაც არც საკასაციო საჩივარი ხდის სადავოდ.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი, 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით მისთვის შერაცხული დანაშაულები და განაჩენი ამ ნაწილში არის უკანონო და დაუსაბუთებელი, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, უსაფუძ-

ვლობის გამო. საქმეში არსებული მტკიცებულებებით: დაზარალებულ გ. გ-ს ჩვენებით, მონმეების – მ. გ-ს, თ. გ-ს, მ. ლ-ს, ნ. ჯ-ს, მ. ხ-ს, ე. კ-სა და სხვათა ჩვენებებით, ექსპერტიზების დასკვნებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საგნის დათვალიერებისა და დალუქვის ოქმით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ რ. ჯ-ს მიერ მისთვის ინკრინინირებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების ჩადენა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ რ. ჯ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული რ. ჯ-ა უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ რ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს j-ით და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2500 ლარი.

მსჯავრდებულ რ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 3000 ლარი – უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-16, მე-18 მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული რ. ჯ-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ რ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1/4-ით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2500 ლარი, რომლის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 14 აგვისტოდან.

მსჯავრდებულ რ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 3000 ლარი – დარჩეს უცვლელად.

ნივთმტკიცება – 2 9მმ კალიბრიანი მასრა, რომელიც ინახება ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, განადგურდეს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

აშენიშნის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№401-აპ-12

13 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. ბ.-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 აგვისტოს განაჩენით:

ა. კ.-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის გამოყენებით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულ სასჯელს – 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელიდან დაემატა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 5 თვის ვადით, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელიდან დაემატა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა. ა. კ.-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 20 მარტიდან.

ა. ბ.-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238¹ მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის გამოყენებით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულ სასჯელს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელიდან დაემატა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დანაშაულთა ერთობლიობით მას მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 მაისის განაჩენით ა. ბ.-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და აღსრულდა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაემატა ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ბ.-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 4 აპრილიდან.

ნივთმტკიცებები: შპს „...“ ამოღებული სათვალთვალ ვიდეოკამერების ჩანაწერები – ერთ კომპაქტ-დისკზე, რომელიც ინახება ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში, უნდა დაერთოს საქმეს საქმის შენახვის ვადით; ა. ბ.-ს სახლიდან ამოღებული თეთრი ქუდი, რომელიც ინახება ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში უნდა დაუბრუნდეს ა. ბ.-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ხოლო ა. ბ.-ს პირადი გასინჯვის დროს ამოღებული დანა, რომელიც ინახება ბ.-ს საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების – ა. კ.-ა და ა. ბ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 19 თებერვალს ა. კ.-ე და ბ.-ს საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 მაისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ნასამართლეთი ა. ბ.-ი ქ. ბ.-ი, ზ. გ.-ს ქუჩის №...-ში მდებარე ელექტროტექნიკის მაღაზია „...“ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლნენ „რემინგტონის“ ფირმის 160 ლარად ღირებულ თმის შესაჭრელ მანქანას.

2012 წლის 20 თებერვალს ამავე მაღაზიიდან ა. კ-ე და ა. ბ-ი კვლავ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ „ფილიპსის“ ფირმის 115 ლარად ღირებულ წვერის საპარს მანქანას.

2012 წლის 3 მარტს ა. კ-ე აღნიშნული მაღაზიიდან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა „ბრაუნის“ ფირმის 165 ლარად ღირებულ ეპილატორს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 მაისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ნასამართლევი ა. ბ-ი ატარებდა დანას, რომელიც, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას და რომელიც 2012 წლის 15 მარტს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის №2 განყოფილების შენობაში ამოიღეს მისი ადმინისტრაციული დაკავების შემდგომ ჩატარებული პირადი გასინჯვის შედეგად.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენით ა. ბ-ს მიმართ დარჩა უცვლელად, კერძოდ:

ა. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2012 წლის 19 თებერვლის ეპიზოდი) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2012 წლის 20 თებერვლის ეპიზოდი) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238¹ მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის გამოყენებით სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნულ ძირითად სასჯელს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთას დაემატა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული ძირითადი სასჯელის ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დანაშაულთა ერთობლიობით მას მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 მაისის განაჩენით ა. ბ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი, რომლის მოუხდელი ნაწილი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დაემატა ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ბ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2012 წლის 4 აპრილიდან.

მსჯავრდებული ა. ბ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ბ-ს ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ინკრიმინირებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებები. მისი ბრალეულობა დადასტურებულია მოწმეების – ა. მ-ს, დ. ბ-ს, ა. ბ-ს, ა. რ-ს ჩვენებებით, ამოღების, დათვალიერების, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისა და ამოცნობის ოქმებით, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, ადმინისტრაციული დაკავებისა და პირადი გასინჯვის ოქმებით, ნივთმტკიცებით, სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ა. ბ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ა. ბ-ი უნდა გათავისუფლდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 მაისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებულ ა. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და მიესაჯოს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და მიესაჯოს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ მსჯავრდებულ ა. ბ-ს მოსახდელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ა. კ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ა. კ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და მიესაჯოს 3 წლით, 6 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და მიესაჯოს 1 წლით, 9 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ მსჯავრდებულ ა. კ-ს მოსახდელად უნდა განესაზღვროს 5 წლით, 4 თვითა და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-16, მე-18 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ა. ბ-ი გათავისუფლდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 მაისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებულ ა. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1/4-ით და მიესაჯოს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1/4-ით და მიესაჯოს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ მსჯავრდებულ ა. ბ-ს მოსახდელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით, რომლის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 4 აპრილიდან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული ა. კ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. კ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1/4-ით და მიესაჯოს 3 წლით, 6 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1/4-ით და მიესაჯოს 1 წლით, 9 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ მსჯავრდებულ ა. კ-ს მოსახდელად განესაზღვროს 5 წლით, 4 თვითა და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 20 მარტიდან.

ნივთმტკიცებები: შპს „...“ ამოღებული სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები – ერთ კომპაქტ-დისკზე, რომელიც ინახება ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში, უნდა დაერთოს საქმეს საქმის შენახვის ვადით; ა. ბ-ს სახლიდან ამოღებული თეთრი ქუდი, რომელიც ინახება ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში უნდა დაუბრუნდეს ა. ბ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ხოლო ა. ბ-ს პირადი გასინჯვის დროს ამოღებული დანა, რომელიც ინახება ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

აშენიშნის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№306-აპ-12

14 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ თ. ბ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენით:

დ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 23 ივნისიდან.

ლ. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 4 წლის, 11 თვისა და 10 დღის ვადით, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაემატა დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით, 11 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ფ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 28 აპრილიდან.

თ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 აგვისტოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 3 წლის, 11 თვისა და 20 დღის ვადით, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაემატა დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით, 5 თვითა და 20 დღით თავისუფლების აღკვეთა. თ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 20 აპრილიდან.

სისხლის სამართლის № საქმეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ორი ლითონის მილი, ბალიში და ქაღალის ქამარი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების – დ. ტ-ს, ლ. ფ-სა და თ. ბ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული განიხილა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მარტის განაჩენით დ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 აპრილის განკარგულებით დ. ტ-ი გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

2010 წლის 24 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ ლ. ფ-ი გასამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი.

2007 წლის 25 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ თ. ბ-ი გასამართლდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

2011 წლის 19 აპრილს, სალამოს საათებში, თ. ბ-ს საცხოვრებელ ბინაში მივიდა გ. კ-ი. მათ შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რადგან თ. ბ-ი მას აბრალებდა მისი სახლიდან სხვადასხვა საოჯახო ნივთის ქურდობას. თ. ბ-ა დასახმარებლად დაურეკა თავის მეგობარ ლ. ფ-ს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ დ. ტ-ს ერთად მივიდა თ. ბ-ს საცხოვრებელ ბინაში. თ. ბ-ა და ლ. ფ-ა გ. კ-ს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამის შემდეგ თ. ბ-ა, ლ. ფ-ა და დ. ტ-ა განიზრახეს, გ. კ-სთვის თავისუფლება უკანონოდ აღეკვეთათ. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2011 წლის 20 აპრილს, დაახლოებით 04.00 საათზე, გ. კ-ი თ. ბ-ა, ლ. ფ-ა და დ. ტ-ა ქამრის გამოყენებით დააბეს სასტუმრო ოთახში, შეუკრეს ხელ-ფეხი და დააგდეს სასტუმრო ოთახში, იატაკზე, პარალელურად აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, კერძოდ, თ. ბ-ა

მას რამდენჯერმე ჩაარტყა დანის ტარი სახისა და თავის არეში, ხოლო ლ. ფ-ი ურტყამდა ხელებსა და ფეხებს ხელ-ფეხშეკრულ გ. კ-ს, რის შედეგადაც მას მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანება. გ. კ-ს არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, თ. ბ-ი, ლ. ფ-ი და დ. ტ-ი მას წასვლისა და თავისუფალი გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ და დაახლოებით 3-4 საათის განმავლობაში ჰყავდათ გაკოჭილი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორ ს. გ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურასა და მსჯავრდებულებს – დ. ტ-სა და ლ. ფ-ს შორის.

დ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 23 ივნისიდან.

ლ. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე აღნიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 11 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით, 11 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ფ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 28 აპრილიდან.

თ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 აგვისტოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 3 წლის, 11 თვისა და 20 დღის ვადით, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაემატა დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით, 5 თვითა და 20 დღით თავისუფლების აღკვეთა. თ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 20 აპრილიდან.

სისხლის სამართლის № საქმეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ორი ლითონის მილი, ბალიში და ქალის ქამარი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

მსჯავრდებული თ. ბ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს თ. ბ-ს უდანაშაულობის თაობაზე. მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიერ გ. კ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ გ. კ-ს, მონშეების – ა. ს-ს, დ. დ-ს, დ. ქ-ს, თ. ს-ს, ლ. ს-ს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ნიმუშის აღების, ამოცნობის ოქმით, ექსპერტიზის დასკვნებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული თ. ბ-ი უნდა გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ თ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს ერთი მესამედით და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-4 მუხლებით და

დაჯამება:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებული თ. ბ-ი გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ თ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს ერთი მესამედით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2011 წლის 20 აპრილიდან.

სისხლის სამართლის № საქმეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ორი ლითონის მილი, ბალიში და ქალის ქამარი განადგურდეს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№12-აპ-13

11 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს განაჩენით დ. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, ასევე – საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ დამზადება, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წელს საჩხერის რაიონის სოფ. ... მცხოვრებმა დ. ჩ-ემ იქორწინა თბილისში, კაჭარავას ქ. №-ში მცხოვრებ ნ. ბ-ზე და საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის სახლში.

2010 წელს დ. ჩ-ეს კონფლიქტი მოუხდა ნ. ბ-სა და მისი ოჯახის წევრებთან, რის შემდეგ ისინი განქორწინდნენ.

დ. ჩ-ე მეუღლესთან დაშორების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა სიდედრის – მ. ბ-ის მიმართ და მიიჩნევდა, რომ მან არასასურველი გავლენა მოახდინა მომხდარ ფაქტზე, რის გამოც განაწყენებულმა დ. ჩ-ემ განიზრახა მისი მოკვლა. 2010 წლის აპრილში მან მართლსაწინააღმდეგოდ, თვითნაკეთი წესით დაამზადა საბრძოლო მასალა და ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2012 წლის 21 მაისს, ღამით, დ. ჩ-ე მივიდა თბილისში, კაჭარავას ქ. №-ში, დაიმალა სახლის ეზოში მდებარე ავტოფარეხში, ხოლო 22 მაისს, დილით, მიუახლოვდა სახლიდან ეზოში გამოსულ მ. ბ-ს, რომელიც მის დანახვაზე სახლში შებრუნდა. დ. ჩ-ემ მოიმარჯვა იარაღი, მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში, შეჰყვა მას სახლში და კარის ზღურბლიდან დამიზნებით, დაახლოებით 2-3 მეტრი მანძილიდან, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით გაისროლა, რის შედეგადაც მ. ბ-მა მიიღო დაზიანება გულმკერდის არეში და ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო შემთხვევის ადგილზე მყოფმა მოკლულის მეზობლებმა და ნათესავებმა განაიარაღეს დ. ჩ-ე და არ მისცეს გაქცევის საშუალება. დ. ჩ-ე დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ჩ-ეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიესაჯა 11 წლითა და 6 თვით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით, ხოლო მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნულ 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივი შეკრების პრინციპით 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელიდან დაემატა 6 თვე, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – 2 წელი, მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელიდან კი – 3 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 22 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება და საბოლოოდ დანიშნული სასჯელის შემცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: დ. ჩ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; მას საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული დ. ჩ-ე საკასაციო საჩივარში მთლიანად აღიარებს და გულწრფელად იხადებს ჩადენილ დანაშაულს და ითხოვს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელის შემცირებას იმის გათვალისწინებით, რომ არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები და ითანამშრომლა გამოძიებასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ დ. ჩ-ემ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. მისი ბრალეულობა დადასტურებულია მისივე ჩვენებით, მოწმეების – მ. ბ-ის, გ. მ-ის, გ. შ-ის, ო. ხ-ის, გ. მ-ის, ნ. ნ-ისა და მ. ბ-ის ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ დ. ჩ-ის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული დ. ჩ-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელების მოხდისაგან, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებს და, ამასთანავე, დ. ჩ-ე როგორც საქმის მასალებიდან დასტურდება ნასამართლობის არ მქონეა. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ დ. ჩ-ეს ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მესაჯოს 8 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან აღნიშნული დანაშაული მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს და მასზე ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 1-ლი-მე-15 მუხლების მოქმედება

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-16 მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებული დ. ჩ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელების მოხდისგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულ დ. ჩ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვროს 8 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამენისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№361-აპ-12

11 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ მ. ა-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 22 ივნისის განაჩენით მ. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 15 მარტს სს „ჩემი ოჯახის კლინიკის“ თერჯოლის საავადმყოფოში „ბრონქიტისა“ და „ბრონქოსპაზმის“ დიაგნოზით მოთავსდა 2010 წელს დაბადებული ბ. ს-ე. მკურნალობის შედეგად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და ექიმის გადაწყვეტილებით 2012 წლის 19 მარტს იგი საავადმყოფოდან უნდა გაეწერათ. 2012 წლის 18 მარტს, დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე, საავადმყოფოს ექთნებს – ხ. ბ-სა და მ. ა-ეს, ექიმის დანიშნულების მიხედვით, ბ. ს-ისათვის უნდა გაეკეთებინათ ინიექცია. ამისათვის 20 მლ ტევადობის შპრიცში უნდა შეეზავებინათ „ნატრიუმის ქლორიდის“ 0,9%-იანი ხსნარი, „დექსამეტაზონი“ და „ეუფილინი“, ხოლო მეორე ასეთსავე შპრიცში – „ნატრიუმის ქლორიდის“ 0,9%-იანი ხსნარი, „ცე“ ვიტამინი და „დიმედროლი“. აღნიშნული მედიკამენტების შეზავება ხ. ბ-მა და მ. ა-ემ დაიწყეს საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის სამანიპულაციო მაგიდაზე, სადაც ეწყო „კალიუმის ქლორიდისა“ და „ნატრიუმის ქლორიდის“ ფლაკონები. მ. ა-ემ გაუფრთხილებლობით „ნატრიუმის ქლორიდის“ ხსნარის ნაცვლად, შპრიცებში ამოიღო „კალიუმის ქლორიდის“ 4%-იანი ხსნარი, რაც გადასცა ხ. ბ-ს, რომელმაც, ექიმის დანიშნულების მიხედვით, სხვა მედიკამენტები შეურია მ. ა-ის მიერ მიწოდებულ შპრიცებში არსებულ „კალიუმის ქლორიდის“ 4%-იან ხსნარს, რაც მისთვის არ იყო ცნობილი. ამის შემდეგ დამზადებული ხსნარი ორივე ექთანმა შეიტანა პალატაში, სადაც ხ. ბ-მა ერთ-ერთი შპრიცით ბ. ს-ეს დაუწყო ვენაში ხსნარის შეყვანა. კალიუმის ჭარბი რაოდენობით ორგანიზმში ერთბაშად მოხვედრის შედეგად მცირეწლოვან ბ. ს-ეს უმალვე განუვითარდა სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რის გამოც, გადაუდებლად განუწესდა სამედიცინო დახმარების მიუხედავად, მალევე გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. ა-ეს მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2012 წლის 6 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ა-ემ და ითხოვა გამართლება, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 სექტემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებულ განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული მ. ა-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, რადგან არსებითად დაირღვა საქართველოს სსკ-ის მე-5 და მე-13 მუხლების მოთხოვნები და მსჯავრდებულის ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა. იმის გამო, რომ მ. ა-ეს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოვლინებით, ევალებოდა ავადმყოფებისათვის მხოლოდ მარტივი პროცედურების ჩატარება, ხოლო ბ. ს-ის მკურნალი ექიმის ჩვენებით, პაციენტისათვის დანიშნულების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ხ. ბ-ი, მსჯავრდებული მ. ა-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეინახა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ა-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულის უფლებამონაცვლის – ნ. ა-ის, მონმეების – ხ. ბ-ის, ხ. ჭ-ის, ნ. გ-ისა და ც. პ-ის ჩვენებებით, ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამენისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ა-ეს ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 2 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. რადგან, მართალია, მის მიერ ჩადენილია

ნაკლებად მძიმე კატეგორიის გაუფრთხილებლობითი დანაშაული, მაგრამ მისმა ქმედებამ გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და, შესაბამისად, ვინაიდან დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ წარმოდგენილია ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, რომ იგი არ არის თანახმა მსჯავრდებულ მ. ა-ის მიმართ გამოყენებულ იქნეს „ამნისტიის შესახებ“ კანონი და მოხდეს მისი სასჯელისგან სრულად განთავისუფლება, მ. ა-ის მიმართ ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 1-ლი-მე-15 მუხლების მოქმედება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ა-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 2 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 სექტემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№397-აპ-12

25 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ თ. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის განაჩენით თ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

თ. ი-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 31 მარტიდან.

თ. ი-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა გაუპატიურების მცდელობა, ე.ი. სქესობრივი კავშირის მცდელობა ძალადობით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 30 მარტს, დაახლოებით 15 საათზე, თ. ი-ი მივიდა არასრულწლოვან ე. თ-ის სახლთან და გამოელაპაკა მას, ხოლო როდესაც ე. თ-ი შევიდა სახლში, გაჰყვა და შესთავაზა სქესობრივი კავშირის დამყარება, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა. თ. ი-მა იცოდა რა, რომ ე. თ-ი იყო არასრულწლოვანი, განიზრახა მასთან ძალადობით სქესობრივი კავშირის დამყარება და შეეცადა იგი ტახტზე დაეწვინა, თუმცა ე. თ-მა წინააღმდეგობა გაუწია, ყვიროდა და შველას ითხოვდა. თ. ი-მა მას პირზე ხელი დააფარა, ძალით შეიყვანა საძინებელ ოთახში, დააწვინა საწოლზე, გაიხსნა შარვალი და ძალადობის გამოყენებით სცადა მისთვის შარვლის, რეიტუზისა და ქვედა საცვლის გახდა, რა დროსაც ე. თ-ს გაერღვა შარვალი და ქვედა საცვალი. ყვირილის და მისაშველებლად მოხმობის ხმა გაიგო ე. თ-ის დედა – ტ. თ-მა და სიტუაციაში გარკვევის მიზნით შევიდა სახლში. ტ. თ-ის გამოჩენისთანავე თ. ი-ი შეეშვა ე. თ-ს და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. ი-მა. საჩივრით მან ითხოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი, სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ე. თ-ის, მოწმეების ტ.

თ-ის, ლ.კ-ის, ვ. რ-ის, გ. ნ-ის, ო. ა-ის, ლ. შ-ის, ე. ი-ის ჩვენებებით, ამოღებული ნივთმტკიცებებით, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით სასამართლომ ეჭვის გამომრიცხავად დაადგინა ყველა ფაქტობრივი გარემოება და თ. ი-ის ბრალეულობა ინკრიმინირებულ ქმედებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით თ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და, შესაბამისად, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით, იმავე მოთხოვნებით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტებს იმის შესახებ, რომ განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. თ. ი-ის დანაშაულებრივ ქმედებას მიცემული აქვს სწორი სამართლებრივი შეფასება. საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილი სტანდარტებით ადასტურებს, რომ თ. ი-მა ჩაიდინა მისთვის ინკრიმინირებული ქმედება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თ. ი-ის მიმართ დადგენილი განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო დანიშნული სასჯელი – სამართლიანი; შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები და კასატორს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. ი-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ თ. ი-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდეს და საბოლოოდ განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

თ. ი-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწეოს დაკავების დღიდან – 2012 წლის 31 მარტიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი თ. ი-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი საქართველოს სახელით

№382-აპ-13

26 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
ბ. ალავეიძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის განაჩენით გ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მისთვის ინკრიმინირებულ ქმედებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 5 წლისა და 6 თვის ვადით.

მას დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2012 წლის 20 მარტიდან.

მასვე დამატებითი სასჯელის სახით ავტომატურად მართვის უფლება ჩამოერთვა 2 წლისა და 6 თვის ვადით და ჯარიმის სახით დაეკისრა 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულმა გ. ბ-მა განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ბ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

განაჩენით გ. ბ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დადგენილად ცნეს, რომ 2011 წლის 26 ოქტომბერს, დაახლოებით 13.50 საათზე, თეთრიწყაროს რაიონის ტერიტორიაზე გამავალ კოდა-წალკის მხრიდან მოძრაობდა გ. ბ-ი თავისი მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანა „მანით“, სახ. №..., რომელიც თბილისის მიმართულებით მოძრაობის გაგრძელების მიზნით, გადავიდა ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზაზე, ანუ მთავარ გზაზე, რა დროსაც არ დაუთმო გზა გადასაკვეთ გზაზე თბილისის მხრიდან მარნეულის მიმართულებით მოძრავ ა. ყ-ის მართვის ქვეშ მყოფ სატვირთო ფურგონს – „ფორდ-ტრანზიტს“, სახ. №...; აღნიშნულით გ. ბ-მა დაარღვია „საქართველოს საგზაო მოძრაობის წესების დანართის“ პრიორიტეტული ნიშნის 2.4. – „დაუთმეთ გზა“ მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს გადასაკვეთ გზაზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას. გ. ბ-ის მიერ აღნიშნული წესის დარღვევის გამო, ა. ყ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი შეეჯახა გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფ ავტომობილს. შეჯახების შედეგად ა. ყ-ი ადგილზე გარდაიცვალა.

სასამართლომ გ. ბ-ის ბრალეულობა დადასტურებულად მიიჩნია სასამართლო სხდომაზე დაკითხული, დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ყ-ის, მოწმეების: კ. ბ-ის, ი. ჩ-ის, თ. ნ-ის, მოწმედ დაკითხული ექსპერტების: დ. გ-ის, ლ. ჭ-ას, გ. ო-ის ჩვენებებით, ასევე გამოძიებით დანიშნული და ჩატარებული სატრანსპორტო ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებით.

სასამართლო განაჩენში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბრალდების მხარის აღნიშნული მტკიცებულებების საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დასაშვებობის საკითხი დაცვის მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

მსჯავრდებულმა გ. ბ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კასატორი საჩივარში აღნიშნავს, რომ იგი უდანაშაულოა, საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევია, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი შედგენილია კანონის დარღვევით, ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზები ჩატარებულია ტენდენციურად და არ არის უარყოფილი გონივრული ეჭვი მათი შესაძლო გამოცვლის შესახებ. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი, საქმეზე დაერთო და გამოეკვლია დაცვის მხარის მიერ დანიშნული და ჩატარებული ალტერნატიული ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ადასტურებენ მის უდანაშაულობას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს დაცვის მხარის მიერ დანიშნული და ჩატარებული ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნების საქმეზე დართვას, ექსპერტების: რ. ვ-ის და გ. კ-ის მოწმეთა სახით დაკითხვას, სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება გ. ბ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებისა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენის თაობაზე უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, მასზე დართული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემატური ნახაზით, სატრანსპორტო ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებით, მოწმეთა და მოწმედ დაკითხული ექსპერტების ჩვენებებით მსჯავრდებული-სათვის ინკრიმინირებული ქმედება დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საფუძველს მოკლებულია კასატორის არგუმენტები იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ უთხრა მას უარი დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული ალტერნატიული ტრასოლოგიური

და ავტოტექნიკური ექსპერტიზების მტკიცებულებად დასაშვებობაზე და ექსპერტიზების ავტორთა მოწმედ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დასაბუთებულად და კანონიერად უთხრა მას უარი ახალი მტკიცებულების გამოკვლევაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას.

იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლე – გ. ყ-ი წინააღმდეგია გ. ბ-ზე სრულად გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ამნისტია, პალატა ხელმძღვანელობს ამავე კანონის მე-16 და მე-18 მუხლებით დადგენილი პირობებით, რომელთა თანახმად, მსჯავრდებულს 1/4-ით უნდა შეუმცირდეს დადგენილი ძირითადი და დამატებითი სასჯელი, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16, მე-18 მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და მე-18 მუხლების თანახმად, მსჯავრდებულ გ. ბ-ს 1/4-ით შეუმცირდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის, 1 თვისა და 15 დღის ვადით.

გ. ბ-ს საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2012 წლის 20 მარტიდან.

დამატებით სასჯელად ავტომანქანის მართვის უფლება გ. ბ-ს ჩამოერთვას – 1 წლის, 10 თვისა და 15 დღის ვადით.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№9-აპ-13

8 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ხ. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენით ხ. ი-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებულ მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებებში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ხ. მ-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით; მას სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3500 ლარი; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ე. რ-ას, გ. ყ-ის, მ. ა-ის, კ. ხ-ის, ი. მ-ის, ქ. დ-ის, ლ. ზ-ის, ნ. ი-ის ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და მოსახდელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3500 ლარი; სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ხ. მ-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და განესაზღვრა – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (გ. ი-ის ეპიზოდი) – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა,

რაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად ხ. ი-ეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 7000 ლარი.

თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა ხ. ი-ეს დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 7 მარტიდან.

ხ. ი-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მოტყუებით, დიდი ოდენობით (ორი ეპიზოდი); მანვე ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება (ორი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 16 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, თ-ში, ...-ის ქუჩა №...-ში არსებული 400 კვ/მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები დარეგისტრირდა პ. და მ. ო-ების საკუთრების უფლებებით. აღნიშნულის შემდეგ პ. ო-ის მეუღლის – ხ. ი-ის, როგორც მესაკუთრეების მინდობილი პირის მიერ, სესხის მიღების მიზნით ხსენებული უძრავი ქონება რამდენჯერმე დაიტვირთა იპოთეკით სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული იპოთეკური სესხების უზრუნველსაყოფად. მათ შორის აღნიშნული ქონება იპოთეკით დაიტვირთა 2011 წლის 23 სექტემბერს ხ. ი-ის მიერ ხ. მ-ისაგან სესხის სახით მიღებული 70 000 აშშ დოლარის და 2012 წლის 13 იანვარს ხ. ი-ის მიერ გ. ი-ისაგან სესხის სახით მიღებული 2700 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად.

2012 წლის თებერვალში ხ. ი-ემ განიზრახა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების გზით ხ. მ-ის კუთვნილი 70 000 აშშ დოლარის თაღლითურად დაუფლება. ამ მიზნით მან გამოძიებით დაუდგენელ ზუსტ დროსა და ვითარებაში ხ. მ-ის სახელით დაამზადა ყალბი განცხადება 70 000 აშშ დოლარიანი იპოთეკის გაუქმების თაობაზე. 2012 წლის 13 თებერვალს ხ. ი-ემ აღნიშნული ყალბი განცხადება სხვა დოკუმენტებთან ერთად, ისე, რომ მას ხ. მ-ისაგან სესხად მიღებული თანხა დაბრუნებული არ ჰქონდა, წა-რადგინა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში. ხსენებული ყალბი განცხადების საფუძველზე 2012 წლის 15 თებერვალს ხ. მ-ის იპოთეკა გაუქმდა, რითაც მას მოესპო სესხად გაცემული თანხის უკან დაბრუნების საშუალება. ამ გზით ხ. ი-ემ, თაღლითურად დაუფლა რა ხ. მ-ის კუთვნილ 70 000 აშშ დოლარს, მას მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

გარდა აღნიშნულისა, ხ. ი-ემ 2012 წლის თებერვალში გამოძიებით დაუდგენელ ზუსტ დროსა და ვითარებაში დაამზადა ნოტარიუს ნ. ს-ის სახელით შედგენილი ყალბი სანოტარო აქტი – გ. ი-ის 2700 აშშ დოლარიანი იპოთეკის გაუქმების თაობაზე და გამოყენების მიზნით 2012 წლის 27 თებერვალს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარადგინა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში. ამასთან, ხ. ი-ემ ხსენებული 2700 აშშ დოლარი დაუბრუნა გ. ი-ს.

გარდა აღნიშნულისა, ხ. მ-ის 70 000 აშშ დოლარიანი იპოთეკის გაუქმების რეგისტრაციისა და შესაბამისი ამონაწერის მიღების შემდეგ, ხ. ი-ემ განიზრახა, იპოთეკური სესხის ხელშეკრულების გაფორმების გზით თაღლითურად დაუფლებოდა მოქალაქეების კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს. ამ მიზნით ხ. ი-ე დაუკავშირდა მოქალაქეებს: ე. რ-ას, გ. ყ-ს, მ. ა-ს, კ. ხ-ეს, ი. მ-ს, ქ. დ-ს, ლ. ზ-ეს და ნ. ი-ს, რომლებსაც დაუმალა რა ხსენებულ უძრავ ნივთზე 70 000 აშშ დოლარიანი იპოთეკის არსებობის ფაქტი, დაითანხმა ისინი მისთვის იპოთეკური სესხის მიცემაზე. დასახელებულ მოქალაქეებთან 2012 წლის 16 თებერვალს და 2 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ხ. ი-ე თაღლითურად დაუფლა ე. რ-ას კუთვნილ – 15 000 აშშ დოლარს, გ. ყ-ის კუთვნილ – 5000 აშშ დოლარს, მ. ა-ის კუთვნილ – 4000 აშშ დოლარს, კ. ხ-ის კუთვნილ – 6000 აშშ დოლარს, ი. მ-ის კუთვნილ – 5500 აშშ დოლარს, ქ. დ-ის კუთვნილ – 2500 აშშ დოლარს, ლ. ზ-ის კუთვნილ – 8000 აშშ დოლარს და ნ. ი-ის კუთვნილ – 5700 აშშ დოლარს, მთლიანობაში – 51 700 აშშ დოლარს, რითაც ამ უკანასკნელებს მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ხ. ი-ემ. აპელანტი ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, მხარეთა მონაწილეობით, სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა მოცემული სისხლის სამართლის საქმე, შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, მათი რელევანტურობის, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით და მივიდა დასკვნამდე, რომ ხ. ი-ემ ჩაიდინა მისთვის ინკრიმინირებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელსაც მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება და 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენი.

მსჯავრდებულმა ხ. ი-ემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კასატორს მიაჩნია, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია; სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევის გარეშე; მის უდანაშაულობას დაადასტურებენ მოწმეები, რომელთა დაკითხვა სასამართლო სხდომაზე არ მომხდარა ბრალდების მხრიდან საპროცესო შეთანხმების დადების პირობით, რომლის საფუძველზე მან დანაშაული აღიარა, თუმცა, პროკურატურამ მასთან საპროცესო შეთანხმება არ გააფორმა და სასამართლომ მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე უკანონოდ დასდო

მას მსჯავრი იმ ქმედებაში, რაც არ ჩაუდენია; ამიტომ ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

საკასაციო საჩივრის შესაგებელში საქართველოს მთავარი პროკურორის სამმართველოს უფროსი პროკურორი ზ. ქ-ი არ იზიარებს კასატორის არგუმენტებს მისი უდანაშაულობის შესახებ, მიიჩნევს მათ უსაფუძვლოდ და ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ კასატორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეს უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს მტკიცებულება, სასამართლოს მეშვეობით გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება.

მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეთა კომპეტენციას წარმოადგენს. მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მაისის წინა სასამართლო სხდომაზე დამტკიცდა დაცვის მხარისთვის საპროცესო კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გადაცემული იმ მტკიცებულებათა ნუსხა, რომელიც დაცვის მხარესთან თანხმობით დაშვებულ იქნა სასამართლოს არსებით განხილვაზე, როგორც ბრალდების მტკიცებულებები.

წინა სასამართლო სხდომის ამავე ოქმის თანახმად, დაცვის მხარემ, საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნათა დაუცველობით და დარღვევით, დააყენა შუამდგომლობა დაცვის მხარის მოწმეთა დაკითხვის შესახებ, რასაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის შესაბამისად უთხრა უარი დაკმაყოფილებაზე.

საქმის არსებითი განხილვის 2012 წლის 15 მაისის სასამართლო სხდომაზე, საქართველოს სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, ბრალდების მხარემ წარმოადგინა შესავალი სიტყვა, დაცვის მხარემ საპასუხოდ იშუამდგომლა ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების დადების მოტივით სხდომის გადადება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

2012 წლის 22 ივნისის სხდომაზე სახელმწიფო ბრალდებელმა განაცხადა, რომ დაცვის მხარეს უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დადებაზე, რის შემდეგაც დაცვის მხარემ წარმოადგინა შესავალი სიტყვა.

მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 ივლისის სხდომაზე ხ. ი-ემ აღიარა თავის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები. აღნიშნულის საფუძველზე დაცვის მხარემ განაცხადა, რომ სადავოდ არ ხდიდა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ არც ერთ მტკიცებულებას და უარი განაცხადა ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაზე. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 84-ე მუხლის თანახმად, იშუამდგომლა მტკიცებულებათა წარდგენის საგამონაკლისო უფლებით და მოითხოვა ხ. ი-ის დაკითხვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაცვის მხარისათვის შესავალი სიტყვის წარმოთქმამდე იყო ცნობილი ბრალდების მხარის უარი საპროცესო შეთანხმებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, დაცვის მხარეს სადავოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ნებაყოფლობით თვითონ თქვა უარი სასამართლო სხდომაზე ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაზე. აღნიშნულით კი, საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს მიენიჭა პრეიუდიციული ძალა და კანონის შესაბამისად, სასამართლომ გამოკვლევის გარეშე სწორად მიიღო ისინი მტკიცებულებად, შეამოწმა და შეაფასა საქმის გარემოებებთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის საკითხი, რის შედეგადაც გამოარკვია საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და ამ ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე ეჭვის გამომრიცხავად დადგენილად მიიჩნია ხ. ი-ის ბრალეულობა მისთვის ინკრიმინირებულ ქმედებებში.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, კასატორის არგუმენტები იმის შესახებ, რომ მასთან მიმართებით საქმის განხილვის მიმდინარეობისას დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებები, საფუძველს მოკლებულია და საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მსჯავრდებულის მიმართ გავრცელების შესახებ დაზარალებულებიდან წერილობითი თანხმობა გაცხადებული აქვს ხ. მ-ს და ამ ეპიზოდში მსჯავრდებული უნდა გათავისუფლდეს განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოხდისაგან. ბრალდების მეორე ეპიზოდში წერილობითი უარი გაცხადებული აქვს მხოლოდ დაზარალებულ ქ. დ-ს, ხოლო დანარჩენ დაზარალებულებს, რომლებსაც სასამართლოს მხრიდან ეცნობათ ხ. ი-ის მიმართ ამნისტიის გავრცელების შესაძლებლობის შესახებ, დღემდე თავიანთი პოზიცია სასამართლოსათვის არ უცნობებიათ, რაც გამომრიცხავს „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის გამოყენებით მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას. ამასთან, ამავე კანონის

მე-3 და მე-4 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, სასამართლო იმსჯელებს მსჯავრდებულის სასიკეთოდ გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-4, მე-18 მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ხ. ი-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ხ. ი-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ხ. მ-ის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის – 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ხ. ი-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (გ. ი-ის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის – 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ხ. ი-ე გათავისუფლდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ხ. მ-ის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის – 7 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

ამავე ეპიზოდში დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 3500 ლარი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, დარჩეს უცვლელად.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ხ. ი-ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენით სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ე. რ-ას, გ. ყ-ის, მ. ა-ის, კ. ხ-ის, ი. მ-ის, . დ-ის, ლ. ზ-ისა და მ. ი-ის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/3-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 8 თვით.

ამავე ეპიზოდში დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 3500 ლარი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, დარჩეს უცვლელად.

სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული ძირითადი და დამატებითი სასჯელები შეიკრიბოს სრულად და საბოლოოდ ხ. ი-ეს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 8 თვით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 7000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ხ. ი-ეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 7 მარტიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განაჩენი ხ. ი-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტიის საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№16-აპ-13

10 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – ნ. ჯ-ისა და მ. პ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის განაჩენით ა. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (4 ეპიზოდი), სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 14 წლითა და 9 თვით;

ა. ხ-ეს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2012 წლის 27 იანვრიდან.

მ. პ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 12 წლით;

მას დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 7000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. პ-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2012 წლის 27 იანვრიდან.

ნ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 9 თვით;

მას დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 6000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ა. ხ-ეს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო:

თაღლითობისათვის, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებისათვის მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (4 ეპიზოდი);

თაღლითობისათვის, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებისათვის მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით.

მ. პ-ს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო:

თაღლითობისათვის, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებისათვის მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, არაერთგზის;

თაღლითობისათვის, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებისათვის მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის.

ნ. ჯ-ეს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო:

თაღლითობისათვის, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებისათვის მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

თაღლითობისათვის, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებისათვის მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის თებერვალში ა. ხ-ისათვის დ. კ-ისაგან ცნობილი გახდა ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელის ნათესავს – გ. ზ-ეს პატიმრობაში ჰყავდა შვილი ვ. დ-ე, რომელიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის განაჩენით მსჯავრდებული იყო საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და განაჩენთა ერთობლიობით შეფარდებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვით და იხდიდა სასჯელს. ნათესავებს სურდათ მისი ვადაზე ადრე გათავისუფლება სასჯელალსრულების დაწესებულებიდან. აღნიშნული ვითარება ცნობილი გახდა ა. ხ-ისათვის და იგი დ. ღ-ის მეშვეობით დაუკავშირა გ. ზ-ეს, დაარწმუნა, რომ თბილისში ჰყავდა გავლენიან ნაცნობთა ფართო წრე, რომლებსაც უშუალო კავშირები გააჩნდათ შეწყალების კომისიის წევრებთან და მათი დახმარებით მის შვილს – ვ. დ-ეს შეიყვანდა შესაწყალებელ პირთა სიაში, რისთვისაც საჭირო იყო წინასწარ 3000 აშშ დოლარის გადახდა და მოსთხოვა აღნიშნული თანხის მისთვის გადაცემა, რის შემდეგაც გ. ზ-ემ 2011 წლის 2 თებერვალს სს „... ბანკის“ ბათუმის ფილიალიდან ა. ხ-ის ანგარიშზე გადარიცხა მითითებული თანხა, რასაც ა. ხ-ე მოტყუებით დაეუფლა და რამაც გ. ზ-ეს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განაჩენით ფ. ხ-ი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, საიდანაც 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 7 წელი ჩათვალა პირობით, 8 წლის გამოსაცდელი ვადით.

2011 წლის ივლისში ფ. ხ-ი სასჯელალსრულების დაწესებულებიდან ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა მამას – ზ. ხ-ს და აცნობა, რომ ბ-ში ადვოკატად მუშაობდა ა. ხ-ე, რომელიც აგვარებდა მსჯავრდებული პირების შეწყალების გზით გათავისუფლების საქმეს, სთხოვა მასთან შეხვედრა და ამ საკითხის მოგვარება. ამ მიზნით რამდენიმე დღეში თბილისში, სასჯელალსრულების №... დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე, იგი შეხვდა ა. ხ-ეს, გააცნო საქმის ვითარება და სთხოვა დახმარება შვილის შეწყალებით გათავისუფლებაში. ა. ხ-ემ ზ. ხ-ი დაარწმუნა, რომ თბილისში ჰყავდა გავლენიან ნაცნობთა ფართო წრე, რომლებსაც უშუალო კავშირები გააჩნდათ შეწყალების კომისიის წევრებთან და მათი დახმარებით მის

შვილს – ფ. ხ-ს ჩართავდა შესაწყალებელ პირთა სიაში, დახმარება აღუთქვა და უთხრა, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად, კერძოდ კი შესაწყალებელ პირთა სიაში მისი შვილის ჩასასმელად, საჭირო იყო 500 აშშ დოლარი. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში, სასჯელალსრულების №... დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე, ზ. ხ-მა 500 აშშ დოლარი გადასცა ა. ხ-ეს. ამ თანხას ა. ხ-ე თაღლითობის გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა, რამაც ზ. ხ-ს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

ხ-ის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 7 თებერვლის განაჩენით დ. გ-ე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, საიდანაც 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალი პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

2011 წლის აგვისტოში დ. გ-ე სასჯელალსრულების დაწესებულებიდან ტელეფონით დაუკავშირდა თავის მამას – ს. გ-ეს და აცნობა, რომ ქ. ბ-ში ადვოკატად მუშაობდა ა. ხ-ე, რომელიც აგვარებდა მსჯავრდებული პირების შეწყალების გზით ვადაზე ადრე გათავისუფლების საქმეს, სთხოვა მასთან შეხვედრა და ამ საკითხის მოგვარება. აღნიშნული მიზნით რამდენიმე დღეში ბ-ში იგი შეხვდა ა. ხ-ეს, გააცნო საქმის ვითარება და სთხოვა დახმარება შვილის შეწყალებით ვადაზე ადრე გათავისუფლების საქმეში. ა. ხ-ემ დახმარება აღუთქვა და უთხრა, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად, კერძოდ კი შესაწყალებელ პირთა სიაში ჩასასმელად, საჭირო იყო 9000 ლარი, საიდანაც თანხის ნაწილი – 1500 აშშ დოლარი და 500 ლარი წინასწარ იყო გადასახდელი, ხოლო დარჩენილი თანხა მისთვის უნდა გადაეცა შვილის გათავისუფლების შემდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ ს. გ-ემ ა. ხ-ეს ქ. ბ-ში, ...-ის ქუჩაზე განთავსებულ „...“ ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ორ ეტაპად გადასცა ჯერ 500 ლარი, ხოლო შემდგომ – 1500 აშშ დოლარი, რასაც ა. ხ-ე თაღლითობის გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა, რამაც ს. გ-ეს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

თ-ს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის განაჩენით ო. ტ-ი მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, საიდანაც 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალი პირობით – 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

2011 წლის აგვისტოს დასაწყისში თბილისში, სასჯელალსრულების №... დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე, ამავე დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულ ფ. ხ-ის მამამ – ზ. ხ-მა, გ. ტ-ს აცნობა, რომ ბ-ში ადვოკატად მუშაობდა ა. ხ-ე, რომელიც აგვარებდა მსჯავრდებული პირების შეწყალების გზით გათავისუფლების საქმეს. 2011 წლის აგვისტოს დასაწყისში თბილისში, რკინიგზის ვაგზლის ტერიტორიაზე, გ. ტ-ი ზ. ხ-თან ერთად შეხვდა ა. ხ-ეს და სთხოვა დახმარება შვილის შეწყალებით გათავისუფლების საქმეში. ა. ხ-ემ გ. ტ-ი დაარწმუნა, რომ თბილისში ჰყავდა გავლენიან ნაცნობთა ფართო წრე, რომლებსაც უშუალო კავშირები გააჩნდათ შეწყალების კომისიის წევრებთან და მათი დახმარებით შეძლებდა მისი შვილის – ო. ტ-ის შესაწყალებელ პირთა სიაში ჩართვას, დახმარება აღუთქვა და უთხრა, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭირო იყო 3000 აშშ დოლარი. 2011 წლის 16 აგვისტოს გ. ტ-მა ზემოხსენებული 3000 აშშ დოლარი სს „... ბანკის“ მეშვეობით გადარიცხა ა. ხ-ის ანგარიშზე, რასაც ეს უკანასკნელი თაღლითობის გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა, რამაც გ. ტ-ს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

მ. პ-ი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის განაჩენით გასამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რისთვისაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 18 აპრილის №... განკარგულებით მას გაუნახევრდა მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი. სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მ. პ-მა განიზრახა პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული პირების, თითქოსდა შეწყალების გზით გათავისუფლების მოტივით, ოჯახის წევრების თანხებს მოეყუებით დაუფლებოდა. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ა. ხ-ეს, რომელიც ადრე მუშაობდა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე და გააცნო თავისი დანაშაულებრივი განზრახვა. მათ შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვითაც, ა. ხ-ე დაუკავშირდებოდა პატიმრობაში მყოფ იმ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებს, რომლებსაც სურდათ თავიანთი ახლობლების შეწყალების გზით ვადაზე ადრე გათავისუფლება და სანაცვლოდ შეეძლოთ გარკვეული გასამრჯელოს წინასწარ გადახდა. დაარწმუნებდა, რომ თითქოსდა თბილისში მცხოვრები მ. პ-ისა და მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი სხვადასხვა თანამდებობის პირის დახმარებით შეძლებდა მსჯავრდებულების შეწყალების კომისიის სიებში ჩართვას და, შესაბამისად, შეწყალების გზით ვადაზე ადრე გათავისუფლებას, ხოლო თაღლითურად დაუფლებულ თანხებს მ. პ-ი და ა. ხ-ე ერთმანეთში გაინაწილებდნენ.

2011 წლის ივლისში ა. ხ-ისათვის გ. შ-ისაგან ცნობილი გახდა, რომ მისი შვილი რ. შ-ე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის განაჩენით მსჯავრდებული იყო საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით და მისჯილი ჰქონდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელს იხდიდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში და გ. შ-ეს სურდა თავისი შვილის გათავისუფლება. ა. ხ-ემ დახმარება აღუთქვა მას, რამდენიმე დღეში კი აცნობა, რომ მისი შვილის საკითხის მოსაგვარებლად საუბარი ჰქონდა თბილისში მ. პ-თან, რომელიც გავლენიანი ნაცნობების დახმარებით მოაგვარებდა ამ საქმეს. ამ მიზნით თავდაპირველად საჭირო იყო დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან შერიგება, რასაც თავის თავზე აიღებდა მ. პ-ი, რომელიც იცნობდა გარდაცვლილის დედის ნათესავს. რამდენიმე დღეში ბათუმში ა. ხ-ემ იგი შეახვედრა მ. პ-ს, რომელმაც გ. შ-ეს განუცხადა, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან

მოგვარებული ჰქონდა ურთიერთობა, ოღონდ ეს უკანასკნელი ითხოვდა 12 000 აშშ დოლარის გადახდას. ეს თანხა გ. შ-ეს ბანკის მეშვეობით უნდა გადაერიცხა ა. ხ-ის ანგარიშზე, რომელიც თავის მხრივ ამ თანხას მ. პ-ს გადასცემდა, ხოლო პ-ი ხსენებულ თანხას მიაწვდიდა დაზარალებულის უფლებამონაცვლეს. ამავდროულად, მ. პ-მა უთხრა, რომ რადგანაც დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან შერიგების შემდეგ მოიხსნებოდა მისი შვილის სისხლის სამართლის საქმეში საპროცესო გარიგების დადებისა და ასევე შეწყალებისათვის ხელისშემშლელი ბოლო ბარიერი, საჭირო იქნებოდა პროკურატურის ორგანოებისათვის საპროცესო შეთანხმებისათვის თანხის შეთავაზება და გ. შ-ისაგან გაიგო, რომ მას აღნიშნული მიზნით შეეძლო 10 000 აშშ დოლარის გადახდა. ამ საუბრიდან რამდენიმე დღეში, 2011 წლის ივლისის დასაწყისში, გ. შ-ეს კვლავ შეხვდა ა. ხ-ე, რომელმაც თბილისში მ. პ-ისათვის გადასაცემად ხელზე გამოართვა 9000 აშშ დოლარი, იმ მოტივით, რომ მ. პ-ი ამ თანხას ჩარიცხავდა სასამართლოს ანგარიშზე. აღნიშნულიდან რამდენიმე დღეში გ. შ-ეს კვლავ დაუკავშირდა ა. ხ-ე და მოსთხოვა ზემოხსენებული 12000 აშშ დოლარის ბანკის მეშვეობით მის ანგარიშზე გადარიცხვა. ა. ხ-ის მოთხოვნის შესაბამისად, 2011 წლის 13 ივლისს გ. შ-ემ ზემოაღნიშნული 12000 აშშ დოლარი სს „... ბანკის“ მეშვეობით გადარიცხა ა. ხ-ის ანგარიშზე. გარკვეული დროის შემდეგ გ. შ-სთან ოჯახში ერთად მივიდნენ ა. ხ-ე და მ. პ-ი. ამ უკანასკნელმა მოპოვებული ნდობის განმტკიცებისა და მეტი დამაჯერებლობისათვის მას გადასცა თითქმის საქართველოს მთავარი პროკურატურის გამომძიებლის, ვინმე ქ. ზ-ის მიერ წარმოებული დაზარალებულის უფლებამონაცვლის დაკითხვის ოქმი, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ ბრალდებულთან პრეტენზიები აღარ გააჩნდა. ასევე მათ გ. შ-ეს გადასცეს თბილისის ნოტარიუსის – მ. დ-ის მიერ 2011 წლის 13 ივლისს დამოწმებული სანოტარო აქტი, სესხის ხელშეკრულება, ა. ხ-ისგან მ. პ-ის მიერ 12000 აშშ დოლარის სესხების შესახებ. ხსენებული ქმედებით ა. ხ-ე და მ. პ-ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯგუფურად, მოტყუებით დაეუფლნენ გ. შ-ის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 21 000 აშშ დოლარს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს – ნ. ჯ-ეს დაუკავშირდა მ. პ-ი და შესთავაზა, დაკავშირებული პატიმრობაში მყოფი იმ მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს, რომლებსაც სურდათ თავიანთი ახლობლების შეწყალების გზით ვადაზე ადრე გათავისუფლება, რის სანაცვლოდაც გადაიხდიდნენ გარკვეულ გასამრჯელოს, დაერწმუნებინა ისინი, რომ მ. პ-ი, მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი სხვადასხვა თანამდებობის პირის დახმარებით, შეძლებდა შეწყალების კომისიის სიებში მათი ახლობელი მსჯავრდებულების ჩართვას და, შესაბამისად, შეწყალების გზით, ვადაზე ადრე გათავისუფლებას. ამ შეთავაზებას ნ. ჯ-ე დათანხმდა.

2011 წლის სექტემბერში ნ. ჯ-ისათვის ლ. ა-საგან ცნობილი გახდა, რომ მისი შვილი კ. ვ-ე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის განაჩენით მსჯავრდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლითა და 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და განაჩენითა ერთობლიობით შეფარდებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის, 11 თვისა და 28 დღის ვადით, სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ლ. ა-ას სურდა თავისი შვილის ვადაზე ადრე გათავისუფლება. ნ. ჯ-ემ დახმარება აღუთქვა მას და უთხრა, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად დაუკავშირდებოდა თბილისში მყოფ მ. პ-ს, რომელიც გავლენიანი ნაცნობების დახმარებით მოაგვარებდა ამ საქმეს, რისთვისაც საჭირო იყო 3000 აშშ დოლარის წინასწარ გადახდა, ხოლო მსჯავრდებულ კ. ვ-ის გათავისუფლების შემდეგ გასამრჯელოს სახით დამატებით – 1000 ლარის გადახდა. ამ მიზნით, იმავე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ლ. ა-ამ ქ. ბ-ში, თავის საცხოვრებელ ბინაში – ... ქუჩის №...-ში, ნ. ჯ-ეს გადასცა 3000 აშშ დოლარი, საიდანაც ამ უკანასკნელმა სს „...“ ბანკის მეშვეობით 2011 წლის 24 ოქტომბერს მ. პ-ს გადაურიცხა 2000 აშშ დოლარი. ხსენებული ქმედებით ნ. ჯ-ე სხვისი ნივთის მოტყუებით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მ. პ-თან ერთად, თაღლითობის გზით დაეუფლა ლ. ა-ას კუთვნილ 3000 აშშ დოლარს, რამაც ამ უკანასკნელს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

2011 წლის 20 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ნ. ჯ-ე საადვოკატო მომსახურებისათვის დაიქირავა ნ. მ-მა, შვილის – ნ. მ-ის ინტერესების დასაცავად, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 მარტის განაჩენით მსჯავრდებული იყო საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განსაზღვრული ჰქონდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ოჯახს სურდა მისი ვადაზე ადრე გათავისუფლება. ნ. ჯ-ემ ნ. მ-ი დაარწმუნა, რომ მის შვილს ჩაუტარებდა სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას და ექსპერტიზის დასკვნის გამოყენებით ჩართავდა ნ. მ-ს შესაწყალებელ პირთა სიაში, რისთვისაც საჭირო იყო წინასწარ 3700 აშშ დოლარის გადახდა და მოითხოვა აღნიშნული თანხის მისთვის გადაცემა.

2011 წლის აგვისტოში თბილისში, მეტრო „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ნ. მ-მა მისი შვილის შეწყალების გზით გასათავისუფლებლად ნ. ჯ-ეს ორ ეტაპად – ჯერ 3000 აშშ დოლარი, ხოლო შემდეგ – 700 აშშ დოლარი გადასცა ხელზე, რასაც ეს უკანასკნელი თაღლითობის გზით დაეუფლა, რამაც ნ. მ-ს მიაყენა სულ – 3700 აშშ დოლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა.

მსჯავრდებული ა. ხ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ა-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ა. ხ-ის მიმართ განაჩენით დადგენილი სასჯელის შემსუბუქებას და დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლას.

მსჯავრდებული მ. პ-ი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

მსჯავრდებული ნ. ჯ-ე და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები – ვ. ხ-ი და თ. ბ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ნ. ჯ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენით აპელანტების – მ. პ-ისა და ნ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ა. ხ-ის მიმართ განაჩენში კი შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დამტკიცდა მსჯავრდებულ ა. ხ-სა და პროკურორ რ. შ-ეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ა. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (4 ეპიზოდში), სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ნაწილი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალია პირობითი, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

ა. ხ-ეს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ა. ხ-ეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან, – 2012 წლის 27 იანვრიდან.

პირობითი მსჯავრის ნაწილში განაჩენის აღსრულებაზე კონტროლი დაევალა პრობაციის ბიუროს ა. ხ-ის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულების – მ. პ-ისა და ნ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრები და, შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის განაჩენი მათ მიმართ დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულებმა – მ. პ-მა და ნ. ჯ-ემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კასატორებს მიაჩნიათ, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ, მათ მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა და ითხოვენ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ კასატორების საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულთა სასარგებლოდ, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორთა არგუმენტები მათი უდანაშაულობისა და გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების, შესაბამისად, გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოთხოვნაზე ეფუძნება დაცვის მხარის მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებებს და გამყარებული არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულებით.

ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობა: ა. ხ-ის ჩვენება, დაზარალებულების – გ. შ-ის, გ. ზ-ის, ს. გ-ის, ლ. ა-ას, ზ. ხ-ის, ნ. მ-ის, გ. ტ-ის, მონაწილეთა – ე. ხ-ის, რ. შ-ის, მ. ბ-ის, მ. ბ-ის, ი. ვ-ის, ს. ვ-ის, ბ. ბ-ის, ყ. შ-ის, გ. თ-ის, დ. კ-ის, ლ. ბ-ის, ნ. ხ-ის, რ. დ-ის, თ. ხ-ის, რ. შ-ის, ვ. დ-ის, კ. ვ-ის, ფ. ხ-ის, ო. ტ-ის, დ. გ-ის, ს. მ-ის, გ. ბ-ის, ნ. მ-ის, ნ. გ-ის, თ. ხ-ის, რ. ხ-ის, რ. დ-ის, ი. ლ-ის ჩვენებები, ბანკებიდან ამოღებული მასალები, დოკუმენტების დათვალიერების ოქმები, საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის ოქმები, შპს „...-დან“, შპს „...-დან“, შპს „...-დან“ ამოღებული მასალები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ამსახველი მასალები, ექსპერტიზის დასკვნები, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული სხვა წერილობითი სახის მტკიცებულებები, რომელთა საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე დასაშვებობის საკითხი დაცვის მხარეს წინა სასამართლო სხდომაზე სადავოდ არ გაუხდია, საფუძველად დაედო პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებს და საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ისინი წარმოადგენს ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიიღმა დადგენილი სტანდარტებით, საქმის გარემოებებთან მათი რელევანტურობის, უტყუარობისა და დასაშვებობის თვალსაზრისით, ადასტურებს მსჯავრდებულების – მ. პ-ისა და ნ. ჯ-ის ბრალეულობას მათთვის ინკრიმინირებულ ქმედებებში, რასაც სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული, გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, დანიშნული სასჯელი – სამართლიანი და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ნ. ჯ-ე უნდა გათავისუფლდეს განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, ვინაიდან მისი ბრალდების ეპიზოდში დაზარალებულად ცნობილი პირები – ლ. ა-ა და ნ. მ-ი თანხმობას აცხადებენ, რომ მის მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რაც ამავე კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, არ ვრცელდება დამატებითი სასჯელის სახით დანიშნულ ჯარიმაზე.

მსჯავრდებულ მ. პ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელებაზე თანხმობა შემოსულია ამ უკანასკნელის ბრალდების ეპიზოდში დაზარალებულად ცნობილ მხოლოდ ლ. ა-სგან. სხვა პირებისგან, რომლებსაც სასამართლოდან გაეგზავნათ შესაბამისი წერილობითი შეტყობინებები, პასუხები მიღებული არ არის, რაც სასამართლომ შეაფასა როგორც – თანხმობაზე უარი და მის მიმართ სასამართლო იმსჯელებს ამავე კანონის მე-4 და მე-18 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად და ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4, მე-11, მე-18 მუხლებით, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით შეტანილი ცვლილებებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების: ნ. ჯ-ისა და მ. პ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენში, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მსჯავრდებულთა სასარგებლოდ შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებული ნ. ჯ-ე, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გათავისუფლდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით ჩადენილი დანაშაულისათვის დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

ამავე განაჩენით ნ. ჯ-ის მიმართ დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 6000 ლარი „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებულ მ. პ-ს, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული ძირითადი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/3-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 8 თვით;

ამავე ეპიზოდში, განაჩენით მ. პ-ის მიმართ დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 3500 ლარი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, დარჩეს უცვლელად.

მასვე სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/3-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 8 თვით. ამავე ეპიზოდში, განაჩენით მ. პ-ის მიმართ დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 3500 ლარი დარჩეს უცვლელად.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2013 წლის 17 აპრილის რედაქცია) მე-2 ნაწილის თანახმად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ მ. პ-ს ძირითად სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 8 თვის ვადით. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით კი განესაზღვროს ჯარიმა – 7000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. პ-ს დანიშნული ძირითადი სასჯელის ვადის ათვლა დაეწეოს დაკავებიდან – 2012 წლის 27 იანვრიდან.

სხვა ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

ნარკოტიკული დანაშაული

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვიდან ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვაზე ქმედების გადაკვალიფიცირების სამართლებრივი სა-
უშკველი

განაჩენი
საქართველოს სახელით

№108აგ-12

14 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლო-
ბით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ მ. პ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის განაჩენით მ. პ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და ახლად დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 9 თვე, 24 დღე და საბოლოოდ მ. პ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა 12 წლით, 3 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული სხვა უფლებები – 10 წლით. იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 17 მარტიდან.

2012 წლის 23 აგვისტოს მსჯავრდებულმა მ. პ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო – „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონის საფუძველზე მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 აგვისტოს განაჩენით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მ. პ-ის ქმედება საბოლოოდ დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის – დანიშნული სასჯელი, დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრით მსჯავრდებული მ. პ-ი ითხოვს მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას, დანიშნული სასჯელის შემცირებასა და მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონების გამოყენებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მ. პ-ი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ დიდი ოდენობით – 0,10445 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონოდ შეძენა-შენახვაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. მსჯავრდებულის ქმედების აღნიშნული კვალიფიკაცია ეფუძნებოდა „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ 2003 წლის 23 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომლის თანახმადაც, 1 გრამამდე (1 გრამის ჩათვლით) ოდენობით „ჰეროინი“ მიეკუთვნებოდა დიდ ოდენობას. აღნიშნული ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ 2012 წლის 22 მაისის საქართველოს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან – 2012 წლის 8 ივლისიდან, რომლის თანახმადაც, 0,2 გრამამდე ოდენობით „ჰეროინი“ ითვლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყის ოდენობად და, შესაბამისად, ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირების საფუძველს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ მ. პ-მა, ექსპერტიზის №30/სქ. დასკვნის შესაბამისად, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,10445 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის და-ნიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახ-ლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლება-მოსილი, შეამციროს მისი ზომა.

რაც შეეხება კასაციის მოთხოვნას, მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონების გამო-ყენების თაობაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრისა და 2009 წლის 20 ნოემბრის კანონების გამოყენების წესი და პირობები განსაზღვრულია ამავე კანონებში მითითებული სპეციალური ნორმებით, რომელთა მიხედვითაც, მოცემულ შემთხვევაში საკასა-ციო პალატა ვერ იმსჯელებს აღნიშნულ კანონთა გამოყენების შესახებ.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან კანონიერი და დასაბუთე-ბულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნ-ქტით, 314-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მ. პ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტით, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, ხოლო ამ მუხლით დანიშ-ნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 9 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე საბო-ლოო სასჯელი – 12 წლით, 3 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა, დარჩეს უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 აგვისტოს განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლე-ლად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდების ამორიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№375-აპ-12

18 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლო-ბით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ც-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 ივლისის გა-ნაჩენით:

დაკმაყოფილდა აჭარის ა/რ-ის პროკურატურის უფროსი პროკურორის – მ. ქ-ს შუამდგომლობა აჭარის ა/რ-ის პროკურატურასა და ბრალდებულ ჯ. ხ-ს შორის 2012 წლის 17 ივლისს დადებული საპროცესო შე-თანხმების დამტკიცებისა და სისხლის სამართლის №... საქმეზე ჯ. ხ-ს მიმართ საქმის არსებითი განხილ-ვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესახებ.

დამტკიცდა 2012 წლის 17 ივლისს აჭარის ა/რ-ის პროკურატურის უფროს პროკურორ მ. ქ-სა და ბრალ-დებულ ჯ. ხ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ჯ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვე-პუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბ-ლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხ-ლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, და-

მატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სრულად შეიკრიბა ჯ. ხ-ს მიმართ ამ განაჩენით დანიშნული სასჯელები და დანაშაულთა ერთობილობით მას მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

ამასთან, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ჯ. ხ-ს მიმართ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვე და საბოლოოდ განაჩენთა ერთობილობით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. ჯ. ხ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 14 აპრილიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ზ. ც-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 14 აპრილიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ჯ. ხ-ს პირადი ჩხრეკის – შედეგად ამოღებული ფხვნილისებრი მასა, საერთო წონით 0,32 გრამი კუსტარულად დამზადებული „ჰეროინი“, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობრივი შემცველობა 0,053 გრამია, უნდა განადგურდეს.

საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ჯ. ხ-ს პირადი ჩხრეკის – შედეგად ამოღებული მობილური ტელეფონი ვ-200. სიმბარათის ნომრით ..., უნდა დაუბრუნდეს ჯ. ხ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ზ. ც-ს პირადი ჩხრეკის – შედეგად ამოღებული ფხვნილისებრი მასა, საერთო წონით 1,65 გრამი კუსტარულად დამზადებული „ჰეროინი“, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობრივი შემცველობაა 0,25 გრამი, უნდა განადგურდეს.

საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ზ. ც-ს პირადი ჩხრეკის – შედეგად ამოღებული ტყავის საფულე, მასში არსებული 800 ლარი და 2 აშშ დოლარი, ასევე „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, იმეი კოდი ..., სიმბარათის ნომრით ..., უნდა დაუბრუნდეს ზ. ც-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

განაჩენის მიხედვით, ზ. ც-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ზ. ც-მ გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საერთო წონით 1,97 გრამი, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობით – 0,303 გრამ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“. მან აღნიშნული კუსტარულად დამზადებული „ჰეროინის“ ნაწილი, კერძოდ, 0,32 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობრივი შემცველობა შეადგენდა 0,053 გრამს, 2012 წლის 14 აპრილს ქ. ... უკანონოდ გაასალა ჯ. ხ-ზე, ხოლო ნაწილი – კუსტარულად დამზადებული „ჰეროინი“, საერთო წონით 1,65 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობრივი შემცველობა 0,25 გრამია, უკანონოდ შეინახა პირადად. აღნიშნული დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალება ამოღებულ იქნა 2012 წლის 14 აპრილს, ქ. ..., ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკის დროს, ხოლო თვითონ დააკავეს.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ზ. ც-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: განაჩენის გაუქმებას ნარკოტიკის გასაღების ნაწილში, რადგანაც გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებათა ერთობლიობას, ხოლო ისინი ერთმანეთთან უნდა იყოს შეთანხმებული, ამკარა და დამაჯერებელი; კასატორი ითხოვს ასევე დამატებითი სასჯელის – ჯარიმის გაუქმებას, რადგანაც სასამართლომ ჯარიმის შეფარდებისას არ გაითვალისწინა მისი მატერიალური მდგომარეობა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულ ზ. ც-ს ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების – მ. კ-ს, რ. ბ-ს, გ. ბ-ს, გ. შ-ს ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ნარკოლოგიური შემოწმების ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ ზ. ც-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ზ. ც-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ჯ. ხ-ზე 2012 წლის 14 აპრილს ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: საქმეში ჯ. ხ-ს ჩვენების გარდა, არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიაჩნებს ზ. ც-ს მიერ ნარკოტიკული საშუალება „პეროინის“ გასაღების ფაქტზე. ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში მითითებული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის მითითებულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, ჯ. ხ-ს ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული – ჯარიმის გაუქმების თაობაზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დაცვის მხარის მიერ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება ზ. ც-ს გადახდისუუნარობისა და მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ზ. ც-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს 2012 წლის 14 აპრილს ჯ. ხ-ზე ნარკოტიკული საშუალების გასაღების ეპიზოდი. მას, ბრალის მოცულობის შემცირების გამო, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული ზ. ც-ა უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 10 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ზ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 5000 ლარი უნდა დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებულ ზ. ც-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე უნდა აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8, მე-18, მე-19 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ზ. ც-ს განაჩენიდან ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ ზ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული ზ. ც-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 10 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ზ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 5000 ლარი – დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებული ზ. ც-ა დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

მსჯავრდებულ ზ. ც-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ზ. ც-ს პირადი ჩხრეკის – შედეგად ამოღებული ფხვნილისებრი მასა, საერთო წონით 1,65 გრამი კუსტარულად დამზადებული „ჰეროინი“, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობრივი შემცველობაა 0,25 გრამი, განადგურდეს.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ზ. ც-ს პირადი ჩხრეკის – შედეგად ამოღებული ტყავის საფულე, მასში არსებული 800 ლარი და 2 აშშ დოლარი, ასევე „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, იმეი კოდი ..., სიმბარათის ნომრით ..., დაუბრუნდეს ზ. ც-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდების ამორიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№40-აპ-132

28 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ კ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 სექტემბრის განაჩენით კ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 17 წლით.

მას „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უფლებებიდან 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო სხვა უფლებები – 15 წლის ვადით.

ამავე განაჩენით კ. მ-ეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვა – წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა კ. მ-ეს დაეწყო დაკავების დღიდან – 2012 წლის 29 თებერვლიდან.

განაჩენით კ. მ-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. მ-ემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 0,5469 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 50 აბი, 2 აბი ჩამონატეხით და აბის 36 ნატეხი, საიდანაც ნაწილს, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 0,5356 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ 50 აბს, 2 აბს ჩამონატეხით და აბის 33 ნატეხს უკანონოდ ინახავდა პირადად თავის საცხოვრებელ ბინაში, ხოლო დიდი ოდენობით – 0,0113 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 3 ნატეხი 2012 წლის 29 თებერვალს თბილისში, პ. მ-ის ქუჩა №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, 500 ლარის საფასურად უკანონოდ გაასაღა კ. ჯ-ზე, რაც ამოღებულ იქნა მისი და ლ. დ-ის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას. იმავე დღეს, 2012 წლის 29 თებერვალს, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, პ. მ-ის ქუჩა №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს კ. მ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0,0076 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 2 ნატეხი, ხოლო თბილისში, პ. მ-ის №...-ში მდებარე მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 0,528 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 50 აბი, 2 აბი ჩამონატეხით, აბის 31 ნატეხი და ასევე – 4,428 გრამი ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი „მარიხუანა“, მისი კუთვნილი „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომანქანის, სატრანზიტო №..., ჩხრეკისას კი აღმოაჩინეს და ამოიღეს 0,81 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ზემოხსენებული განაჩენი მსჯავრდებულმა კ. მ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. აპელანტი საჩივრით ითხოვდა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, მხარეთა მონაწილეობით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 17 იანვრის განაჩენით აპელანტის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა; ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16, მე-20 მუხლების, 23-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 სექტემბრის განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც, კ. მ-ეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლითა და 9 თვით. სხვა ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა კ. მ-ემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 იანვრის განაჩენი მიიჩნია უკანონოდ და იმავე მოთხოვნით საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრის თანახმად, კასატორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის 183-ე-184-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე ხ. ხ-ავა თავიდანვე არ იყო დაფიქსირებული, როგორც სათადარიგო მოსამართლე და საქმის განხილვის გაგრძელების უფლება არ ჰქონდა; განაჩენს საფუძვლად დაედო დაუშვებელი მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულია არაუფლებამოსილი გამომძიებლის მიერ; სასამართლომ სამართლებრივად უკანონოდ გადაწყვიტა საკითხი და სათანადო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში მიიჩნია იგი ნარკოტიკული საშუალების რეალიზატორად; მას დანაშაული არ ჩაუდენია; პირადი, ავტომანქანისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მას არ ეკუთვნის; ჩხრეკები ჩატარდა მასზე განხორციელებული ფსიქიკური ზეწოლის ფონზე – პოლიციის თანამშრომლები დაპატიმრებით ემუქრებოდნენ როგორც მას, ასევე მისი ოჯახის წევრებს; კ. ჯ-ა და ლ. დ-ე დაინტერესებული პირები არიან – მიაჩნია, რომ კ. ჯ-ა თვითონ იყო ნარკოტიკული საშუალების რეალიზატორი და ლ. დ-ის ნდობის მოსაპოვებლად უთხრა მას, რომ ნარკოტიკს მისგან ყიდულობდა; გამომძიებლის ზეწოლის შედეგი იყო, რომ აიცხადა თავისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ს-ე, აცხადებდა შესახებ განცხადება გამომძიებელმა უკარნახა და დაანერინა; ასევე დაარწმუნა, რომ საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებდნენ და ყველაფერი ეს გახდა იმის მიზეზი, რომ სასამართლო სხდომაზე განეცხადებინა, რომ თითქოს მისი პირადი, ავტომანქანისა და ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები მას ეკუთვნოდა, რომლებიც მანვე შეიძინა პირადი საჭიროებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნებს და აღნიშნავს, რომ მოსამართლე ხ. ხ-ას სათადარიგო მოსამართლედ დანიშვნით არ დარღვეულა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183-ე-184-ე მუხლების მოთხოვნები.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ასევე კასატორის არგუმენტებს იმის შესახებ, რომ თითქოს გამამტყუნებელი განაჩენს საფუძვლად უდევს არაუფლებამოსილი გამომძიებლის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისას არ დარღვეულა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, უფლება აქვს, პროკურორის სიტყვიერი დავალებით ჩაატაროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედება, ამ შემთხვევაში კანონი იმპერატიულად არ ითხოვს პროკურორის წერილობით დავალებას და მსგავს სიტუაციებში საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად გამომძიებლის საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის სიტყვიერი დავალების საფუძველზე იმ გამომძიებლის მიერ, რომელიც უშუალოდ არ იძიებდა საქმეს, მოპოვებული მტკიცებულებები არ წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კ. მ-ის ბრალულობა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვის ნაწილში უტყუარად არის დადასტურებული მისი ავტომანქანის, პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილი და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებით. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე-120-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რა დროსაც ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 50 აბი, 2 აბი – ჩამონატეხით და აბის 31 ნატეხი, ასევე 4,428 გრამი ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარიხუანა“. საქმეზე დანიშნული და ჩატარებული ქიმიური ექ-

სპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ კ. მ-ის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ აბებსა და აბის ნატეხებში ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველობა შეადგენს 0,528 გრამს. ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ კ. მ-ის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი. იმას, რომ ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები – „ბუპრენორფინის“ შემცველი აბები, აბის ნატეხები და „მარიხუანა“ ეკუთვნის კ. მ-ეს, ეჭვის გამომრიცხავად ადასტურებენ საქმეზე დაკითხული მოწმეები: გ. ჩ-ე, პ. ხ-ი, ა. ც-ე, გ. ნ-ე და გ. გ-ი.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კ. მ-ის ბრალეულობა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო გასაღების ნაწილში გასაჩივრებული განაჩენით ვერ დასტურდება ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით და ბრალდება ამ ეპიზოდში ფაქტობრივად დასაბუთებულია მხოლოდ ერთი პირის – კ. ჯ-ას მიერ მიცემული ჩვენებით. ამ ნაწილში ლ. დ-ის ჩვენება, რომელიც უშუალოდ არ არის კ. ჯ-ას მხრიდან კ. მ-საგან ნარკოტიკული საშუალების შეძენის ფაქტის თვითმხილველი და ამის თაობაზე იმეორებს მხოლოდ კ. ჯ-ას მონათხრობს, არ არის საკმარისი მტკიცებულება პირის ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში მსჯავრდებისათვის და არ შეიძლება საფუძველად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში.

ამასთან, რადგან აღარ არსებობს საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულისათვის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევის საფუძველი, კ. მ-ეს უნდა დაუბრუნდეს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა – 618 ლარი, 75 თეთრი და 2 ცენტი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებული კ. მ-ე დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მსჯავრდების ეპიზოდში უნდა გამართლდეს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ კ. მ-ე არ არის ადრე განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მსჯავრდებულის სასიკეთოდ ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენში: იგი უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელისაგან, ხოლო ამავე კანონის მე-19 მუხლის თანახმად, უნდა აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე, 303-ე მუხლებით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-19 მუხლით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-18 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ კ. მ-ეს განაჩენიდან ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ გასაღება და მსჯავრდების ამ ნაწილში გამართლდეს.

მსჯავრდებული კ. მ-ე გათავისუფლდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული ძირითადი სასჯელის – 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს საპატიმრო ადგილიდან.

მსჯავრდებულ კ. მ-ეს სასჯელისაგან გათავისუფლებასთან ერთად აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

კ. მ-ეს დაუბრუნდეს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა – 618 ლარი, 75 თეთრი და 2 ცენტი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდების ამორიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№47-აპ-13

28 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ი. ლ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მაისის განაჩენით ი. ლ-ი, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მას „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანარჩენი უფლებები – 15 წლით.

ი. ლ-ის დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2011 წლის 26 დეკემბრიდან.

დ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის და სასჯელის სახედ და ზომად დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მას „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანარჩენი უფლებები – 15 წლით.

დ. მ-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2011 წლის 26 დეკემბრიდან.

ი. ლ-ის და დ. მ-ს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება. მათვე ჩაიდინეს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 23 დეკემბერს დ. მ-ი და ი. ლ-ი წინასწარ შეთანხმდნენ და გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 7 აბი და აბის ნატეხები, რასაც ისინი ასევე უკანონოდ ინახავდნენ.

2011 წლის 23 დეკემბერს დ. მ-თან, მისსავე საცხოვრებელ სახლში – მდებარე ნ-ში, ... ქუჩის №...-ში, მივიდა მისი ნაცნობი ა. ს-ი და ნარკოტიკული საშუალების საფასურად გადასცა 800 ლარი. იმავე დღეს, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ი. ლ-მა დ. მ-თან ერთად შეძენილი ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბებიდან – 2 აბი, ამ უკანასკნელს გადასცა ა. ს-ზე გასაღების მიზნით. მომდევნო დღეს, 2011 წლის 24 დეკემბერს, დ. მ-მა 0,016 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 2 აბი, ა. ს-ისთვის გადასცემად, თბილისში გაატანა მათ საერთო ნაცნობ დ. გ-ეს, რითაც დ. მ-მა და ი. ლ-მა ა. ს-ზე უკანონოდ გაასაღეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, ხოლო რეალიზაციით აღებული ფულადი თანხა ერთმანეთში გაინაწილეს.

2011 წლის 25 დეკემბერს დ. მ-ს ტელეფონით დაუკავშირდა დ. გ-ე და უთხრა, რომ სურდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ერთი აბი „სუბოტექსის“ შეძენა. იმავე დღეს ი. ლ-მა ერთად შეძენილი ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბებიდან „ბუპრენორფინის“ შემცველი ერთი აბი, დ. გ-ზე გასაღების მიზნით, გადასცა დ. მ-ს, ვისაც ნ-ში, ... ქ. №...-ში, მიაკითხა დ. გ-ემ. დ. მ-მა 400 ლარის საფასურად დ. გ-ეს გადასცა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ერთი აბი, რითაც დ. მ-მა და ი. ლ-მა უკანონოდ გაასაღეს ნარკოტიკული საშუალება, ხოლო აღებული ფულადი თანხა ერთმანეთში გაინაწილეს.

რეალიზებული ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბის ნაწილი, ფხვნილის სახით, 2011 წლის 26 დეკემბერს პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს დ. გ-ისაგან, მისი დაკავებისა და პირადი ჩხრეკის შედეგად.

2011 წლის 26 დეკემბერს დ. მ-ი „ფოლკსვაგენ გოლფი-3“ მოდელის, სახ. №..., ავტომანქანით იმყოფებოდა თბილისში, ბ-ის სტუდენტის მიმდებარე ტერიტორიაზე და ჩამოტანილი ჰქონდა ი. ლ-ისთან ერთად შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბების ნაწილი. მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს დ. მ-ი, ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა და პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს აბის ნატეხები ფხვნილთან ერთად, რომელშიც ნარკოტიკული

საშუალება „ბუპრენორფინის“ საერთო შემცველობა შეადგენს – 0, 0139 გრამს, რასაც ის უკანონოდ ინახავდა.

იმავე დღეს, 2011 წლის 26 დეკემბერს, გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე პოლიციის თანამშრომლებმა წ-ის რაიონის სოფ. ...-ში გაჩხრიკეს ი. ლ-ის საცხოვრებელი სახლი, საიდანაც ამოიღეს დ. მ-თან ერთად შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბების ნაწილი, 4 „სუბოტექსის“ აბი, რომელშიც „ბუპრენორფინის“ საერთო წონა შეადგენს – 0, 032 გრამს.

მსჯავრდებულებმა – დ. მ-მა და ი. ლ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 მაისის განაჩენი სასჯელის ნაწილში მიიჩნიეს უკანონოდ, დაუსაბუთებლად და სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

სააპელაციო საჩივრების საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, მხარეთა მონაწილეობით, განიხილა სისხლის სამართლის საქმე და 2013 წლის 29 იანვრის განაჩენით ცვლილება შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მაისის განაჩენში, კერძოდ:

დამტკიცდა პროკურორისა და მსჯავრდებულ დ. მ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, საქართველოს სსკ-ის 55-ე, 63-ე-64-ე მუხლებისა და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და მე-18 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოხდით, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 5 წლით ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და მე-18 მუხლების საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და გამოსაცდელ ვადად საბოლოოდ დაუდგინდა 4 წელი და 6 თვე.

დ. მ-ს საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა ამავე განაჩენით დაეწყო დაკავების დღიდან – 2011 წლის 26 დეკემბრიდან.

მას „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანარჩენი უფლებები – 15 წლით.

ი. ლ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 4 თვითა და 15 დღით;

სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვრა 6 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ ი. ლ-ის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა ი. ლ-ის დაეწყო დაკავების დღიდან – 2011 წლის 26 დეკემბრიდან.

მას „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანარჩენი უფლებები – 15 წლით.

სხვა ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულმა ი. ლ-მა საკაცო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივარში კასატორი აღნიშნავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში დაუსაბუთებელი და უსამართლოა; ბრალდების ამ ნაწილში მისი აღიარებითი ჩვენებები გამოწვეული იყო ბრალდების მხარის მიერ მის მიმართ განხორციელებული ფსიქიკური ზეწოლით, დაპირებით, რომ მასთან გააფორმებდნენ საპროცესო შეთანხმებას, რაც არ შესრულებულა; ნარკოტიკული საშუალების გასაღებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს; აღნიშნულისა და მისი ოჯახური პირობების გათვალისწინებით, ითხოვს ქმედების კვალიფიკაციის დაზუსტებას და სასჯელის შემსუბუქებას.

საკასაციო საჩივრის შესაგებებლში თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი ლ. ა-ი შუამდგომლობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 იანვრის განაჩენის უცვლელად დატოვებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ ი. ლ-ის მიერ მისთვის ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა საქმეზე დადგენილია უტყუარად, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. ლ-ის მიმართ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში მსჯავრდება გასაჩივრებული განაჩენით ვერ დასტურდება ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით და ბრალდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში ფაქტობრივად დასაბუთებულია მხოლოდ ერთი პირის – დ. მ-ის განთქმითი ჩვენების საფუძველზე. გამოძიებასა და საქმის სასამართლო განხილვის სხდომაზე მიცემულ ჩვენებებში ა. ს-ი და დ. გ-ე უარყოფენ ი. ლ-ისგან უშუალოდ ნარკოტიკული საშუალების შეძენის ფაქტს და იმეორებენ მხოლოდ დ. მ-ის მონათხრობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 4 აბი მან შეიძინა წალკაში პირადი მოხმარებისათვის. რაიმე წინასწარი შეთანხმება დ. მ-თან, რომ ერთად შეეძინათ ნარკოტიკული საშუალება და გაესაღებინათ, არ ჰქონია. მისი აღიარებითი ჩვენება ნარკოტიკული საშუალების დ. მ-თან ერთად შეძენისა და გასაღების ნაწილში განპირობებული იყო ბრალდების მხარის პირობით მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, თუმცა მას ამის თაობაზე უარი ეთქვა;

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა იმის შესახებ, რომ როგორც ი. ლ-ისაგან, ასევე დ. მ-ისგან, ა. ს-ისა და გ. გ-ისაგან ამოღებული აბები ერთი და იმავე სახეობისაა, არ წარმოადგენს ი. ლ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებას ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად შეძენისა და გასაღების ნაწილში, ვინაიდან „ბუპრენორფინის“ შემცველი აბები დამზადებულია ქარხნული წესით და ამოღებულ ნაწილებში ერთი და იმავე ქიმიური შემადგენლობის არსებობა ამ მიზეზით არის განპირობებული, მხოლოდ დ. მ-ის ჩვენება კი არ არის საკმარისი მტკიცებულება ი. ლ-ის ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად შეძენისა და გასაღების ნაწილში მსჯავრდებისათვის და არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს ბრალდების ამ ნაწილში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებული ი. ლ-ი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად შეძენისა და გასაღების მსჯავრდების ეპიზოდში უნდა გამართლდეს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ის არ არის ადრე განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეთი პირი, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და ამავე კანონის მე-8 და მე-19 მუხლების თანახმად, უნდა გათავისუფლდეს განაჩენით დადგენილი სასჯელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის საქართველოს კანონის მე-8, მე-19 მუხლებით და

და ა დ მ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ ი. ლ-ის გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და გასაღების ბრალდება და მსჯავრდების ამ ნაწილში გამართლდეს.

ი. ლ-ის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით შეძენა, შენახვა და ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ დაზომად განესაზღვროს – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 და მე-19 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ი. ლ-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

ი. ლ-ის სასჯელისაგან გათავისუფლებასთან ერთად აღუდგეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 იანვრის განაჩენით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

ექსტრადიცი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№1679¹-13

3 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
გ. შავლიაშვილი

სხდომის მდივან – გ. შ-ის
პროკურორ – ი. დ-ე
ადვოკატ – ა. ჩ-ის
ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ჩ. ა. ფ-ის
თარჯიმან – დ. ა-ის

მონაწილეობით განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ჩ. ა. ფ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჩ-ის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 მაისის განჩინების გაუქმების თაობაზე, რომლითაც უცვლელად დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის – თ. წ-ის 2013 წლის 7 მაისის დადგენილება ჩ. ა. ფ-ის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შესახებ, ვაშინგტონის კოდექსის 9-ა ნაწილის 64-ე თავის 020-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ვაშინგტონის კოდექსის 44-ე თავის 086-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ვაშინგტონის კოდექსის 44-ე თავის 083-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 13 ნოემბერს, 18.50 საათზე, თბილისში, ... ქუჩის №...-ში მდებარე, მისსავე დროებით საცხოვრებელ №... ბინაში საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ ძებნილი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ჩ. ა. ფ-ი, რომელიც იძებნებოდა აშშ-ის ვაშინგტონის ინტერპოლის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინებით ჩ. ა. ფ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით ჩ. ა. ფ-ის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა სამი თვით, ექვს თვემდე – 2013 წლის 13 მაისამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით ჩ. ა. ფ-ის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა სამი თვით, ცხრა თვემდე – 2013 წლის 13 აგვისტომდე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის – თ. წ-ის 2013 წლის 7 მაისის დადგენილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის შუამდგომლობა ჩ. ა. ფ-ის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა ნაწილობრივ შეესაბამებოდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და 2012 წლის 13 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ერთობლივი დეკლარაციით დადგენილ მოთხოვნებს.

2013 წლის 15 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართეს ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა – ჩ. ა. ფ-მა და ადვოკატმა ა. ჩ-მა. მათ მოითხოვეს საქართველოს იუსტიციის მინისტრ თ. წ-ის 2013 წლის 7 მაისის დადგენილების გაუქმება იმ მოტივით, რომ იგი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, არასწორი კვალიფიკაციით შედგენილი, არღვევს მთელ რიგ სამართლებრივ ნორმებს, მათ შორის – სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებს და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუხლებს.

სასამართლო სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ჩ-მა საჩივარს მხარი დაუჭირა და ითხოვა მისი დაკმაყოფილება.

ჩ. ა. ფ-ი დაეთანხმა საჩივარს და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის პოზიციას.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ი. დ-ემ საჩივრის მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრ თ. წ-ის 2013 წლის 7 მაისის დადგენილების, როგორც კანონიერისა და დასაბუთებულის, ძალაში დატოვება, რადგან ამ დადგენილების მიღებისას მინისტრმა გაითვალისწინა ყველა ის გარემოება, რაც აღნიშნულ საექსტრადიციო წარმოებას უკავშირდებოდა.

სასამართლომ განიხილა საჩივარი, შეამოწმა ჩ. ა. ფ-ის მიმართ არსებული ექსტრადიციის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და მიიჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტური ორგანოებიდან მიღებული მასალების მიხედვით დადგენილია, რომ 2012 წლის 24 აპრილს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე 2012 წლის 19 ივნისს ვაშინგტონის ს-ეს ოლქის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ გასცა ჩ. ა. ფ-ის დაპატიმრების ბრძანება. ვაშინგტონის აღმოსავლეთ რაიონის რაიონული სასამართლოს მაგისტრმა მოსამართლემ 2012 წლის 20 ივლისს გასცა ჩ. ა. ფ-ის დაპატიმრების ბრძანება, ვინაიდან მან დატოვა ქვეყნის ტერიტორია.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ჩ. ა. ფ-ი 2012 წლის 13 ნოემბერს, 18.50 საათზე, საქართველოს სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისში, ... ქუჩა №..., ბინა №...-ში. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის 2012 წლის 13 ნოემბერს დადებული შეთანხმების თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლო მოეთხოვა, ხოლო საქართველოს შეეძლო განეხილა აშშ-ის შუამდგომლობა ჩ. ა. ფ-ის ექსტრადიციის შესახებ. ხსენებული პირის ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის გარანტიებზე; დადგენილია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არის ჩ. ა. ფ-ი, მამის სახელი – ჰ-ი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე; დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპი – ჩ. ა. ფ-ს ბრალი ედება: სისხლისსამართლებრივი დევნისათვის თავის არიდების მიზნით უკანონო გაქცევაში, რისთვისაც აშშ-ს კანონმდებლობით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 5 წლით; მეორე ხარისხის ინცესტში (3 სხვადასხვა ეპიზოდი), რისთვისაც ვაშინგტონის კანონმდებლობით მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; მეორე ხარისხის გარყვნილ ქმედებაში, ჩადენილი ბავშვის მიმართ – 1 ეპიზოდი, რისთვისაც ვაშინგტონის კანონმდებლობით მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წლით; პირველი ხარისხის გარყვნილ ქმედებაში, ჩადენილი ბავშვის მიმართ – 1 ეპიზოდი, რისთვისაც ვაშინგტონის კანონმდებლობით მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია სამუდამო პატიმრობა. სასამართლოს მიაჩნია, რომ ჩ. ა. ფ-ის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებები დასჯადია საქართველოში, აღნიშნული ქმედებები არ არის ამნისტირებული და კვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნისთვის თავის არიდების მიზნით უკანონო გაქცევა საქართველოს კანონმდებლობით არ ითვლება დანაშაულად და ამ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით ჩ. ა. ფ-ის აშშ-ში ექსტრადიციაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის უარი სასამართლოს მართებულად მიაჩნია. ჩ. ა. ფ-ის მიმართ წარდგენილი ქმედებები საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხანდაზმული; დადგენილია, რომ ჩ. ა. ფ-ი არ არის საქართველოს მოქალაქე, ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, მას საქართველოში მიცემული არა აქვს პოლიტიკური თავშესაფარი და არც ლტოლვილის სტატუსი აქვს მინიჭებული; ჩ. ა. ფ-ის მიმართ საქართველოს კომპეტენტური ორგანოები არ ახორციელებენ წარმოებას და საქართველოს სასამართლოების მიერ არ არის გამოტანილი განაჩენი ხსენებულ დანაშაულებთან დაკავშირებით (Non bis in idem).

ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობისას და შემდგომში გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დაცულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოსაზრებები და მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის 2012 წლის 13 ნოემბერს დადებული ერთობლივი დეკლარაცია გაფორმებულია კონკრეტული მიზნების მიღწევისათვის, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტი თავისი შინაარსით არის „ჩ. ა. ფ-ის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შესახებ“ ინდივიდუალური შეთანხმება, რომლის მიზნები, პირობები და ამოცანები არ ენიშნააღმდეგება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნებს და მხოლოდ დაცვის მხარის აპელირება იმის შესახებ, რომ სადავო შეთანხმებას უნდა ეწოდოს ინდივიდუალური შეთანხმება და არა – ერთობლივი დეკლარაცია, სასამართლოს საფუძველს მოკლებულად მიაჩნია. სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს არა აქვს დადებული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება მეორე სახელმწიფოსთან, კანონმდებელმა განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა და ამისათვის დაადგინა საქართველოს სახელმწიფოსა და დაინტერესებულ სახელმწიფოს შორის ინდივიდუალური შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა, რაც განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის 2012 წლის 13 ნოემბერს დადებული ერთობლივი დეკლარაციის სახით – „ჩ. ა. ფ-ის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შესახებ“.

ზემოხსენებული არგუმენტებით თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 22 მაისის განჩინებით არ დააკმაყოფილა ჩ. ა. ფ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჩ-ის საჩივარი და უცვლელად დატოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის დადგენილება.

ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა – ჩ. ფ-მა და მისმა ადვოკატმა ა. ჩ-მა მიღებული განჩინება მიიჩნიეს დაუსაბუთებლად, უკანონოდ და გაუქმების მოთხოვნით საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

საჩივრის თანახმად, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტს შორის გაფორმებულია ჩ. ა. ფ-ის აშშ-ში ექსტრადიციის შესახებ არა ინდივიდუალური შეთანხმება, არამედ – „ერთობლივი დეკლარაცია“, რაც საერთაშორისო უწყებათაშორის ხელშეკრულებას წარმოადგენს და „საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გამოქვეყნებულიყო სსიპ „საკანონმდებლო მაცნეში“, რაც ჩ. ფ-ის შემთხვევაში არ განხორციელდა და დაირღვა კანონი. სასამართლომ არ იმსჯელა ჩ. ფ-ის ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, სამშობლოში იგი არასოდეს ყოფილა გამოძახებული ან დაბარებული სასამართლოში, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა.

დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, იუსტიციის სამინისტროში დასწრებოდა და უშუალო მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების მიღებაში, რითაც საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ დაირღვა საქართველოს სსკ-ის 38-ე მუხლის მოთხოვნები. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა აშშ-ის სასამართლოს მიერ წარდგენილი ყველა ბრალდება დააკვალიფიცირა სსკ-ის 139-ე მუხლით და სასამართლომ აღნიშნულ საკითხებზე არ იმსჯელა. გადმოცემული მასალების შინაარსის მიხედვით, ჩ. ფ-ის ქმედებაში საუბარია დანაშაულის მცდელობაზე, ხოლო იუსტიციის მინისტრმა ისინი შეაფასა, როგორც დამთავრებული დანაშაული, რითაც შეუძლებელი გახდა ექსტრადიციას დაქვემდებარებულ ჩ. ა. ფ-ზე გავრცელებულიყო „ამინისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის კანონიერი მოთხოვნა პროკურორის აცხადების შესახებ და ასევე უსაფუძვლოდ უთხრა უარი იუსტიციის მინისტრის მოწმედ სხდომაზე მოწვევის შესახებ. ზემოხსენებული გარემოებები კი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 მაისის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად გაკეთებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ჩ. ა. ფ-ი საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა 2012 წლის 13 ნოემბერს დააკავეს როგორც ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ ძებნილი პირი, რომელიც იძებნებოდა აშშ-ის ვაშინგტონის ინტერპოლის შესაბამისი სამსახურის მიერ. საქართველოში დაკავებისა და მთელი საქსტრადიციო პროცესის მიმდინარეობისას მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის დადგენილება, რომელიც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 მაისის გასაჩივრებული განჩინებით, არ ეწინააღმდეგება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლების შესახებ“ საქართველოს კანონს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას და საერთაშორისო კონვენციებს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ვერ შეფასდება ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველად. იუსტიციის მინისტრის დადგენილება, რომლის გაუქმებასაც გასაჩივრებულ სასამართლო განჩინებასთან ერთად მოითხოვს დაცვის მხარე, სრულად მოიცავს საქსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველებს, აშშ-ის კოდექსის მე-18 თავის 1073-ე მუხლის, ვაშინგტონის კოდექსის 44-ე თავის 086-ე მუხლის პირველი ნაწილი, კოდექსის ამავე თავის 083-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობის პრინციპის გათვალისწინებას, პარალელური წარმოების წესებს და „Non bis in idem-ის“ პრინციპებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ მიუმართავს საქართველოს ხელისუფლებისათვის და არ უთხოვია თავშესაფარი რაიმე ნიშნით, მას მინიჭებული არა აქვს ლტოლვილის სტატუსი.

მტკიცებით საფუძველს მოკლებულია დაცვის მხარის არგუმენტები იმის შესახებ, რომ თითქოს ბრალდების მხარის მიერ გადმოცემული მასალების სამ ეპიზოდში არ იკვეთება დასრულებული დანაშაულის შემადგენლობა და საუბარია დანაშაულის მცდელობაზე, რასაც იუსტიციის მინისტრმა შეგნებულად მისცა დასრულებული დანაშაულის კვალიფიკაცია; დაცვის მხარე ვერ უთითებს მტკიცებულებებს, თუ რას ემყარება მისი არგუმენტები ამ ეპიზოდთან დაკავშირებით. რაც შეეხება სასამართლო სხდომაზე პროკურორის აცხადებისა და იუსტიციის მინისტრის მოწვევის საკითხს, პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნულზე მიღებული აქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება და მისი გადასინჯვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ცნობს და აღიარებს საერთაშორისო კონვენციებით, პაქტებით, ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონმდებლობითა და კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ამ

სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, ყველა განხილულ გარემოებას აფასებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დადგენილ სტანდარტებთან მიმართებით და მიაჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის დადგენილება და, შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 მაისის გასაჩივრებული განჩინება ჩ. ა. ფ-ის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შესახებ სრულად შეესაბამება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და დაცვის მხარის არგუმენტებს, როგორც ექსტრადიციის უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-15 ნაწილით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ 2010 წლის 21 ივლისის საქართველოს კანონით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ჩ. ა. ფ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჩ-ის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 მაისის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის – თ. წ-ის 2013 წლის 7 მაისის დადგენილება – ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის შუამდგომლობით ჩ. ა. ფ-ის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შესახებ – დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ს ა კ რ ო ტ ა ს ო შ ე თ ა ნ ხ მ ა ბ ა

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№35-აპ-13

25 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

სხდომის მდივან – გ. შ-ის
პროკურორ – მ. ქ-ს
ადვოკატ – ი. ბ-ს
მსჯავრდებულ – გ. თ-ს

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 23 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ნოემბრის განაჩენით გ. თ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე 2 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. გ. თ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 1 აპრილიდან.

საქმეზე არსებული ავტომობილი „ა“, სახ.№, უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ნდობით აღჭურვილ პირს; ავტომობილი „...“, სახ.№, უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენის მიხედვით, გ. თ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა მთვრალ მდგომარეობაში, რამაც გამოიწვია ერთი ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება და ერთი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 1 ოქტომბერს, დაახლოებით 18.40 საათზე, გ. თ-ა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, მთვრალი მართავდა „ო“ მარკის ავტომობილს, სახ.№. იგი დაახლოებით 80-90 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ლილოს ბაზრობის მხრიდან ლ-ს ხიდის მიმართულებით. საავტომობი-

ლო გზაზე მე-10 ელგანათების ბოძის მიმდებარე ტერიტორიაზე მსვლელობისას მან დაარღვია ზემოაღნიშნული კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად: „მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში მძღოლი იღებს შესაბამის ზომებს მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე“.

უგულებელყო რა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული მუხლების მოთხოვნები, გ. თ-მ, რომელიც ავტომობილის მართავდა მთვრალი, მოძრაობისას, საფრთხის წარმოქმნის დროს, დროულად ვერ მიიღო სათანადო ზომები ავტომობილის სიჩქარის შესამცირებლად მის სრულ გაჩერებამდე. ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, ყოველგვარი ხელისშემშლელი პირობების გარეშე ვერ დაიმორჩილა საჭე, მოუცურდა ავტომობილი და გადავიდა საპირისპირო სამოძრაო ზოლში, სადაც შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით, საპირისპირო სამოძრაო ზოლის უკიდურეს მარჯვენა მხარეს, სავალი ნაწილის ნაპირთან, გვერდულზე, საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნათა დაცვით გაჩერებულ, შს სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტომობილ „შ“, სახ.№

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ავტომობილ „შ“ მძღოლმა დავით ჯანშიევმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო მისმა მგზავრმა დ. რა – ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 23 იანვრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. თ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, გ. თ-ს გაუწავერდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 1 აპრილიდან.

მასვე სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე 2 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

საქმეზე არსებული ავტომობილი „ო“, სახ.№, უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ნდობით აღჭურვილ პირს; ავტომობილი „შ“, სახ.№ უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მსჯავრდებული გ. თ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანასა და სასჯელის შემსუბუქებას.

2013 წლის 19 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა ლ. ქ-მ, საქართველოს სსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასა და მსჯავრდებულ გ. თ-ს შორის.

პროკურატურამ, მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის სიმძიმე, აგრეთვე საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე – სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ ლ. ქ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა მ. ქ-ა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასა და მსჯავრდებულ გ. თ-ს შორის 2013 წლის 19 თებერვალს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 23 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძღვლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ლ. ქ-ა და მსჯავრდებულ გ. თ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა მ. ქ-ა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებულ გ. თ-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, გაუწავერდეს დანიშნული სასჯელი და განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გ. თ-ს 1 წელი უნდა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი ჩაეთვალოს პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე 2 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

საქმეზე არსებული ავტომობილი „ო“, სახ.№, უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ნდობით აღჭურვილ პირს; ავტომობილი „შ-ა“, სახ.№ დაუბრუნდეს მესაკუთრეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა გ. თ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ბ-მ.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების – ვ. გ-ს, ა. ს-ს, დ. რ-ს, დ. ჯ-ს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანდართული სქემით, ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის შესაძლებლობა ექსპერტიზის დასკვნით, სასამართლო-სამედიცინო, ავტო-ტექნიკური, ნარკოლოგიური, სასაქონლო ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით გ. თ-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ გ. თ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული გ. თ-ა აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ მ. ქ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ გ. თ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 23 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ მ. ქ-ა და მსჯავრდებულ გ. თ-ს შორის.

გ. თ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2, მე-4 ნაწილებით და მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამინისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, გ. თ-ს გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი და განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი ჩაეთვალოს პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 1 აპრილიდან.

თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ პირობითი მსჯავრის აღსრულებისას მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სამსახურს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მასვე სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე 2 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

საქმეზე არსებული ავტომობილი „ო“, სახ.№, დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ნდობით აღჭურვილ პირს; ავტომობილი „შ“, სახ.№, დაუბრუნდეს მესაკუთრეს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№395-აპ-12

28 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

სხდომის მდივან – გ. შ-ის
პროკურორ – ჯ. გ-ის
ადვოკატ – მ. ქ-ას
მსჯავრდებულ – ნ. დ-ის

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ნ. დ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 აგვისტოს განაჩენით ნ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მისთვის ინკრიმინირებულ, მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებებში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით; მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა – ჯარიმა 1000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. დ-ეს განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 6 თვის ვადით.

ნ. დ-ეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2012 წლის 1 ივნისიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია და ნ. დ-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა, შენახვა, ფლობა და განკარგვა; მანვე ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. დ-ემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და ასევე უკანონოდ შეინახა მინის ორ ამპულაში დაფასოებული რადიოაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ-135“, რომელიც 2012 წლის მარტში, გარკვეული ანაზღაურების მიღების მიზნით, გადასცა ფ. ბ-ეს.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 4 ცალი კუსტარულად და-მუხტული საბრძოლო ვაზნა, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. ბათუმში, გ. ს-ის ქ. №...-ში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება ბრალდების მხარის მიერ სასამართლოს არსებით განხილვაზე წარმოდგენილ ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, კერძოდ: ნ. დ-ის, ნ. ძ-ისა და ფ. ბ-ის ჩვენებებს, მოწმე – რ. დ-ის ჩვენებას, ფ. ბ-ის პირადი ჩხრეკისა და ჩხრეკისას ამოღებულ ნივთმტკიცებებს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურების მიერ ამოღებულ ნივთიერებაზე ჩატარებულ კვლევის აქტებს, რადიოლოგიურ-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას, ნ. დ-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ ნივთმტკიცებას, სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებულ მასალებს და სხვა მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

ნ. დ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 აგვისტოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, იმ საფუძველზე, რომ გამამტყუნებელი განაჩენი სასამართლომ მის მიმართ დაადგინა წარმოდგენილ მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის გარეშე და მიიჩნია, რომ იგი უკანონო და დაუსაბუთებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობა და 2012 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უსაფუძვლობის მოტივით არ დააკმაყოფილა, შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აგვისტოს განაჩენი დატოვა უცვლელად.

მსჯავრდებულმა ნ. დ-ემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ზემოხსენებული განაჩენი იმავე საფუძველზე დაკასადიო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

2013 წლის 22 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორმა ჯ. გ-ემ და მოითხოვა მსჯავრდებულ ნ. დ-სთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

შუამდგომლობის თანახმად, მსჯავრდებულმა ნ. დ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ქ-ამ განცხადებით მიმართეს პროკურატურას და ითხოვეს საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალზე გარიგებით. იმის გათვალისწინებით, რომ ნ. დ-ე აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების ხასიათის გათვალისწინებით, ბრალდების მხარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, მასთან გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება ბრალზე.

დაცვისა და ბრალდების მხარეები შეთანხმდნენ, იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მოთხოვნით, რის შესახებაც 2013 წლის 21 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი შემდეგი პირობებით:

ნ. დ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, შემცირდეს 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო საპატიმრო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით – საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, შეეცვალოს პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შემთხვევით, დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ნ. დ-ეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, ხოლო დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინებაში უნდა შევიდეს ცვლილება: სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს – დამტკიცდეს პროკურორისა და მსჯავრდებულ ნ. დ-ეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ჯ. გ-ემ მხარი დაუჭირა შუამდგომლობას და ითხოვა მისი დაკმაყოფილება მასში მოცემული პირობებით.

პალატის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ნ. დ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ქ-ამ.

საკასაციო პალატამ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ: ნ. დ-ის, ნ. ძ-ის, ფ. ბ-ის, მონმე რ. დ-ის ჩვენებებით, ფ. ბ-ის პირადი ჩხრეკის ოქმით და ამოღებული ნივთმტკიცებებით, ნ. დ-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებით, ამოღებული ნივთიერებების სამეცნიერო დაწესებულებებში ჩატარებული კვლევის აქტებით, რადიოლოგიურ-ქიმიური და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებით, ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მასალებით და სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც სადავოდ არ გაუხდია დაცვის მხარეს, ნ. დ-ის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა დადასტურებულია უტყუარად და ეჭვის გამომრიცხავად.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება მსჯავრდებულ ნ. დ-სთან არ განხორციელებულა ძალადობით, დაშინებით, მუქარით, მოტყუებით, ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე ასევე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული ნ. დ-ე სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხულ ქმედებას, თავს ცნობს დამნაშავედ და აცნობიერებს ქმედებისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, მისთვის გასაგებია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონის ყველა მოთხოვნა. მსჯავრდებულს სასამართლოს მიერ განემარტა და აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, თუ მასში ჩამოყალიბებული პირობები ეწინააღმდეგება მის ნებას და შეთანხმება მიღწეული იყო წამებით, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობით ან სხვა კანონდარღვევით. მსჯავრდებულისთვის ცნობილია საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებების შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორის მიერ საპროცესო შეთანხმების პირობებზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები სრულ შესაბამისობაშია სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან. პალატა იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პა-

სუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები – იგი აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

საკასაციო პალატამ, საქართველოს სსკ-ის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მხარეთა თანხმობით დააზუსტა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის შუამდგომლობაში ჩამოყალიბებული პირობები, რაც მოყვანილია შესაბამისობაში 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის მოთხოვნასთან.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამმართველოს პროკურორ ჯ. გ-ის შუამდგომლობა მსჯავრდებულთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 309-ე-216-ე მუხლებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმძღვლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამმართველოს პროკურორ ჯ. გ-ისა და მსჯავრდებულ ნ. დ-ის შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, მხარეთა თანხმობით დაზუსტებული პირობებით:

ნ. დ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდეს 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობით, 3 წლისა და 9 თვის (დაზუსტებული პირობა) გამოსაცდელი ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ნ. დ-ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით მოსახდელი სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 1 ივნისიდან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ნ. დ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

ნ. დ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 აგვისტოს განაჩენით.

პირობითი მსჯავრის ნაწილში განაჩენის აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დანაშაულების სამინისტროს, პრობაციის ეროვნულ ბიუროს მსჯავრდებულ ნ. დ-ის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ნ. დ-ის პირადი ჩხრეკისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი ორი სიმბარათით, საქართველოს მოქალაქის პასპორტი ნ. დ-ის სახელზე და 5 სიმბარათი, რომლებიც ინახება საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაუბრუნდეს მსჯავრდებულ ნ. დ-ეს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული 4 ვაზნა, რომელიც ინახება საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში, გადაეცეს ამავე სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№3-აპ-13

28 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

სხდომის მდივნის – გიორგი შალამბერიძის
პროკურორ – ქ. კ-ას
ადვოკატ – ნ. ფ-სა და ო. გ-ის
მსჯავრდებულ – გ. ა-ის

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 სექტემბრის განაჩენით გ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და თავის სამუშაო ოთახში, მდებარე – ქ. თბილისში, ... ქუჩა №...-ში, კლუბ „...-ში“ ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა „WOLTRA PROFESSIONAL MOD – 95-ის“ მოდელის ცეცხლსასროლ იარაღს, რაც 2012 წლის 25 ივნისის მისგან ამოიღეს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა. აღნიშნული დანაშაულისათვის მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 2 წლის ვადით.

მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 აპრილის განაჩენით გ. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დადგენილი პირობითი მსჯავრი და აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 11 თვითა და 27 დღით – საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სრულად დაემატა 2012 წლის 11 სექტემბრის განაჩენით დანიშნულ სასჯელს და განაჩენითა ერთობლიობით, საბოლოოდ გ. ა-ს განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, 11 თვითა და 27 დღის ვადით.

გ. ა-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 11 სექტემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალია პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 25 ივნისიდან – 2012 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 სექტემბრის განაჩენი მსჯავრდებულმა გ. ა-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და მოითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის ნაწილში, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჩადენილი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის არასაპატიმრო სასჯელით – ჯარიმით შეცვლა, რაც დაასაბუთა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მან ითანამშრომლა გამოძიებასთან, აღიარა ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ეს შემამსუხვეპელი გარემოებები მის მიმართ განაჩენში გათვალისწინებული არ ყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის განაჩენით აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 სექტემბრის განაჩენი გ. ა-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემოხსენებული განაჩენი მსჯავრდებულმა გ. ა-მა იმავე საფუძველზე საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კასატორი ითხოვს განაჩენში, კერძოდ, სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას და მის მიმართ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაცვლად ძირითად სასჯელად ჯარიმის დანიშვნას.

2013 წლის 22 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზე-

დამხედველობის სამმართველოს პროკურორმა ქ. კ-ამ და მოითხოვა მსჯავრდებულ გ. ა-თან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

შუამდგომლობის თანახმად, მსჯავრდებულმა გ. ა-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა განცხადებით მიმართეს პროკურატურას და ითხოვეს საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალზე გარჩევით. იმის გათვალისწინებით, რომ გ. ა-ი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების ხასიათის გათვალისწინებით, ბრალდების მხარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, მასთან გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება ბრალზე.

დაცვისა და ბრალდების მხარეები შეთანხმდნენ, იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მოთხოვნით, რის შესახებაც 2013 წლის 20 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი შემდეგი პირობებით:

გ. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდეს 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვროს 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით – საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 10 000 ლარი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იმავე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16-17-ე მუხლების საფუძველზე გ. ა-ს 1/4-ით შეუმცირდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 22 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და საბოლოოდ გ. ა-ს განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელი განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წელი და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი – 4 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 10 000 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს – დამტკიცდეს პროკურორისა და მსჯავრდებულ გ. ა-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ქ. კ-ამ მხარი დაუჭირა შუამდგომლობას და ითხოვა მისი დაკმაყოფილება დაზუსტებული პირობებით, კერძოდ: გ. ა-ს გამოსაცდელ ვადად განუსაზღვრა 4 წელი და 3 თვე.

პალატის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დაზუსტებული პირობების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა გ. ა-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ო. გ-მა და ნ. ფ-მა.

საკასაციო პალატამ საქმის მასალების საფუძველზე, საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ მოწმეების: ლ. ც-ას, ი. ს-ის, გ. მ-ის ჩვენებებით, 2012 წლის 25 ივნისის კლუბ „...-ის“ ჩხრეკის ოქმით და ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთმტკიცებით, ბალისტიკური ექსპერტიზის 2012 წლის 26 ივნისის №... დასკვნით და სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც დაცვის მხარეს სადავოდ არ გაუხდია, გ. ა-ის მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია ეჭვის გამორიცხვით.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება მსჯავრდებულ გ. ა-თან არ განხორციელებულა ძალადობით, დაშინებით, მუქარითა და მოტყუებით. ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული გ. ა-ი სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხულ ქმედებას, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს, მსჯავრდებული ასევე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, თუ მასში ჩამოყალიბებული პირობები ეწინააღმდეგება მის სურვილს და შეთანხმება მიღწეული იყო კანონდარღვევით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მსჯავრდებულისათვის ცნობილია საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებების შესახებ მსჯავრდებულისათვის ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

პალატას მიაჩნია, რომ პროკურორის მიერ საპროცესო შეთანხმების პირობებზე სამართლებრივი შეფასებები გაკეთებულია კანონის შესაბამისად. პალატა იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაო-

ბაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, გ. ა-ი აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამმართველოს პროკურორ ქ. კ-ას შუამდგომლობა მსჯავრდებულთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმძღვრის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამმართველოს პროკურორ ქ. კ-სა და მსჯავრდებულ გ. ა-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, მხარეთა თანხმობით დაზუსტებული პირობებით:

გ. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდეს 1/4-ით და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 10 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ა-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16-17-ე მუხლების შესაბამისად, 1/4-ით შეუმცირდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 22 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ გ. ა-ს განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და 6 თვით, საიდანაც 1 წელი თავისუფლების აღკვეთის სახით მოსახდელად განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 წელი და 6 თვე, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი, 4 წლისა და 3 თვის (დაზუსტებული პირობა) გამოსაცდელი ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 10 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ა-ს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2012 წლის 25 ივნისიდან.

მასვე მოსახდელად დანიშნულ საპატიმრო ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს წინა განაჩენის თანახმად დაკავებაში ყოფნის სამი დღე – 2010 წლის 20 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით.

გ. ა-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 სექტემბრის განაჩენით.

ნივთმტკიცება – გ. ა-ის სამუშაო ადგილიდან – კლუბ „...-დან“ ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი „WOLTRA PROFESSIONAL MOD-95“, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ოპერატიულ დეპარტამენტში, აღრიცხვაზე ასაყვანად გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამსახურს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№26-აპ-12

25 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ა. ხ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 31 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 აგვისტოს განაჩენით ა. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით; სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლითა და 6 თვით; სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების გზით, ა. ხ-ს საბოლოოდ მოსაზღვრად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 50 000 ლარი.

ამავე განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავედ და მსჯავრი დაედოთ:

დ. გ-ს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლითა და 6 თვით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 100 000 ლარი;

თ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლითა და 6 თვით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 150 000 ლარი;

ნ. ა-ეს საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 50 000 ლარი;

თ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლითა და 6 თვით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი;

ა. ხ-ს განაჩენით მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ჯგუფურად უკანონო სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის გარეშე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჩაიდინა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ე.ი. ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო ანდა დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, განთავსების, მოძრაობის და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა და შენიღბვა, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება, რაც გამოიხატა შემდეგში:

აშშ-ში მოქმედი საქველმოქმედო ორგანიზაციის „...-ის განვითარების საქველმოქმედო ფონდის“ წარმომადგენელმა მ. ბ-ამ განიზრახა ორგანიზებული ჯგუფის შექმნა და მისი საშუალებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. ბ-ა დაუკავშირდა ი. ა-ს და შესთავაზა არაკომერციული იურიდიული პირების დაფუძნება, რომლებთანაც, მაკონტროლებელი ორგანოების ეჭვის თავიდან ასაცილებლად, მ. ბ-ა, როგორც „...-ის განვითარების საქველმოქმედო ფონდის“ წარმომადგენელი, გააფორმებდა ხელშეკრულებას აშშ-დან საქართველოში საქველმოქმედო დანიშნულებით სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო და პირველადი მოხმარების საქონლის ტრანსპორტირების თაობაზე, რომლის საქართველოს შიდა ბაზარზე რეალიზაციას უზრუნველყოფდნენ საქართველოს მოქალაქეები, ხოლო მიღებული შემოსავლის ნაწილს გადარიცხავდნენ მ. ბ-ას მიერ მითითებულ ანგარიშზე.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მ. ბ-ასთან შეთანხმებით, ი. ა-მა უზრუნველყო შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული ჯგუფის ჩამოყალიბება. ამ მიზნით დაუკავშირდნენ ა. ხ-ს და შესთავაზეს კომერციული იურიდიული პირის დარეგისტრირება.

ა. ხ-მა 2010 წლის 27 მაისს რეგისტრაციაში გაატარა არაკომერციული იურიდიული პირი „მ-ი თ-ის გ-დ“, რომლის წესდების შესაბამისად, ორგანიზაცია დაფუძნებული იყო საქველმოქმედო მიზნებით. სულ მ. ბ-ასა და ი. ა-ის ხელმძღვანელობით ორგანიზებულ ჯგუფში გაერთიანდა ოცდახუთი კომერციული იურიდიული პირი: აიპ „ს-ო“ (ს/ნ ...); აიპ „დ...-ი“ (ს/ნ...); აიპ „დ-ა“ (ს/ნ ...); აიპ „ლ-ა“ (ს/ნ ...); აიპ „მ-ა“ (ს/ნ...); აიპ „ლ-ს“ (ს/ნ ...); აიპ „ი-ი“ (ს/ნ ...); აიპ „ლ-ა“ (ს/ნ ...); აიპ „დ-ა“ (ს/ნ ...) აიპ „ს-ი“ (ს/ნ ...); აიპ „ს-ი 2“ (ს/ნ...); აიპ „ს-ი 21“ (ს/ნ ...); აიპ „ო-ა“ (ს/ნ ...); აიპ „შ-ი“ (ს/ნ ...); აიპ „ქ-ა“ (ს/ნ...); აიპ „კ-ი 2010“ (ს/ნ ...); აიპ ა-ი XXI“ (ს/ნ ...); აიპ „ი-ა 2009“ (ს/ნ ...); აიპ „მ-ი თ-ის გ-ად“ (ს/ნ ...); აიპ „თ-ი“ (ს/ნ ...); აიპ „დ-ე“ (ს/ნ ...); აიპ „ა-ა“ (ს/ნ ...); აიპ „საქველმოქმედო ფონდი ...-ბი“ (ს/ნ ...); აიპ „... დახმარების საერთაშორისო ფონდი“ (ს/ნ ...). აღნიშნულმა სუბიექტებმა გააფორმეს ხელშეკრულებები „... განვითარების საქველმოქმედო ფონდთან“, რითაც შექმნეს თითქოსდა საქველმოქმედო მიზნებისათვის საქონლის საქართველოში იმპორტირების კანონიერი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ორგანიზებულ ჯგუფში ჩართული არაკომერციული იურიდიული პირები არ წარმოადგენდნენ სამენარმეო სუბიექტებს და უფლებამოსილნი იყვნენ, ეწარმოებინათ მხოლოდ დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობა, ხოლო მიღებული მოგება უნდა მოხმარებოდა არასამენარმეო იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას.

ა. ხ-ი დაუკავშირდა ხ. ხ-ს, დ. რ-ს სხვადასხვა მენარმე სუბიექტებს და მოელაპარაკა მათ, საქველმოქმედო დანიშნულებით საქართველოში იმპორტირებული საქონლის ფარულ რეალიზაციაზე, რითაც შეინიღებოდა არაკომერციული იურიდიული პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ფაქტი, ხოლო მიღებულ შემოსავალს გაინაწილებდნენ ურთიერთშორის, ნაწილს კი გადარიცხავდნენ მ. ბ-ას მითითებულ ანგარიშზე.

საერთო მიზნითა და ერთიანი განზრახვით, აიპ-სა „მ-ი თ-ის გ-ად“ და საქველმოქმედო ორგანიზაცია „... განვითარების ფონდს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აშშ-დან საქველმოქმედო დანიშნულებით 2010-2011 წლებში სიმბოლურ ფასად იმპორტირებულ იქნა 241 000 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო და პირველადი მოხმარების საქონელი.

მაკონტროლებელი ორგანოების ეჭვის თავიდან ასაცილებლად და მიღებული საქონლის თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეში ფარულად გასაშვებად ა. ხ-მა შეადგინა საქონლის განაწილების ამსახველი ფიქტიური დოკუმენტები ჰუმანიტარული დანიშნულების საქონლის არაკომერციული ორგანიზაციებისთვის გადაცემის შესახებ. რეალურად, მიღებული საქონელი შესყიდვის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, ხ. ხ-ისა და დ. რ-ის დახმარებით, რეალიზებულ იქნა სხვადასხვა მენარმე სუბიექტების სახელით.

საერთო მიზნებითა და ერთიანი განზრახვით მოქმედი ორგანიზებული ჯგუფის წევრი 25 ფონდის მიერ აშშ-დან, საქველმოქმედო დანიშნულებით, 2008-2011 წლებში სიმბოლურ ფასად იმპორტირებულ იქნა საერთო ჯამში – 11 495 200 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო და პირველადი მოხმარების საქონელი. უკანონო სამენარმეო საქმიანობისა და არასაქველმოქმედო დანიშნულებით რეალიზებული საქონლიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი – 2 259 244 აშშ დოლარი, (...) -თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გადაირიცხა ფონდის ანგარიშზე, რითაც მ. ბ-ამ შექმნა ლეგალური საფუძველი მაკონტროლებელი ორგანოების ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ხოლო უკანონო შემოსავლის ნაწილი – 627 428 აშშ დოლარი, მ. ბ-ას მითითებით, გადაირიცხა ი. კ-ას პირად ანგარიშზე.

აღნიშნული ქმედებით საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელით შენიღბულად მოქმედმა ორგანიზებულმა ჯგუფმა, მ. ბ-ას ხელმძღვანელობით, განახორციელა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

ა. ხ-ისა და ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობაში ჩართული სხვა პირებისა და მათთან დაკავშირებული სუბიექტების მიერ განხორციელებულმა უკანონო სამენარმეო საქმიანობამ, ასევე ფულის გათეთრება მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა: საქველმოქმედო დანიშნულებით მიღებული საქონლის ლეგალური ბრუნვის წესების დარღვევაში, სამენარმეო დანიშნულებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის აღურიცხაობასა და იურიდიული პირის სტატუსით მოსარგებლე სუბიექტებისათვის კანონმდებლობით წარდგენილი შეღავათებით უკანონო სარგებლობასა და დანაშაულებრივი გზით მიღებული მატერიალური სახსრების ლეგალიზებაში.

მსჯავრდებულმა ა. ხ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 აგვისტოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. აპელანტს მიაჩნია, რომ განაჩენი უკანონოა და ითხოვდა მის გაუქმებას, შესაბამისად – გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ზემოხსენებული განაჩენი იმავე საფუძველითა და მოთხოვნით სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ასევე დანარჩენმა მსჯავრდებულებმა: ნ. ა-ემ, თ. გ-მა და დ. გ-მა. მსჯავრდებულმა თ. გ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის გზით დადგენილი სასჯელის შემცირება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობისას, ბრალდებისა და დაცვის მხარის შეთანხმებით, გაფორმდა საპროცესო შეთანხმებები, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლოს სის-

ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულებს – დ. გ-სა და თ. გ-ეს შორის. ამავე სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმებები პროკურორსა და მსჯავრდებულებს – ნ. ა-სა და თ. გ-ს შორის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 31 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალდებულმა წარმოადგინა შუამდგომლობა და მასალები მსჯავრდებულ ა. ხ-თან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ და ითხოვა განაჩენით მისი დამტკიცება.

შუამდგომლობას მხარი დაუჭირეს მსჯავრდებულმა ა. ხ-მა და სასამართლო სხდომაში მონაწილე მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – დ. ბ-ემ.

სასამართლომ შეამოწმა საპროცესო შეთანხმების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე თავით გათვალისწინებული პირობები და მიღებული განაჩენით დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ გ. გ-სა და მსჯავრდებულ ა. ხ-ს შორის, რომლის თანახმადაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 აგვისტოს განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, სსკ-ის 55-ე მუხლის შესაბამისად, – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალია პირობით;

სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, სსკ-ის 55-ე მუხლის შესაბამისად, – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალია პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

ა. ხ-ს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალია მოცემულ საქმეზე პატიმრობაში ყოფნის დრო – 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

განაჩენის აღსრულებაზე კონტროლი დაევალია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე განაჩენით ყადაღა მოეხსნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 დეკემბრის განაჩენებით დაყადაღებულ ა. ხ-ის კუთვნილ ავტომანქანას.

2013 წლის 11 იანვარს ა. ხ-მა საქართველოს სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის პროკურორისათვის დაბრუნება.

კასატორი საჩივარში აღნიშნავს, რომ წარდგენილ ბრალდებაში ის უდანაშაულოა; გამოძიებით ბრალდების მხარეს მის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ მოუპოვებია; სასამართლოს მტკიცებულებები არ გამოურკვევია; საპროცესო შეთანხმება მასთან დადებულია უკანონოდ; ის პატიმრობაში იმყოფებოდა გაუსაძლის და არაადამიანურ პირობებში, შესაბამისად, იძულებული გახდა, ბრმად დათანხმებულიყო შემოთავაზებულ პირობებზე და ხელი მოეწერა შეთანხმებაზე.

საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა გ. გ-ემ საკასაციო საჩივრის შესაგებებლში უარყო კასატორის მიერ საჩივარში მოყვანილი არგუმენტები ა. ხ-თან საპროცესო შეთანხმების დადების დროს მისი უფლებების დარღვევების შესახებ და საჩივრის მოთხოვნა მიიჩნია დაუსაბუთებლად, შესაბამისად, ითხოვა საჩივარს უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის უსაფუძვლობის გამო, ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულის სასარგებლოდ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების საკითხი ამომწურავადაა მოწესრიგებული საქართველოს სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით და შესაძლებელია მხოლოდ აქ ჩამოთვლილ რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

საჩივარში კასატორი ვერ უთითებს რაიმე არსებით გარემოებაზე, რითაც მას შეეზღუდა უფლებები და რაც უჩვენებს, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდების მხარესთან იძულებითი ხასიათის მატარებელი იყო.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულყოფილად და ობიექტურად გამოიკვლია სასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, დაკითხა მოწმეები, ბრალდებულები, გამოიკვლია წერილობითი მტკიცებულებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ამსახველი მასალები, ა. ხ-ის ბრალდებასთან პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე სასამართლო

განაჩენები ც. ს-ის, ი. ა-ის და ზ. ს-ას მიმართ, შეაფასა ისინი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება ა. ხ-ის მსჯავრდების შესახებ.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კასატორის არგუმენტები იმის შესახებ, რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა მტკიცებულებები და სასამართლოს არ შეუფასებია ისინი, საფუძველს მოკლებულია და პალატა მას ვერ გაიზიარებს.

ასევე გაზიარებული ვერ იქნება კასატორის არგუმენტები იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასამართლო მოქმედებდა ფორმალურად და არ დაინტერესებულა მსჯავრდებულის მხრიდან თანხმობის გაცხადების მიზეზებით, მაშინ, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმის შესაბამისად, სასამართლომ ზედმინევით ამომწურავად განუმარტა მსჯავრდებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე თავით გათვალისწინებული მისი უფლებები და სასამართლოს ყველა კითხვაზე ა. ხ-ს, თავისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მონაწილეობით, გაცემული აქვს დადებითი პასუხები საპროცესო შეთანხმების ბრალდების მხარესთან ნებაყოფლობით დადების შესახებ, რასაც ასევე ადასტურებს პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და მასალები მსჯავრდებულთან დადებული საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები. კასატორის საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტები გამყარებული არ არის რაიმე სახის მტკიცებულებებით და მოთხოვნას დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას უსაფუძვლოების გამო.

ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-16 და მე-18 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ა. ხ-ს 1/4-ით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განაჩენით დადგენილი როგორც რეალური სასჯელი, ასევე პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადაც, ხოლო საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განაჩენით დადგენილი სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, 215-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-16, მე-18 მუხლებით და

დ ა ა ლ ბ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. ხ-ის საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 31 დეკემბრის განაჩენის გაუქმებისა და საქმის პროკურორისათვის დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

ამასთან, აღნიშნულ განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ა. ხ-ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 31 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის – 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან გათავისუფლდეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და მე-18 მუხლების თანახმად, ა. ხ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 31 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 3 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 წელი.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 31 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკანსაცმო საჩივრის სარევიზიო საწყისი

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№34-აპ-13

12 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გ. ბ-ს საკანსაცმო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 სექტემბრის განაჩენით:

თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. ბ-ს შუამდგომლობები დაკმაყოფილდა.
დამტკიცდა პროკურორ გ. ბ-ა და ბრალდებულებს – ს. კ-ა და ლ. ხ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ს. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 31 იანვრიდან.

ლ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 31 იანვრიდან.

ა. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით – 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238¹ მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 500 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ა. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 27 იანვრიდან.

ნივთიერი მტკიცებულებები: ი. ფ-ს მობილური ტელეფონი, ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულს; „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატი მჭიდროდ საქმეზე საბოლოო გადანაცვების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურს; სისხლის, დენტის, თმის, ფრჩხილის ნიმუშები, ხელის ანაწმენდები, 2 მასრა, ჩანთა, ა. გ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული დანა საქმეზე საბოლოო გადანაცვების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, ა. გ-ა ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა და ტარება; განზრახ მკვლელობა; ასევე 21 წელს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება; ხოლო ს. კ-ა და ლ. ხ-ა ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის ოქტომბერში ა. გ-ა ქ-ს რაიონში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი (№) და საბრძოლო მასალა მჭიდროდ, რომელიც შეინახა თავისი საცხოვრებელი სახლის მახლობლად, თ-ი, ო. ჭ-ს ქუჩის № კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ თუნუქის მილში.

2012 წლის 26 იანვარს, საღამოს, ა. გ-ა და მისმა მეგობრებმა ი. ფ-ა, ს. კ-ა და ლ. ხ-ა გადანაცვით საღამო ერთად გაეტარებინათ. დაახლოებით 20 საათზე მივიდნენ თ-ი, ვ-ს გამზირზე მდებარე ლუდის ბარ „პი-ი“. ა. გ-ა და მისმა მეგობრებმა ბარში დაჰყვეს დაახლოებით 3 საათი, სადაც დალიეს ლუდი და არაყი. ს. კ-ა კი მხოლოდ ლუდი დალია. მათთან ერთად ასევე იმყოფებოდნენ მეგობრები – გ. ს-ი და რ. თ-ი, თუმცა ისინი ბარიდან გამოსვლისას დაშორდნენ ზემოაღნიშნულ პირებს. დაახლოებით 23.00 საათზე ნასვამებმა დატოვეს აღნიშნული ბარი და ფეხით გაემართნენ ო. ჭ-ს ქუჩის მიმართულებით, ა. გ-ს საცხოვრებელ უბანში. გზაში ა. გ-ა თავის მეგობრებს გაუმხილა, რომ გადამალული ჰქონდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და შესთავაზა გაესროლა. უთხრა მათ, რომ ისინი დალოდებოდნენ ო. ჭ-ს ქუჩის № და № კორპუსებს შორის არსებულ სკვერში, სადაც იგი მივიდოდა ცეცხლსასროლი იარაღით. აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმნენ ი. ფ-ი, ს. კ-ი და ლ. ხ-ი. ი. ფ-ი და ს. კ-ი სკვერში არსებულ ხის მაგიდასთან დაელოდნენ ა. გ-ს, ხოლო ლ. ხ-ი გაჰყვა მას. სკვერში დაბრუნდნენ დაახლოებით 10-15 წუთში. ა. გ-ა „ა-ს“ ფორმის სპორტული ჩანთიდან ამოიღო მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა, იარაღი მოიყვანა საბრძოლო

მდგომარეობაში და დაახლოებით 1,5-2 მეტრის მანძილიდან მიუშვირა ავტომატი ი. ფ-ს და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ი. ფ-ს თავის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის საშიფათო ცეცხლნასროლი დაზიანება, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ადგილზე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ი. ფ-ს სიკვდილის მიზეზია სახისა და კისრის მიდამოს გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა ზურგის ტვინის დაზიანებით. შესავალი ხვრელით – მარცხნივ, ნიკაპის მიდამოში, გამოსავალი ხვრელით – მარჯვნივ, კისრის უკანა ზედაპირზე. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ა. გ-ი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა და „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი გადამალა. თუმცა დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, სადაც დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. პირადი ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა დანა, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დამზადებულია ქარხნული ნესით და მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას.

ს. კ-ა და ლ. ხ-ა, რომლებიც იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზე და გახდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის – ი. ფ-ს განზრახ მკვლელობის თვითმხილველნი – მომხდარი ფაქტის შესახებ არ შეატყობინეს სამართალდამცავ ორგანოებს.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით 238¹ მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 500 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ა. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 27 იანვრიდან.

ნივთიერი მტკიცებულებები: ი. ფ-ს მობილური ტელეფონი, ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულს; „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატი მჭიდრით საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურს; სისხლის, დენთის, თმის, ფრჩხილის ნიმუშები, ხელის ანაწმენდები, 2 მასრა, ჩანთა, ა. გ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული დანა საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენით მსჯავრდებულ ა. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 26 იანვარს, საღამოს, ა. გ-ი და მისი მეგობრები – ი. ფ-ი, ს. კ-ი და ლ. ხ-ი დაახლოებით 20 საათზე მივიდნენ თ-ი, ვ-ას გამზირზე მდებარე ლუდის ბარ „ჭი“-ს. ა. გ-ა და მისმა მეგობრებმა ბარში დაჰყვეს დაახლოებით სამი საათი, სადაც დალიეს ლუდი და არაყი. მათთან ერთად ასევე იმყოფებოდნენ მეგობრები – გ. ს-ი და რ. თ-ი, თუმცა ისინი ბარიდან გამოსვლისთანავე დაშორდნენ მათ. დაახლოებით 23.00 საათზე ნასვამ მდგომარეობაში მყოფებმა დატოვეს ლუდის ბარი და ფეხით გაემართნენ ო. ჭ-ს ქუჩის მიმართულებით. გზაში ა. გ-ა მეგობრებს გაუშხილა, რომ გადამალული ჰქონდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და შესთავაზა გაესროლა. უთხრა მათ, რომ ისინი დალოდებოდნენ ო. ჭ-ს ქუჩის № და № კორპუსებს შორის არსებულ სკვერში, სადაც იგი მივიდოდა ცეცხლსასროლი იარაღით. აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმნენ ი. ფ-ი, ს. კ-ი და ლ. ხ-ი. ლ. ხ-ი გაჰყვა ა. გ-ს, ხოლო ი. ფ-ი და ს. კ-ი სკვერში არსებულ ხის მაგიდასთან დაელოდნენ მათ. ლ. ხ-ა იქ, სადაც გ. ი ინახავდა იარაღს, მოახდინა ჰაერში გასროლა მას შემდეგ, რაც ა. გ-ა გადატენილი მიაწოდა იარაღი. ამის შემდეგ ა. გ-ა იარაღი ჩადო ჩანთაში და წავიდნენ სკვერისაკენ. სკვერში მიბრუნდნენ დაახლოებით 10-15 წუთში. ა. გ-ა „ა-ს“ ფირმის სპორტული ჩანთიდან ამოიღო მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა და იმ მომენტში, როდესაც იგი ცდილობდა იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას, განახორციელა გასროლა ი. ფ-ს მიმართულებით, რომელიც მისგან იმყოფებოდა დაახლოებით 1,5-2 მეტრის მანძილზე, რითაც ი. ფ-ს თავის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის საშიფათო ცეცხლსასროლი დაზიანება, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ადგილზე გარდაიცვალა.

თბილისის პროკურორატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი გ. ბ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, ა. გ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის განსაზღვრას ამ მუხლის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

გამოძიების მასალებითა და საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულები – ა. გ-ი, ს. კ-ი, ლ. ხ-ი და ან გარდაცვლილი ი. ფ-ი მეგობრები იყვნენ. შემთხვევის დღეს – 2012 წლის 26 იანვარს და არც მანამდე რაიმე კონფლიქტური სიტუაცია ზემოხსენებულ მეგობრებს შორის არ არსებობდა და ასეთი, უშუალოდ დანაშაულის ჩადენამდე მაპროვოცირებელი გარემოება გამოძიებით და საქმის სასამართლო განხილვით დადგენილი არ არის. ამ პირებს შორის კარგ, მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებას თავიანთ ჩვენებებში ადასტურებენ მსჯავრდებულები – ა. გ-ი, ს. კ-ი, ლ. ხ-ი, მოწმედ დაკითხუ-

ლი მათი ოჯახის წევრები, დაზარალებულის უფლებამონაცვლე – მ. ფ-ი. აღნიშნული უარყოფილი არ არის არც კასატორის საკასაციო საჩივრით.

გამოძიებით, საქმის პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში განხილვით ასევე დადგენილია, რომ ა. გ-ა შემთხვევის ღამეს იარაღი სამალავიდან გამოიტანა მეგობრებთან მოლაპარაკების შემდეგ და ამ ქმედების ერთადერთი მიზანი იყო ის, რომ მეგობრებს რიგრიგობით მოეხდინათ იარაღიდან გასროლა და ამით დაეკმაყოფილებინათ ცნობისმოყვარეობა. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ ავტომატური იარაღის სამალავიდან გამოტანის შემდეგ ა. გ-ა იგი მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში, ჰაერში გასროლის მიზნით გადასცა ლ. ხ-ს, რომელმაც გაისროლა კიდევაც ავტომატიდან, რის შემდეგაც დაუბრუნა იგი ა. გ-ს და ორივენი დაბრუნდნენ სკვერში, მაგიდასთან, სადაც მათ ელოდებოდნენ ს. კ-ი და ი. ფ-ი. სკვერში ისინი ასევე აპირებდნენ იარაღიდან ჰაერში გასროლას.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ გამოიკვია რა ა. გ-ს ქმედებაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მოტივის არსებობა, სამართლებრივად სწორად დააკვალიფიცირა ქმედება სიცოცხლის მოსპობად – გაუფრთხილებლობით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტებს იმის შესახებ, რომ ქმედების თავდაპირველი კვალიფიკაცია სწორი იყო და არ არსებობდა მისი შეცვლის სამართლებრივი საფუძვლები. კასატორის ეს მოსაზრებები აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით დადასტურებული არ არის და არგუმენტირებულია მხოლოდ ლ. ხ-ა და ს. კ-ს მიერ მიტანილი ჩვენებებით, რომ ა. გ-ა ავტომატური იარაღიდან ი. ფ-ს მიმართულებით გასროლა განახორციელა დამიზნებით; რომ ა. გ-ი კარგად ფლობდა ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს და რაიმე შემთხვევითობას ადგილი არ ჰქონია, ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმადაც, ი. ფ-ს ცეცხლსასროლი დაზიანება აღენიშნებოდა ნიკაპის მიდამოში, ხოლო ჭრილობა მიემართებოდა ჰორიზონტალურად; რომ ა. გ-ა სწრაფად დატოვა შემთხვევის ადგილი და გადამალა ავტომატური იარაღი.

სასამართლო სსდომაზე გამოკვლეულ ერთობლივ მტკიცებულებათა ანალიზი საკასაციო პალატას აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ ა. გ-ს არ ჰქონდა პროფესიული ცოდნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე და არ ფლობდა ამომწურავ ინფორმაციას ამ ტიპის იარაღის (იარაღების) ტექნიკური მოწყობის შესახებ. ცნობილია, რომ ქართული კანონმდებლობით აკრძალულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ლეგალურად შეძენა, ასეთი ტიპის იარაღებიდან გამომდინარე მომეტებული საზოგადოებრივი საფრთხის გამო.

შემთხვევის ღამეს, ლუდის ბარიდან გამოსვლის შემდეგ, გადანყვიტა რა იარაღის სამალავიდან გამოტანა და მეგობრების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ა. გ-ა დანაშაულებრივად დაარღვია წინდახედულობის მოვალეობა, რაც ნებისმიერი პირის მოქალაქეობრივი ვალდებულებაა, არ მიიღო გამაფრთხილებელი ზომები, რომლებიც დაუნერგლ საყოფაცხოვრებო ურთიერთობებშია დაშვებული. მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ავტომატური იარაღის არასრულყოფილად ფლობის პირობებში მის გამოყენებას შესაძლებელია მოჰყოლოდა საშიში შედეგი; ა. გ-ს მოქმედების მიზანი იყო, მეგობრებისათვის ეჩვენებინა ავტომატური იარაღი და ამ იარაღიდან ესროლათ, რაც შეგნებულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ შესაძლო დამდგარი შედეგის მიმართ მისი მოქმედება ატარებდა შეუცნობელ ხასიათს, თუმცა ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა საზოგადოებრივად საშიში შედეგის წარმოშობის შესაძლებლობა და თავიდან აეცილებინა იგი. აღნიშნულის საპირისპიროდ, მან გამოიჩინა უხეში უპასუხისმგებლობა, უყურადღებობა და წინდაუხედაობა, რასაც შედეგად მოჰყვა მეგობრის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

ს. კ-ა და ლ. ხ-ს ჩვენებებთან მიმართებით, რაზედაც აპელირებს კასატორი, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. გ-ს პირდაპირ დამიზნებით ავტომატიდან გასროლა არ განუხორციელებია. ზემოხსენებული პირების ჩვენებების თანამიმდევრულად გაანალიზებით იკვეთება ასეთი სურათი: მაგიდასთან, რომლის გარშემოც იდგნენ მეგობრები, ა. გ-ა სპორტული ხელჩანთიდან ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა იგი, კონდახი მიიღო რა მხარზე, წინა – ლულის მხარე მომენტალურად აღმართა ქვემოდან (მაგიდიდან) ზემოთ, ამ მოძრაობაში იარაღის სრულ ვერტიკალურ მდგომარეობაში მოიყვანა მუხადინა ავტომატიდან გასროლა, რაც იარაღის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ჭერის მომენტშია განხორციელებული, რა დროსაც ჭურვი მოხვდა საპირისპიროდ მდგარ ი. ფ-ს, რასაც ადასტურებს საქმეზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც. ბუნებრივია, იქვე მყოფ ს. კ-ა და ლ. ხ-ს მოვლენათა ასეთი სწრაფი განვითარება აღქმული აქვთ ა. გ-ს მხრიდან როგორც პირდაპირი დამიზნებით გასროლა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. გ-ს მიერ შემთხვევის ადგილის დატოვება, იარაღის გადამალვა და კვლავ შემთხვევის ადგილზე დაბრუნება არ წარმოადგენს მკვლელობის განზრახ ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მსჯავრდებული და დაზარალებული, ისევე როგორც შემთხვევის ადგილზე მყოფი ყველა პირი, მეგობრები იყვნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება ა. გ-ს, ს. კ-ა და ლ. ხ-ს სულიერი მდგომარეობა, დაბნეულობა, განცდები და ა.შ. დამდგარი მძიმე შედეგის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. გ-ს ბრალდების საქმეზე სააპელაციო პალატამ ქმედების კვალიფიკაციაზე სამართლებრივი შეფასებები გააკეთა სწორად და არ არსებობს მისი შეცვლის საფუძვლები.

ამასთან, სააპელაციო პალატამ, საქართველოს სსკ-ის 299-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, არ იმსჯელა ამ საქმეში მსჯავრდებულების – ს. კ-ა და ლ. ხ-ს მიმართ. იმავე განაჩენით ამ მსჯავრდებუ-

ლების მიმართ უნდა დადგენილიყო გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან სახეზეა მათ მიმართ სარევიზიო საწყისის არსებობა, რაც შესაბამის რეაგირებას და გამოსწორებას მოითხოვს.

გამოძიებით ა. გ-ს ბრალდება წარედგინა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობისათვის, რაც საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა გათვალისწინებით, ს. კ-ა და ლ. ხ-ს ქმედებები, შესაბამისად, სამართლებრივად სწორად შეფასდა და მათ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული – დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის ბრალდებები კანონიერ საფუძველზე ჰქონდათ წარდგენილი, ხოლო იმ მომენტიდან, როდესაც სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად შეცვალა ა. გ-ს დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, როგორც – გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, ს. კ-ა და ლ. ხ-ს ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა უკვე აღარ არსებობდა და, შესაბამისად, სამართლებრივ რეაგირებას საჭიროებდა აღნიშნულ მსჯავრდებულ პირთა მიმართ.

ასევე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ა. გ-ი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან; მასვე, ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, 1/4-ით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი, ხოლო ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის 1-ლი ნაწილით ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული ძირითადი სასჯელი – ჯარიმა უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 299-ე მუხლით, 309-ე მუხლით, 276-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3, მე-16, მე-18 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

თბილისის პროკურორატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულთა სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებული ა. გ-ი „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დანიშნული სასჯელის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული ა. გ-ი, ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დანიშნული სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ა. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით – შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვროს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-18 მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელი – ჯარიმა 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დარჩეს უცვლელად.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს და დანაშაულთა ერთობლიობით მსჯავრდებულ ა. გ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2012 წლის 27 იანვრიდან.

სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენი ა. გ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებული ს. კ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებულ მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებაში და გამართლდეს.

მსჯავრდებული ლ. ხ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებულ მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებაში და გამართლდეს.

მსჯავრდებულებს – ს. კ-ა და ლ. ხ-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მიეცეთ უფლება აუნაზღაურდეთ მიყენებული ზიანი.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე განჩინების გაუქმება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№6-აპ-13

18 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. ნ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 თებერვლის განაჩენით ა. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა 2009 წლის 16 ივლისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი – 2 წელი და საბოლოოდ ა. ნ-ეს სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 5 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით ა. ნ-ეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 50 000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 23 ივნისიდან.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ ა. ნ-ეს შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 ივლისის განაჩენით ა. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, გაუნაზღვრდა და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 1 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით ა. ნ-ეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 100 000 ლარი.

ა. ნ-ეს სასჯელის მოხდა დაეწყო აღნიშნულ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების მიღების დღიდან – 2012 წლის 31 იანვრიდან.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ ა. ნ-ეს შორის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 თებერვლის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

ა. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 1 წელი და 8 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, რასაც დაემატა 2009 წლის 16 ივლისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი – 2 წელი და საბოლოოდ ა. ნ-ეს სასჯელად განესაზღვრა 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 1 წელი და 8 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წელი ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით ა. ნ-ეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 50 000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 23 ივნისიდან.

2012 წლის 24 სექტემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გ. ლ-ემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას და რადგან მსჯავრდებულ ა. ნ-ის მიმართ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული ორი გამამტყუნებელი განაჩენი, საქართველოს სსკ-ის 286-ე მუხლის შესაბამისად, ითხოვა მსჯავრდებულის მიმართ არსებული გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით საბოლოო სასჯელის განსაზღვრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ა. ნ-ეს სასჯელი განესაზღვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 ივლისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენების მიხედვით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 ივლისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთას და პირობითად დანიშნულ 2 წელს – დაემატა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის – 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი (რომლის მოხდა დაეწყო 2011 წლის 23 ივნისიდან) – 4 თვე და 15 დღე და პირობითად დანიშნული 3 წელი (4 წლის გამოსაცდელი ვადით) და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ნ-ეს სასჯელად განესაზღვრა 1 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

ა. ნ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განჩინების მიღების დღიდან – 2012 წლის 8 ოქტომბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. ნ-ემ. აპელანტმა აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მის მიმართ საბოლოო სასჯელი არასწორად განსაზღვრა, რადგან მას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელიდან, რომლის ათვლაც დაეწყო 2012 წლის 31 იანვრიდან, 2012 წლის 8 ოქტომბრისათვის მოსახდელად დარჩენილი ჰქონდა 3 თვე და 23 დღე, რასაც უნდა დამატებოდა 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 თვე, 15 დღე. ამდენად, აპელანტმა ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და საბოლოო სასჯელად 8 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, რომლის ათვლაც უნდა დაეწყო ბოლო განაჩენის მიღების დღიდან – 2012 წლის 3 ივლისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინება დარჩა უცვლელად.

2012 წლის 26 ნოემბერს მსჯავრდებულმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლა და მისი აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ა. ნ-ის შუამდგომლობა და აღდგა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. ნ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მისთვის ცნობილი იყო, რომ განაჩენთა შეკრებით შეეფარდებოდა 2 წელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ათვლა დაეწყო და დაკავების დღიდან – 2011 წლის 23 ივნისიდან და სასჯელის მოხდის ვადა დამთავრდებოდა 2013 წლის ივნისში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენით კი სასჯელის მოხდის ვადად ეთვლება 2014 წლის 23 თებერვალი. რამდენადაც საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, რაც არ ასახავს იმ შედეგს, რისთვისაც მან თანხმობა განაცხადა საპროცესო შეთანხმებისას შემოთავაზებულ პირობებზე, ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენის გაუქმება, სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად და სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე საქმის პროკურორისათვის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის განჩინება საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ა. ნ-ის შუამდგომლობა და აღდგა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად აღადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადა, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ა. ნ-ეს სასჯელი განესაზღვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 ივლისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 სექტემბრის განაჩენების მიხედვით დანიშნული სასჯელუბის შეკრების საფუძველზე.

ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენი უკვე შეცვლილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით, ხოლო სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის განჩინება მსჯავრდებულ ა. ნ-ის მიმართ.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ ამინსტიის გავრცელების შესახებ მიღებული
განჩინების გაუქმება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№10-აპ-13

5 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლო-
ბით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ხ. ა-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის განაჩენით ხ. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშა-
ვედ და მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწი-
ნებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა
19 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მესამედით და ამა-
ვე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

ხ. ა-ეს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2012 წლის 17 მაისიდან.

განაჩენით ხ. ა-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, განსაკუთრებული სისას-
ტიკით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 16 მაისს, დაახლოებით 21.30 საათზე, ბაღდათის რაიონის სოფ. ...-ში ხ. ა-ემ განაწყენების ნი-
ადაგზე, შურისძიების მოტივით, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა გ. მ-ი. კონფლიქტს ხ. ა-სა და გ. მ-ს
შორის საფუძველი ჩაუყარა ხ. ა-ის მიერ ინტერნეტ საიტ „ოდნოკლასნიკში“ გარდაცვლილის მეგობრის
დის ფოტოსურათის განთავსებამ. აღნიშნულის გამო გ. მ-მა არაერთხელ მოსთხოვა ხ. ა-ეს, წაეშალა ეს
ფოტო მისი გვერდიდან, რაც მოგვიანებით ხ. ა-ემ შეასრულა, თუმცა, მათ შორის არსებული დაძაბული
კონფლიქტური სიტუაცია ამით არ განმუხტულა. მკვლელობის დღეს, დილის საათებში, ისინი ერთმანეთს
შეხვდნენ სკოლის ეზოს ტერიტორიაზე, რა დროსაც ხ. ა-ეს ახლდნენ თანასოფელი მანდილოსნები. ხ. ა-
ემ შეურაცხყოფად მიიჩნია სკოლის ეზოში გ. მ-ის მიერ გადაფურთხება, როდესაც იგი გვერდს უვლიდა
მას.

აღნიშნულის გამო კვლავ წარმოიშვა უკმაყოფილება და ხ. ა-ემ გადაწყვიტა, რომ იმავე დღეს ენახა გ. მ-
ი, გაერკვია ურთიერთობა და საჭირო შემთხვევაში ანგარიში გაესწორებინა მისთვის. იმავე დღეს, საღამოს
საათებში, ხ. ა-ე მივიდა გ. მ-ის ოჯახში, მოტყუებით გამოიყვანა სახლიდან და საკარმიდამო ეზოს ღობეს-
თან წარმოშობილი ურთიერთკამათისა და ჩხუბის დროს მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის არაერთი დარტყმით
მას მიაყენა სასიკვდილო, სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებები, რის შემდეგაც ხ. ა-ე განერიდა
და დატოვა შემთხვევის ადგილი. გ. მ-ი მიყენებული მძიმე დაზიანებების შედეგად ადგილზევე გარდაიცვა-
ლა.

მსჯავრდებულმა და მისმა კანონიერი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ქუთაისის საქალაქო სასა-
მართლოს ზემოხსენებული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქუთაისის სააპელაციო სასამარ-
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. აპელანტები ითხოვდნენ ქმედების საქართველოს სსკ-ის
109-ე მუხლის ნაცვლად – 108-ე მუხლით დაკვალიფიცირებას და, შესაბამისად, მინიმალური სასჯელის
დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასა-
ლები, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს, გააანალიზა გამოკვლეული მტკიცებულებები და 2012 წლის 5
დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, შესაბამისად, ქუთაისის საქა-
ლაქო სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის განაჩენი დატოვა უცვლელად.

მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 დეკემბრის განაჩენი იმავე საფუძველზე და იმავე
მოთხოვნით საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ხ. ა-ის ქმედების სამართლებრივი შეფასებისა და სწორი კვალიფიკაციის შესახებ. ამასთან, აღნიშნავს, რომ ხ. ა-ის მიერ ჩადენილი ქმედების განსაკუთრებული სისასტიკე გამოვლენილი და დადგენილია დანაშაულის ჩადენის ხერხში. გ. მისათვის მიყენებული 10 ჭრილობიდან უმრავლესობა (8 ჭრილობა) მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიშვლო სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს და იმყოფება მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გაითვალისწინა ხ. ა-ის დამოკიდებულება არა მარტო დამდგარი შედეგისადმი, არამედ – იმ განსაკუთრებული სისასტიკისადმი, რაც მან გამოავლინა უშუალოდ ქმედების ჩადენის განზრახვის აღსრულების მომენტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხ. ა-ის ქმედებას მიცემული აქვს სწორი სამართლებრივი შეფასებები და არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონიერი საფუძვლები.

პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის განჩინება ხ. ა-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ კანონშეუსაბამოა, ვინაიდან განჩინების მიღების მომენტისათვის სისხლის სამართლის საქმე საკასაციო საჩივართან ერთად 2013 წლის 10 იანვარს განსახილველად შემოსული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება და ქუთაისის საქალაქო სასამართლო, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ იყო უფლებამოსილი, განეხილა ხ. ა-ის მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხი; შესაბამისად, გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში მიღებული აქვს არაუფლებამოსილ სასამართლოს. ამასთან, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, დაუბრუნდეს „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენების საკითხს და არსებითად გადაწყვიტოს იგი განაჩენში ცვლილების შეტანის გზით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-16 მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ხ. ა-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ ხ. ა-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ხ. ა-ეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 3 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს 1/3-ით და ხ. ა-ეს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით.

ხ. ა-ეს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2012 წლის 17 მაისიდან.

სხვა ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ ამინსტიის გავრცელების შესახებ მიღებული
განჩინების გაუქმება**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№13-აპ-13

16 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის განაჩენით გ. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლით.

სასჯელის ვადის ათვლა გ. ლ-ას დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2011 წლის 7 ნოემბრიდან.

ე. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლითა და 9 თვით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს სრულად დაემატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, 4 თვითა და 14 დღით და ჯარიმა – 500 ლარი, საბოლოოდ კი სასჯელის სახედ და ზომად განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 21 წლით, 1 თვითა და 14 დღით, ასევე ჯარიმა – 500 ლარი.

სასჯელის მოხდის ვადის ათვლა ე. გ-ეს დაეწყო განაჩენის დადგენის დღიდან – 2012 წლის 10 ივლისიდან.

ი. ფ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია), სსკ-ის 108-ე მუხლით და 19,109-ე მუხლის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 28 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული განაჩენით დანიშნულ სასჯელს სრულად დაემატა წინა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის, 3 თვისა და 22 დღის ვადით და ჯარიმა – 1000 ლარი. საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით ი. ფ-ის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 33 წლით, 3 თვითა და 22 დღით და ჯარიმა – 1000 ლარი.

საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა ი. ფ-ეს დაეწყო განაჩენის დადგენის დღიდან – 2012 წლის 10 ივლისიდან.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის განაჩენით გ. ლ-ას, ე. გ-ესა და ი. ფ-ეს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ:

გ. ლ-ამ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: 9 მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ სისტემის ნომერგადაშლილი პისტოლეტი, თავისივე მჭიდრით და სამი 9 მმ კალიბრიანი „3მ“ ტიპის ვაზნა, რაც 2011 წლის 7 ნოემბერს ამოიღეს მისი პირადი ჩხრეკისას.

2002 წლის 1 თებერვალს ე. გ-ემ, გ. ლ-ამ, ი. ფ-ემ, ი. ჯ-ემ და დ. ხ-ამ გადაწყვიტეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ქუთაისში, ... ქუჩის პირველი ჩიხის №...-ში მცხოვრებ ე. ს-ის ოჯახს და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ მატერიალურ ფასეულობას.

განზრახვის შესასრულებლად ისინი 2002 წლის 1 თებერვალს შეიკრიბნენ ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე მდებარე ე.წ. „ბოტანიკურ ბაღთან“, სადაც შეიარაღდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით, პისტოლეტებით და დანებით, რის შემდეგაც გაემართნენ ე. ს-ის სახლის მიმართულებით.

2002 წლის 2 თებერვალს, დაახლოებით 00.30 საათზე, ე. გ-ე, გ. ლ-ა, ი. ფ-ე და დ. ხ-ა, რომელთაც ეკეთათ ნიღბები, შეიჭრნენ ე. ს-ის სახლში, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ ე. ს-ე, მისი მეუღლე – ნ. ს-ე, შვილები – ი. და ნ. ს-ეები და რძალი – თ. ფ-ა მცირეწლოვან შვილთან ერთად. სახლში შესვლისას ი. ს-ეს, რომელმაც თავდამხმელებს გაუწია წინააღმდეგობა, ი. ჯ-ემ ესროლა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც ი. ს-ემ მიიღო დაზიანება და გარდაიცვალა.

თავდამსხმელებს ასევე წინააღმდეგობა გაუწიეს ე. ს-ემ და მისმა მეუღლემ – ნ. ს-ემ. ე. ს-ეს ბოროტ-მოქმედებმა მიაყენეს მსუბუქი ხარისხის დაზიანება.

თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს რაიმე ნივთის წაღება ს-ეების ოჯახიდან დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობის განხილვის გამო და მათ დატოვეს შემთხვევის ადგილი.

ე. ს-ის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისათვის ი. ფ-ე გასამართლდა ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლი-თა და 9 თვით, რომლის მოხდაც დაეწყო 2007 წლის 2 თებერვლიდან.

2003 წელს ი. ფ-ე კვლავ დაუკავშირდა ე. გ-ეს, აგრეთვე – ზ. დ-ეს და გადაწყვიტეს, 2003 წლის 7 მარტს ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ წყალტუბოს რაიონის სოფ. ...-ში მცხოვრებ ჯ. ჩ-ის ოჯახს და მართლსაწი-ნააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ მატერიალურ ფასეულობას.

ამისათვის ე. გ-ე, ი. ფ-ე და ზ. დ-ე შეიარაღდნენ პისტოლეტებით, ხელყუმბარით და დანით, გაიკეთეს ნიღბები და 2003 წლის 7 მარტს, დაახლოებით 21 საათზე, შეიჭრნენ ჯ. ჩ-ის სახლის ეზოში არსებულ სამზა-რეულო ოთახში, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ ჯ. ჩ-ე, მისი მეუღლე – ე. ჩ-ე, შვილი – 15 წლის გ. ჩ-ე და მცირეწლოვანი გოგონა – 12 წლის ვ. ბ-ი.

ჯ. და გ. ჩ-ებმა თავდამსხმელებს გაუწიეს წინააღმდეგობა, რა დროსაც ზ. დ-ემ დანის გამოყენებით ჯ. ჩ-ეს ბეჭის მარჯვენა მხარეს მიაყენა სიცოცხლისათვის საშიშვლო მძიმე ხარისხის დაზიანება – გულ-მკერდის ღრუში შემავალი ჭრილობის (ბეჭის ძვლის დაზიანებით) სახით.

იმის გამო, რომ თავდამსხმელებს დაზარალებულთა მხრიდან შეხვდათ წინააღმდეგობა, ი. ფ-ემ, რომე-ლიც თანამზრახველებს შენობის უკანა კართან ელოდებოდა, ოთახში მყოფ პირთა მოკვლის განზრახვით საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა და შეაგდო ოთახში, ხოლო თავად მყისიე-რად განერიდა შენობას.

ხელყუმბარის აფეთქების შედეგად გარდაიცვალა მცირეწლოვანი ვ. ბ-ი, არასრულწლოვანმა გ. ჩ-ემ მი-იღო სიცოცხლისათვის საშიშვლო, მძიმე ხარისხის დაზიანება – მარჯვენა წვივის ფეთქებადი ცეცხლსას-როლი დამსხვრეული მოტეხილობის, მარჯვენა წვივის არასრული ამპუტაციის, მარცხენა წვივის არეში მრავლობითი, დიდი ზომის ფეთქებადი ცეცხლსასროლი ჭრილობების სახით, ხოლო ჯ. ჩ-ემ მიიღო მსუბუ-ქი ხარისხის დაზიანება – ორივე ქვედა კიდურის არეში ზედაპირული ჭრილობების სახით.

ხელყუმბარის აფეთქების შედეგად მრავლობითი დაზიანებები მიიღო ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ზ. დ-ემაც, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად მოგვიანებით გარდაიცვალა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავ-რდებულებმა – გ. ლ-ამ, ე. გ-ემ და ი. ფ-ემ.

სააპელაციო საჩივრით აპელანტები – გ. ლ-ა და ე. გ-ე ითხოვდნენ განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

აპელანტი ი. ფ-ე საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განა-ჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მხარეთა მონაწილეო-ბით, სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე, შეამოწმა ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებანი საქმის გარემოებებთან მათი რელევანტურობის, დასაშვებო-ბისა და უტყუარობის თვალსაზრისით და დამტკიცებულად მიიჩნია მსჯავრდებულების ბრალეულობა მათთვის ინკრიმინირებულ ქმედებებში, ამასთან, გაითვალისწინა მსჯავრდებულების – გ. ლ-ასა და ე. გ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის გულწრფელად აღიარება და მონანიება. სააპელაციო სასამართლომ შეამოწ-მა დაცვის მხარის მიერ ბრალდების მხარესთან დადებული საპროცესო შეთანხმების კანონის მოთხოვნებ-თან შესაბამისობა და 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულების – გ. ლ-ასა და ე. გ-ის, მათი ინ-ტერესების დამცველი ადვოკატების მონაწილეობით ბრალდების მხარესთან დადებული საპროცესო შე-თანხმება დაამტკიცა, ხოლო ი. ფ-ის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საპროცესო შეთანხმების თანახმად, გ. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ით გათვალის-წინებულ, მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებებში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჩადენილი დანაშაულისათვის – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით;

სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით ჩადენილი დანაშაულისათვის, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრუ-ლად და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ გ. ლ-ას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

გ. ლ-ას დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავშირდნის – 2011 წლის 7 ნოემბრიდან.

ე. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებულ, მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებებში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

ე. გ-ის მიერ ჩადენილი ქმედებები, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის მაისამდე მოქმედი რედაქცია, 2002 წლის 2 თებერვლის ეპიზოდი), სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია, 2003 წლის 7 მარტის ეპიზოდი), გადაკვალიფიცირდა და ორივე ეპიზოდში – ე. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე

მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 აპრილის განაჩენით ე. გ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით, ასევე ჯარიმა – 500 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით ე. გ-ის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 11 თვითა და 27 დღით და ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დანიშნული საპატიმრო სასჯელის ვადის ათვლა ე. გ-ეს დაეწყო განაჩენის მიღების დღიდან – 2012 წლის 27 ნოემბრიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის იმავე, 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებული ი. ფ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ, მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებებში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 19,109-ე მუხლის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 11 წლით;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით ი. ფ-ეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 28 წლით;

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 22 დღით, ასევე ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად ი. ფ-ეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 33 წლითა და 22 დღით;

დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა ი. ფ-ეს დაეწყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მიღების დღიდან – 2012 წლის 10 ივლისიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულმა ი. ფ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კასატორს მიაჩნია, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი უკანონოა და ითხოვს გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს იმის შესახებ, რომ ე. გ-ის მიერ მიცემული ჩვენებები სრულად შეესაბამება შემთხვევის მომენტში დანაშაულებრივი ჯგუფის მხრიდან განხორციელებული თავდასხმის შედეგად განვითარებული იმ მოვლენების აღწერას, რაც თავიანთი ჩვენებებში ჩამოყალიბებული აქვთ შემთხვევის ადგილზე მყოფ დაზარალებული ოჯახის წევრებს – ჯ., გ. და ყ. ჩ-ებს. ზემოხსენებულ პირთა ჩვენებებიდან დადგენილია, რომ ხელყუმბარა, ოჯახის წევრების მიერ განეული აქტიური წინააღმდეგობის დასაძლევად, ოთახში შეავდო უკანა კარიდან შესულმა, მესამე ნილბიანმა ბოროტმოქმედმა. ე. გ-ის მტკიცებით, ეს პირი ი. ფ-ე იყო, რომელმაც კარის შემომტყრევის პარალელურად, ხელყუმბარის ოთახში შემოგდებისთანავე, დატოვა შემთხვევის ადგილი.

ე. გ-ის, ჯ. ჩ-ის, გ. ჩ-ისა და ყ. ჩ-ის ჩვენებებით დადგენილ ამ გარემოებას თავიანთი ჩვენებებით ამყარებენ საქმეზე მოწმედ დაკითხული პირები – ნ. ჩ-ე, გ. და ი. დ-ეები. გ. და ი. დ-ეები თავიანთი ჩვენებებში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ე. გ-ე, ი. ფ-ე და მათი ძმა, ან გარდაცვლილი ზ. დ-ე ახლო მეგობრები იყვნენ და რაიმე სახის კონფლიქტური ურთიერთობა მათ შორის არ არსებობდა.

ზემოხსენებულ მტკიცებულებათა შეფასება – ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატას მიაჩნია: კასატორის არგუმენტები, რომ თითქმის ე. გ-ის მის მიმართ ამოძრავებს შურისძიების მოტივი და ამ უკანასკნელის მიერ მისი ბრალეულობის დამადასტურებელი ჩვენებების მიცემა სწორედ ამ მიზეზით აირის განპირობებული, მტკიცებით საფუძველს და, შესაბამისად, დამაჯერებლობას აირის მოკვლეული, რის გამოც არ ქმნის ე. გ-ის ჩვენების რელევანტურობასა და უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილი სტანდარტებით ადასტურებენ ი. ფ-ის მიერ მისთვის ინკრიმინირებული ქმედებების ჩადენას და არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნები, ამავე კანონის მე-16 და მე-18 მუხლებით მოცემული პირობებით, უნდა გავრცელდეს მსჯავრდებულზე გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანის გზით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. ფ-ე 1997 წლის 22 იანვარს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ ნასამართლეოა განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ, მას მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (1960 წლის რედაქცია) და, შესაბამისად, მოხდილი აქვს სასჯელი.

2000 წლის 22 ივნისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ იგი მეორედ იქნა გასამართლებული განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, ამჯერად მას მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1961 წლის რედაქცია) და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რისთვისაც ასევე მოხდილი აქვს შესაბამისი სასჯელი.

შესაბამისად, 2002 წლის 2 თებერვალს, 00.30 საათზე, პირთა ჯგუფთან ერთად ქ. ქუთაისში, ... ქუჩა №...-ში ე. ს-ის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და 2003 წლის 7 მარტს, დაახლოებით 21 საათზე, წყალტუბოს რაიონის სოფ. ...-ში ჯ. ჩ-ის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ეპიზოდები წარმოადგენს დანაშაულის რეციდივს; ჩადენილი ქმედებების მოტივის, განხორციელების სახის, მისი პიროვნული მახასიათებლებისა და დამდგარი მძიმე შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად არ მიაჩნია ი.ფ-ის მიმართ გამოყენებულ იქნეს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის კანონით დადგენილი, 59-ე მუხლით გათვალისწინებული, დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს დანიშნულ სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების ან შთანთქმის პრინციპი და იხელმძღვანელებს სამოქმედოდ შემოღებული სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-3 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისა და დანიშნული სასჯელების მთლიანი შეკრების პრინციპით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ ი. ფ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ კანონშეუსაბამოა და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან მისი მიღების მომენტისათვის, 2013 წლის 11 თებერვალს, სისხლის სამართლის საქმე საკასაციო საჩივართან ერთად განსახილველად შემოსული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე ჯერ არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება და ქუთაისის საქალაქო სასამართლო, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხი; შესაბამისად, გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში მიღებული აქვს არაუფლებამოსილ სასამართლოს, რაც ხსენებული განჩინების გაუქმების კანონიერ საფუძველს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, საკასაციო საჩივრის განხილვის პარალელურად, დაუბრუნდეს „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენების საკითხს და არსებითად გადაწყვიტოს იგი განაჩენში ცვლილებების შეტანის გზით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16, მე-18 მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 თებერვლის განჩინება ი. ფ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენში, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და მე-18 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ი. ფ-ის სასიკეთოდ, კერძოდ:

ი. ფ-ეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 19,109-ე მუხლის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 17 წლით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლითა და 9 თვით;

ი. ფ-ეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 11 წლით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 3 თვით;

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და დანაშაულთა ერთობლიობით ი. ფ-ეს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 21 წლით;

ი. ფ-ეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 5 მაისის კა-

ნონი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვით;

იმავე განაჩენით ი. ფ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ძირითად საჯელად დანიშნული ჯარიმა – 1000 ლარი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, დარჩეს უცვლელად;

ი. ფ-ეს იმავე განაჩენით სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, გაუნახევრდეს და განესაზღვროს 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა;

ი. ფ-ეს იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით – შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 თვითა და 15 დღით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, გაუნახევრდეს და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 თვითა და 7 დღით;

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და ი. ფ-ეს სასჯელის სახედ და ზომად დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 22 დღის ვადით.

იმავე განაჩენით საბოლოოდ დადგენილი სასჯელის ვადის ათვლა ი. ფ-ეს დაეწყოს დაკავების დღიდან – 2007 წლის 2 თებერვლიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2012 წლის 10 ივლისის ჩათვლით მას მოხდილი აქვს თავისუფლების აღკვეთის 5 წელი, 5 თვე და 8 დღე. იმავე განაჩენის მოუხდელი ნაწილი შეადგენს თავისუფლების აღკვეთას 2 წლით, 7 თვითა და 14 დღით, ასევე ჯარიმას – 1000 ლარს, რაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, შეიკრიბოს სრულად და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ ი. ფ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 23 წლით, 7 თვითა და 14 დღით და ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა ი. ფ-ეს დაეწყოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განაჩენის მიღების დღიდან – 2012 წლის 10 ივლისიდან.

სხვა ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ ამნისტიის გავრცელების შესახებ მიღებული განჩინების გაუქმება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№33-აპ-13

17 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – ზ. ქ-ს, კ. ლ-ს, ლ. ლ-ა და ე. ც-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განაჩენით: კ. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 10

წლის ვადით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით კ. ლ-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 41 წლის ვადით, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით, შეუმცირდა და საბოლოოდ მოსახდელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 8000 ლარის ოდენობით. კ. ლ-ს სასჯელის მოხდა დაენიშნა 2011 წლის 11 დეკემბრიდან.

ლ. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით ლ. ლ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 36 წლის ვადით, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით შეუმცირდა და დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 6000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი, რომლის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 3 წელი, 11 თვე და 24 დღე, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დამატა ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით მას მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 33 წლის, 11 თვისა და 24 დღის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 6000 ლარის ოდენობით. ლ. ლ-ს სასჯელის მოხდა დაენიშნა 2011 წლის 11 დეკემბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებები.

ე. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით ე. ც-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით. ე. ც-ს სასჯელის მოხდა დაენიშნა 2011 წლის 11 დეკემბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებები.

ზ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, 273-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით. ზ. ქ-ს სასჯელის მოხდა დაენიშნა 2011 წლის 14 დეკემბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებები.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ო-ს რ-ს სოფ. შ-ი მცხოვრებმა კ. ლ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 7-62 მმ კალიბრიანი „აკმ“ მოდელის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის № ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 55 ვაზნით; ერთი „მაკაროვის“ მოდელის პისტოლეტი № ნომრით –, ერთი მჭიდითა და ერთი ვაზნით, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ო-ს რაიონის სოფ. შ-ი მდებარე საცხოვრებელი სახლის გვერდით მდგარ მაცივარში.

2009 წლის 29 მაისს შსს ო-ს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ო-ს რაიონის სოფ. შ-ი მდებარე კ. ლ-ს საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსების ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალები.

კ. ლ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ორი ცალი აკ-მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნომრებით: №, №; სამი ცალი მჭიდი; 85 ცალი ვაზნით, ერთი უცხოური წარმოების მოდელის პისტოლეტი №, ერთი მჭიდი და ექვსი ვაზნით, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ო-ს რაიონის სოფელ შ-ი მდებარე ს. ც-ს საცხოვრებელ სახლში.

2001 წლის 11 დეკემბერს, შსს ო-ს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ო-ს რ-ს სოფელ შემოქ-მედში მდებარე ს. ც-ს საცხოვრებელი სახლიდან სხვა ნივთებთან ერთად ამოიღეს ზემოაღნიშნული ცეც-ხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალები.

2011 წლის 6 აპრილს ო-ს რაიონის სოფელ შ-ი (ნ-ა) მცხოვრები კ. ლ-ა დაუკავშირდა გამოძიებით დაუდ-გენელ პირს და განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის გზით ქ. ო-ი, ბ-ს ქ. №-ში მცხოვრებ კ. დ-ს ოჯახიდან გა-ეტაცებინათ დიდი ოდენობით ფულადი თანხა. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს, კ. ლ-ა და გამოძიებით დაუდგენელი პირი მივიდნენ ქ. ო-ი, ბ-ს ქუჩაზე, კ. დ-ს საცხოვრებელ სახ-ლთან. დაახლოებით 21.00 საათზე, სახეზე აიფარეს ნიღბები და შეიარაღებულებმა ავტომატური ცეც-ხლსასროლი იარაღითა და გადაჭრილი სანადირო თოფით, საბრძოლო მასალებით, უკანონოდ შეაღწიეს კ. დ-ს საცხოვრებელ სახლში, სადაც გამოიჩინეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, კ. დ-ს დაუწყეს ცემა და მუქარით მოსთხოვეს ფულადი თანხის გადაცემა, რის შემდეგაც თავდამსხმელები კ. დ-ს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ფულად თანხას, დაახლოებით 30000 ლარის ოდენობით და მიი-მალნენ შემთხვევის ადგილიდან.

2011 წლის 4 დეკემბერს ო-ს რაიონის სოფ. შ-ი მცხოვრები კ. ლ-ა დაუკავშირდა ძმას – ლ. ლ-ს და მეგო-ბარს, ქ. ო-ი, გ-ს ქ. №-ში მცხოვრებ ზ. ქ-ს და განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის გზით ჩოხატაურის რაიო-ნის სოფ. გ-ი მცხოვრები ც. ს-ს ოჯახიდან გაეტაცებინათ ფულადი თანხა, ოქროს სამკაულები და სხვადას-ხვა დასახელების ნივთები. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. ლ-მ მიიტანა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და პისტოლეტი, რომლებიც გაინაწილეს ძმებმა ლ-ა და იმავე დღეს ზ. ქ-ს მართვის ქვეშ მყოფი ბმვ-520 მარკის სარეგის-ტრაციო ნომრის მქონე ავტომანქანით ო-ს რაიონის სოფელ შ-ნ ჩავიდნენ ჩ-ს რაიონის სოფ. გ-ი, მივიდნენ ც. ს-ს საცხოვრებელ სახლთან, რა დროსაც კ. და ლ. ლ-ა და ზ. ქ-მ გაინაწილეს როლები, სახეზე აიფარეს ნიღბები და დაახლოებით 20.00 საათზე კ. და ლ. ლ-ა, შეიარაღებულებმა ავტომატური ცეცხლსასროლი ია-რლებით, პისტოლეტითა და დანით, უკანონოდ შეაღწიეს ც. ს-ს საცხოვრებელ სახლში, ხოლო ზ. ქ-ე ელო-დებოდა გარეთ, რომ ვინმეს ხელი არ შეეშალა მათი დანაშაულებრივი განზრახვისათვის. კ. და ლ. ლ-ა გა-მოიჩინეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა და სახლში მყოფ ც. ს-ს დაუწყეს ცემა და ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით მოსთხოვეს ფულისა და ოქროს ნივთების გადაცემა, რის შემდეგაც თავდამსხმელები ხსენებული სახლიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ც. ს-ა და მი-სი ოჯახის წევრების კუთვნილ სხვადასხვა დასახელების ნივთებს და ფულად თანხას – 170 ლარის ოდენო-ბით, 20 ლარად ღირებულ ბავშვის სათამაშო ბილიარდს, რის შემდეგაც მიატოვეს შემთხვევის ადგილი და ლ. ლ-ს კუთვნილი ავტომანქანით მიიმალნენ.

2011 წლის 9 დეკემბერს ო-ს რაიონის სოფელ შ-ი მცხოვრები კ. ლ-ა დაუკავშირდა ძმას – ლ. ლ-ს, ამავე სოფელში მცხოვრებ ე. ც-ს და გამოძიებით დაუდგენელ პირს და განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით ო-ის რაიონის სოფ. შ-ში მცხოვრები ი. ა-ს ოჯახიდან გაეტაცებინათ ოქროს სამკაულები და სხვადასხვა დასახელების ნივთები. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს, კ. ლ-მ მიიტანა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ორი ცალი აკ- მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარა-ღი ნომრებით: № სამი მჭიდრი, 85 ვაზნით, ერთი უცხოური წარმოების მოდელის პისტოლეტი №, ერთი მჭი-დითა და ექვსი ვაზნით, რომლებიც გაინაწილეს, მივიდნენ ო-ს რაიონის სოფ. შ-ი ი. ა-ს საცხოვრებელ სახ-ლთან. დაახლოებით 20.00 საათზე სახეზე აიფარეს ნიღბები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით, საბრძოლო მასალებით, პისტოლეტითა და დანით შეიარაღებულებმა უკანონოდ შეაღწიეს ი. ა-ს საცხოვ-რებელ სახლში, სადაც გამოიჩინეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა და სახლში მყოფ ი, შ, მ. ა-ა და რ. ბ-ს დაუწყეს ცემა, რის შემდეგაც ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქა-რით მოსთხოვეს ფულისა და ოქროს ნივთების გადაცემა. თავდამსხმელები ხსენებული სახლიდან მართლსა-წინააღმდეგოდ დაეუფლნენ ი. ა-ა და მისი ოჯახის წევრების კუთვნილ სხვადასხვა დასახელების ნივთებს. ასევე გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი, 5000 ლარად ღირებული „მერსედეს-ბენც 190 მოდელის ...“ სარეგის-ტრაციო ნომრის მქონე ავტომანქანა და ხსენებული ავტომანქანით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან. მათ თავიანთი ქმედებით დაზარალებულებს მიაყენეს 8810 ლარის ზიანი.

ლ. ლ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ ფხვნილი, მინარევების გარეშე, სუფთა წონით – 0,026 გრამი, რასაც პირადი მოხმარების მიზ-ნით უკანონოდ ინახავდა 2011 წლის 11 დეკემბერს შავი ფერის უმკლავო ქურთუკის ზედა მარცხენა ჯიბე-ში და რაც ამოღებულ იქნა პოლიციის მუშაკთა მიერ ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკისას ო-ს საავტომობი-ლო გზის, სოფლების ბ-სა და ჯ-ს საზღვრის მონაკვეთზე.

ე. ც-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, მინარევების გარეშე, სუფთა წონით – 0/032 გრამი, რასაც პირადი მოხმარების მიზნით უკანო-ნოდ ინახავდა 2011 წლის 11 დეკემბერს უმკლავო ქურთუკში და რაც ამოღებულ იქნა პოლიციის მუშაკთა მიერ ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკისას ო-ს საავტომობილო გზის, სოფლების ბ-ა და ჯ-ს საზღვრის მო-ნაკვეთზე.

ზ. ქ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ ფხვნილი, მინარევების გარეშე, სუფთა წონით – 0,021 გრამი, რასაც ასევე უკანონოდ ინახავ-და 2011 წლის 14 დეკემბერს შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში და რაც ამოღებულ იქნა პოლიციის თანამ-შრომლების მიერ ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკისას ო-ს რაიონის სოფელ ჭ-ს საავტომობილო გზაზე.

ზ. ქ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის დადგენილებით ნარკოტიკული საშუა-ლების მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით, რის შემ-

დეგაც ზ. ქ-მ კვლავ გააგრძელა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. კერძოდ, 2011 წლის დეკემბერში გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მან, ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

კ. ლ-ს განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის ორი ეპიზოდი, მსჯავრდებულები – ლ. ლ-ა და ე. ც-ე ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით შერაცხულ დანაშაულებში, ხოლო ზ. ქ-ს მიმართ განაჩენი დარჩა უცვლელად.

კ. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2011 წლის 6 აპრილის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 4 დეკემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 9 დეკემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით კ. ლ-ს მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 35 წლის ვადით, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით შეუმცირდა და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 11 დეკემბრიდან.

ლ. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 4 დეკემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 9 დეკემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით მას მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე, გაუქმდა ო-ს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი, რომლის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 3 წელი, 11 თვე და 24 დღე, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დამატა ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს და მას საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 28 წლის, 11 თვისა და 24 დღის ვადით. ლ. ლ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 11 დეკემბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებები.

ე. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით. ე. ც-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 11 დეკემბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებები.

ზ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, 273-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით ზ. ქ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 14 დეკემბრიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებები.

ნივთმტკიცებები:

ავტომანქანა „მერსედესი“ ჩაჰბარდა დაზარალებულ ი. ა-ს.

მსჯავრდებულ ლ. ლ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 0,026 გრამი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

მსჯავრდებულ ე. ც-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 0,032 გრამი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

მსჯავრდებულ ზ. ქ-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 0,021 გრამი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

დაზარალებულ კ. დ-ს პერანგი, სისხლიანი ზეწრის ნაჭრები უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ კ. დ-ს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

დაზარალებულ ც. ს-ს სახლიდან გატაცებული სპორტული მოსასხამი, საბავშვო ბილიარდი, ხალათი, სვიტერი, ნაჭრის ზონრები უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ც. ს-ს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მსჯავრდებულ ე. ც-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული: „ნ“ ფირმის მობილური ტელეფონი იმეი კოდით სიმბარათით; შავი ფერის საფულე, პირადობის მოწმობა; მართვის მოწმობა; „სტანდარტ ბანკის“ პლასტიკური ბარათი №; „მეტრომანის“ პლასტიკური ბარათი №; ასევე უსახელო ქუთუბი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ ე. ც-ს ოჯახის სრულწლოვან წევრს.

მსჯავრდებულ ე. ც-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული: ფულადი თანხა – ასლარიანი კუპიურები №, ორმოცდაათლარიანი კუპიურები №, ორი ცალი ვერცხლის ე.ნ. გრეხილი ძეწკვი, ასევე თ. კ-ს მიერ წარმოდგენილი: 2 ოქროს კბილის გვირგვინი, ქარვის 1 თვალი, ფიანიტის 2 თვალი, ცირკონის 2 თვალი უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ი. ა-ს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მსჯავრდებულ ლ. ლ-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული: ყავისფერი ტყავის საფულე, ორი ცალი პლასტიკური ბარათი – „უნიქარდისა“ და „მეტრომანის“, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, პატარა ზომის კაფსულა, „ნ“ ფირმის მობილური ტელეფონი მასში მოთავსებული სიმბარათით, ვერცხლისფერი ოვალური ფორმის ბეჭედი და ავტომანქანა „ბმვ“ უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ ლ. ლ-ს ოჯახის სრულწლოვან წევრს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მსჯავრდებულ ლ. ლ-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული საფულეში მოთავსებული ფულადი თანხა: ერთი 100-ლარიანი კუპიურა, ორი 50-ლარიანი კუპიურა, ერთი 20-ლარიანი კუპიურა, ოთხი ხუთლარიანი კუპიურა უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ ლ. ლ-ს ოჯახის სრულწლოვან წევრს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ნ. ფ-ს სახლიდან ამოღებული ერთი ოქროს რგოლის ბეჭედი და ერთი ოქროს ჯვარი უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ი. ა-ს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ოქროს შესყიდვის აღრიცხვის ჟურნალი უნდა დაუბრუნდეს თ. კ-ს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, ა. ც-ს სახლიდან ამოღებული ორი „...“ მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნომრებით; სამი მჭიდი, ვაზნები, ერთი უცხოური წარმოების პისტოლეტი №, ერთი მჭიდი და ვაზნები საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს და გადაეგზავნოს საქართველოს შს სამინისტროს შტაბის შეიარაღების განყოფილებას.

ორი ნიღაბი, ხელთათმანი უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ლ. ლ-ს, ე. ც-ს, კ. ლ-ს სუნის, თმის, სისხლის, ნერწყვის ნიმუშები, ნიღბიდან ამოღებული თმები, ავტომანქანა „მერსედისის“ სახელურიდან ამოღებული ანანმენდები, ავტომანქანა „მერსედისიდან“ ამოღებული მიკრონაწილაკები, საგამოძიებო ექსპერიმენტის ვიდეოფირი, სამი თითის კვალი, დაზარალებულ კ. დ-ს თმის, სისხლის, ხელის ანაბეჭდის ნიმუშები შენახულ უნდა იქნეს საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით.

მსჯავრდებული ზ. ქ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებული კ. ლ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

მსჯავრდებული ლ. ლ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებული ე. ც-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრების მოტივებს მსჯავრდებულების – ზ. ქ-ის, ლ. ლ-ა და ე. ც-ს უდანაშაულობის თაობაზე. საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულების – გ. ს-ს, მ. ა-ა და რ. ბ-ს ჩვენებებით, მოწმეების – მ. ვ-ს, დ. ქ-ს, თ. კ-ს, კ. კ-ა და დ. ქ-ს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, პირადი ჩხრეკის ოქმებით, ნარკოლოგიური შემოწმების ოქმითა და ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით დადასტურებულია მსჯავრდებულების – ზ. ქ-ს, ლ. ლ-ს, კ. ლ-ა და ე. ც-ს მიერ განაჩენით შერაცხული ბრალდება, კერძოდ:

მოწმე მ. ვ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის ახლოს იცნობს ლ. ლ-ა და ზ. ქ-ს – არიან ერთად გაზრდილები. 2011 წლის დეკემბერში ის, ზ. ქ-ე, ლ. ლ-ა და კ. ლ-ი ერთად წავიდნენ ჩ-ს რაიონის ერთ-ერთ სოფ. ლ-ს ავტომანქანით კ-ს სიმამრის მეზობლის დასაყაჩაღებლად. ისინი ერთად ჩასხდნენ ავტომანქანაში. ლ. ლ-ა კი, ავტომატითა და პისტოლეტით შეიარაღებული, ჩამოვიდნენ იმ სოფელში, ხოლო თვითონ ზ. ქ-ნ ერთად წამოვიდა, ამ დროს ლ-მ დაურეკა ზ-ს და უთხრა, რომ დახმარება სჭირდებოდა. ზ-მ თქვა, რომ იარაღის გარეშე სად წასულიყო, შემდეგ კი მას სთხოვა ერთად წასულიყვნენ. ზ. ქ-მ მანქანა გააჩერა და ჩამოვიდა, თვითონ არ გაჰყოლია და მანქანაში დაელოდა. დაახლოებით ერთ-ორ საათში ერთად მოვიდნენ ზ. ქ-ე, ლ. ლ-ა და კ. ლ-ი, თან მოიტანეს იარაღი „მეშოკით“. მათ წამოღებული ჰქონდათ ბავშვის სათამაშო პატარა ბილიარდი. წამოსვლისას, გზაში ტანსაცმელი გადააგდეს. შემდეგ ზ. რკინა-ბეტონის გადასახვევთან დარჩა, ხოლო ისინი სახლში წავიდნენ. თავისი ჩვენების სისწორე მ. ვ-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა 2011 წლის 12 დეკემბერს ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტით, რა დროსაც დეტალურად მიუთითა ჩ-ს რაიონის სოფ.

გ-ი, კონკრეტულად რა ადგილზე ჩამოვიდნენ მისი თანმხლები პირები და გარკვეული ხნის შემდეგ, როგორ დაბრუნდნენ უკან.

დაზარალებულმა გ. ს-მ ამოიცნო კ. და ლ. ლ-ს სახლიდან 2011 წლის 25 დეკემბერს ამოღებული ბავშვის სათამაშო ბილიარდი, როგორც ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული მისი კუთვნილი ნივთი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და პოლიციელთა ჩვენებებით დადგენილია, რომ ც. ს-ს საცხოვრებელი სახლიდან 500 მეტრის დაშორებით ამოიღეს შავი ფერის მოსასხამი, თეთრი სარჩულით განწყობილი წითელი და თეთრი ზოლებით, რაც ასევე ამოიცნო დაზარალებულმა გ. ს-მ კონკრეტულ, ინდივიდუალურ ნიშნებზე მითითებით, როგორც ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული მისი კუთვნილი ნივთი.

2011 წლის 14 დეკემბრის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმითა და პოლიციელების – კ. კ-ა და დ. ქ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ ზ. ქ-ს მითითებით წავიდნენ ჩ-ს რაიონის სოფელ გ-ი, სადაც მან მიუთითა ც. ს-ს ოჯახზე მის მიერ კ. და ლ. ლ-ს ერთად ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმის კონკრეტული გარემოებები, ასევე წამოსვლისას, გზაში სპორტული მოსასხამის გადაგდების ფაქტი.

მონმე მ. ვ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2011 წლის დეკემბერში კ-მ, ლ-მ, ე-მ (ე. ც-მ) და ზ. თ-მ მასთან მიიტანეს ნაყაჩაღარი ოქროულობა. მათ თქვეს, რომ სოფელ გ-ი დააყაჩაღეს ოჯახი, თუ ვინ – არ ახსოვს. ე. ც-ს ყაჩაღობაში მონაწილეობა იქიდან იცის, რომ ყაჩაღობის შემდეგ სამივე ერთად მივიდა მასთან და გამოიცვალა ტანსაცმელი. დილით, ლ-ს და ე-ს ერთად ბ-ში წავიდნენ ლ-ს მანქანით, მივიდნენ ხოფაზე, მაგრამ ის პირი, ვისაც ეძებდნენ, არ დახვდათ, ხოლო ოქროს ბირჟაზე შესვლა ვერ გაბედეს, რათა ვიდუოთ-ვალს არ დაეფიქსირებინა. იმავე ღამით წავიდნენ თ-ი და ერთ-ერთ ოჯახს ჩააბარეს ოქროს ნივთები, რაც გამოვიდა 40 გრამი. შემდეგ ე. ც-ე მივიდა ვ-ს ბირჟაზე და მოიტანა ოქროს საფასური – 1900 ლარი. ო-ი როდესაც ბრუნდებოდნენ, ლ-ი დააკავეს.

გ. ქ-ა და თ. კ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ თ-ი მუშაობს თ-ი, ოქროს ბირჟაზე. ისინი არიან ზ. ქ-ს ნათესავები და იცნობდნენ ლ-ს ოჯახს, მათ ჩაიბარეს ლ. ლ-ს მიერ მიტანილი ოქროს ნივთები, რომელთა საფასურიც – 1950 ლარი გადასცეს ე. ც-ს. მათ წარმოადგინეს ჩაბარებული ნივთების ნაწილი: ორი კბილის ოქროს გვირგვინი, ქარვის ერთი თვალი, ფიანიტის ორი თვალი, ცირკონის ორი თვალი, რომლებიც ამოიცნეს დაზარალებულმა მ. ა-მ და რ. ბ-მ კონკრეტულ, ინდივიდუალურ ნიშნებზე მითითებით, როგორც ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული ნივთები.

ე. ც-ს პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ორი ვერცხლისფერი გრეხილი, რაც გარდა ჩხრეკის ოქმისა, დადასტურებულია პოლიციელ ზ. ბ-ს ჩვენებით. ე. ც-ს ამოღებული ვერცხლის ნივთები ამოიცნეს დაზარალებულმა მ. ა-მ და რ. ბ-მ კონკრეტულ, ინდივიდუალურ ნიშნებზე მითითებით, როგორც ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული.

2011 წლის 31 დეკემბრის ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტ ა. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ექსპერტიზას წარედგინა ი. ა-ს სახლიდან ამოღებული სუნის კვლები, ორი ნილაბი, გატაცებული ავტომანქანის საჭიდან აღებული ანანმენდი და სამივე ბრალდებულის სუნის ნიმუში. ექსპერიმენტი ჩატარდა სამსახურებრივი ძალების მონაწილეობით ბრალდებულების ადვოკატების თანდასწრებით, რა დროსაც დადგინდა, რომ წარმოდგენილი სუნის ნიმუში იდენტური აღმოჩნდა ე. ც-ს, ლ. და კ. ლ-ს სუნის ნიმუშებისა.

მსჯავრდებულების – ლ. ლ-ს, ე. ც-ა და ზ. ქ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტი დადასტურებულია მათი პირადი ჩხრეკის ოქმებით და ჩხრეკის ჩამტარებელ პოლიციელთა ჩვენებებით, რომელთა თანახმად, ლ. ლ-ს, ე. ც-ა და ზ. ქ-ს ამოიღეს მორუხო ფერის ფხვნილი, რაც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. ლ. ლ-ს, ე. ც-ა და ზ. ქ-ს დაკავებისას ჩაუტარდათ ნარკოლოგიური შემოწმება, რა დროსაც ლაბორატორიული გამოკვლევით დაუდგინდათ ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

პალატა აღნიშნავს, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 21 იანვრის განჩინება მსჯავრდებულების – ლ. ლ-ა და კ. ლ-ს, ო-ს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განჩინება მსჯავრდებულების – ზ. ქ-ა და ე. ც-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ კანონშეუსაბამოა და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან განჩინების მიღების მომენტისათვის სისხლის სამართლის საქმე საკასაციო საჩივრებთან ერთად 2013 წლის 6 თებერვალს განსახილველად შემოსული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება და ოზურგეთის რაიონული სასამართლო, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მსჯავრდებულების მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხი; შესაბამისად, გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში მიღებული აქვს არაუფლებამოსილ სასამართლოს, რაც ხსენებული განჩინების გაუქმების კანონიერ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, დაუბრუნდეს „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენების საკითხს და არსებითად გადანყვიტოს იგი განაჩენში ცვლილების შეტანის გზით.

„ამინტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, მსჯავრდებული ე. ც-ე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

მატებითი სასჯელები – ჯარიმა – „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, დარჩეს უცვლელად, შეიკრიბოს და საბოლოოდ უნდა დაეკისროს 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებული ლ. ლ-ა უნდა გათავისუფლდეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულ ლ. ლ-ს ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც შეადგენს 3 წელსა და 9 თვეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულ ლ. ლ-ს ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 4 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რაც შეადგენს 7 წელსა და 6 თვეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულ ლ. ლ-ს ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 9 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რაც შეადგენს 7 წელსა და 6 თვეს.

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ დადგენილი სასჯელი რეციდიული ბუნებისაა, ვინაიდან ამავე რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განაჩენით იგი ცნობილი იყო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის; აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი და სამოქმედოდ შემოღებული ახალი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დანიშნული სასჯელები უნდა შეიკრიბოს ნაწილობრივ, კერძოდ: ლ. ლ-ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 9 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნულ საბოლოო სასჯელს – 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას – ნაწილობრივ უნდა დაემატოს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 4 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელიდან – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და საბოლოოდ ლ. ლ-ს დანაშაულთა ერთობლიობით უნდა განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. მას დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს 2011 წლის 11 დეკემბრიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ახალი რედაქციის 59-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 21 იანვრის განჩინება მსჯავრდებულების – ლ. ლ-ა და კ. ლ-ს, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განჩინება მსჯავრდებულების – ზ. ქ-ა და ე. ც-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, მსჯავრდებული ე. ც-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულ ე. ც-ს აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულ ე. ც-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რაც შეადგენს 7 წელსა და 6 თვეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულ ლ. ლ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 4 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რაც შეადგენს 7 წელსა და 6 თვეს.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულ ლ. ლ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 9 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რაც შეადგენს 7 წელსა და 6 თვეს.

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ დადგენილი სასჯელი რეციდიული ბუნებისაა, ვინაიდან ამავე რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განაჩენით იგი ცნობილი იყო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის; აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილი და სამოქმედოდ შემოღებული ახალი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს ნაწილობრივ, კერძოდ: ლ. ლ-ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 9 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნულ საბოლოო სასჯელს – 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას – ნაწილობრივ დაემატოს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2011 წლის 4 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელიდან – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და საბოლოოდ ლ. ლ-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

ლ. ლ-ს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწეოს 2011 წლის 11 დეკემბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება

განჩინება საქართველოს სსკ-ით

№124აგ-12

21 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-ას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 იანვრის განაჩენით ა. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის მე-60 მუხლის შესაბამისად, ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 5 წლიდან, 2 თვიდან და 22 დღიდან – 3 წელი და საბოლოოდ ა. კ-ას მოსახდელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2005 წლის 27 ივნისიდან.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 7 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 23 ივნისის განჩინებით ა. კ-ას საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად.

2012 წლის 29 ოქტომბერს მსჯავრდებულმა ა. კ-ამ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ა. კ-ას შუამდგომლობა ცნობილ იქნა დაუშვებლად.

საკასაციო საჩივრით მსჯავრდებული ითხოვს მის მიმართ არსებული აბაშის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებული ა. კ-ა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვას ითხოვდა იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ა. კ-ას აბაშის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოქმედი კანონმდებლობით კი მითითებული დანაშაულისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სანქცია არის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. კ-ას შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის თაობაზე იყო დასაბუთებული. აქედან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინება მსჯავრდებულ ა. კ-ას შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე და შუამდგომლობა დაშვებულ იქნეს განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინება მსჯავრდებულ ა. კ-ას მიმართ.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№34აგ-13

4 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

გ. შავლიაშვილი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 აპრილის განაჩენით დამტკიცდა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურის პროკურორისა და მსჯავრდებულ გ. ბ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

გ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 12 იანვარს ჩადენილი ქმედებისათვის) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩათვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი. მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მარტის განაჩენით გ. ბ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში. გ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 6 აპრილის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და გ. ბ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენიშნა დაკავების დღიდან – 2006 წლის 7 სექტემბრიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, გ. ბ-ს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 1/4-ით, 6 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთამდე. სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული და დამატებული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 1/4-ით, 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამდე და სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან – 2006 წლის 7 სექტემბრიდან. მასვე პატიმრობის ვადაში ჩაეთვალა 2006 წლის 12 იანვრიდან 2006 წლის 14 იანვრამდე დაკავებაში ყოფნის პერიოდი.

2013 წლის 25 თებერვალს მსჯავრდებულმა გ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 აპრილის განაჩენის გადასინჯვის შესახებ. კერძოდ, მან მოითხოვა მის მიერ ჩადენილი ქმედების მოქმედ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ბ-ს შუამდგომლობა ცნობილ იქნა დაუშვებლად.

მსჯავრდებული გ. ბ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს მისი ქმედების მოქმედ კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებული გ. ბ-ე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვას ითხოვდა იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და სასჯელის ზომად განსაზღვრული იყო – ორიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მოქმედი კანონმდებლობით კი ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, განსაზღვრულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ითვალისწინებს სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მართალია, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სასჯელის შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასთან და განმარტა, რომ ვინაიდან სანქციის მაქსიმალური ზღვარის შემცირებასთან ერთად გაიზარდა სასჯელის მინიმალური ზღვარი და მსჯავრდებულ გ. ბ-სათვის დანიშნული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, მაგრამ არ უმსჯელია მსჯავრდებულ გ. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

ამდენად, მსჯავრდებულ გ. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული – ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საქართველოს სსკ-ის 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით მძიმე კატეგორიის დანაშაულს წარმოადგენდა, მოქმედი კანონმდებლობით კი ის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის თაობაზე იყო დასაბუთებული. აქედან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 მარტის განჩინება მსჯავრდებულ გ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე და შუამდგომლობა დაშვებულ იქნეს განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის განჩინება მსჯავრდებულ გ. ბ-ს მიმართ და დაშვებულ იქნას გ. ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.